პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მერვე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კალოუბ (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 63, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—63
) ღამის მორიგის 13—30.

ხელმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ. № 14, ტელეფონი № 8—81.
განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. წინაპარლის სტრიქონი, ტექსტის შემდეგ—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ. ტექსტში—3 მ.; განმეორებული განცხადებების ფასი იკლებს 10% საქალაქო განცხადებისათვის. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ძვირდება 20%-ით. საძიებო განცხადებები—15 და 20 შ.

მობილიზაციით გაწვეულნი უკვე ბრუნდებიან თავიანთ კერას

სამშაბათი, 28 აგვისტო 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 199 (2242)

საცდელი მობილიზაცია

საცდელი მობილიზაცია კვლავ დიდის წარმატებით მიმდინარეობს.—მობილიზაციით გაწვეულნი უკვე უბრუნდებიან თავიანთ კერას

თბილისმა მოიგერია გუშინ „მტრის“ მთელი რიგი საცდელი თავდასხმა.—თავდაცვა ავიაქიმის რაზმების მორიგი გამარჯვება

საცდელი მობილიზაცია ჩვენი გაძლიერების საწინდარია

საცდელი მობილიზაცია ერთ-ერთი იმ ღონისძიებათაგანია, რომელსაც მიმართავს საბჭოთა ხელისუფლება საკუთარ თავდაცვის განმტკიცებისათვის. მობილიზაციის პირველ დღეებმა, მართალია, ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ მშრომელი მასები მუდამ მზად არიან ქუდზე კაცი გამოცხადდენ საბჭოთა ხელისუფლების დაძახილზე, მაგრამ მარტო ეს არ კმარა.

ის დიდი ერთსულოვნება და ზეიმი, რომლის მოწამენიც ვართ, საცდელი მობილიზაციის დღეებში, უნდა გადატანილ იქნას ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში. საცდელ მობილიზაციამ არა მარტო უნდა მოამზადოს ჩვენი აპარატი ნამდვილ საომარ საფრთხის სათანადო შეხვედრისათვის, არამედ, კიდევ უფრო უნდა გააღრმავოს მშრომელ მასებში ინტერესი თავდაცვის საქმისადმი, მან კიდევ უფრო პოპულიარული უნდა გახადოს დევიზი იმის შესახებ, რომ თუ გსურს ზავი—საჭიროა მზად იყო ომისათვის.

ამ დევიზს ბურჟუაზიაც ეფარება ფარისევლურად ეგრედ წოდებული კელოგის პაქტი ომის, როგორც ნაციონალურ ბრძოლის იარაღის უარყოფა, განიარაღების სხვადასხვა კონფერენციები და კომისიები, რომელნიც ჩვენი დროის დამახასიათებელ მოვლენად გადაიქცა, არის ჩვეულებრივი ბურჟუაზიული ფარისევლობა, რაიც მიზნად ისახავს მშრომელი მასის გაბიაბრუებას და კაპიტალისტური ქვეყნების დაუცხრომელი საომარ სამზადისის მიჩქმალვას.

ახალი ტიპის ზედრეუდნოუტები, სამხედრო საჰაერო ფლოტი, ტყვია-წამლის და თოფ-ზარბაზნის აურაცხელი მარაგი, რომელზედაც ყოველ წლობით მილიარდები იხარჯება, ბურჟუაზიას, რასაკვირველია, თავის შესაქცევად არ ესაჭიროება. ყოველივე ამას თავისი მიზანი და დანიშნულება აქვს. ჯავშნოსნებათ და ზარბაზნის ლულებად გადაქცეულ მილიარდებმა გამართლება უნდა ჰპოვოს. ეს გამართლებაა ომი. სხვანაირად არც შეიძლება.

ომი. შინაგან წინააღმდეგობის განუკურნებელ სენით შეპყრობილ კაპიტალიზმის განუყრელი თანამგზავრია ომი შიგნივ, გაბატონებულ და ჩაგრულ კლასთა შორის, ომი გარეთ ერთმანეთთან ახალი ბაზრების, ახალი ტერიტორიების შემოსაერთებლად, ომი ახალშენებში დამონებულ ხალხების მორჩილების განსამტკიცებლად,—ასეთია კაპიტალიზმის დღე, მისი ბუნება. ამის გარეთ ის ვერ იარსებებს. ამრიგად, დევიზი,—თუ გსურს ზავი—ემზადე ომისათვის, ბურჟუაზიულ ქვეყნებში იშვიათ პოლიტიკურ გაიძვერობას და ოინბაზობას წარმოადგენს.

ამიტომ ჩვენ არც კი გვიკვირს, როცა ერთდაიმავე დღეს, ერთსა და იმავე გაზეთში ვკითხულობთ ცნობას იმის შესახებ, რომ ომი უნდა აკრძალულ იქნას, როგორც ეროვნული ბრძოლის იარაღი და აქვე ვპოულობთ მეორე ცნობას ახალ ჯავშნოსნების აგების, საჰაერო ფლოტის გაძლიერების და სამხედრო ხარჯების გადიდების შესახებ. კაპიტალისტურ ქვეყნებისათვის ეს სრულიად ბუნებრივია.

სულ სხვაა საბჭოთა კავშირი. თუ გსურს ზავი—ემზადე ომისათვის,—ეს დევიზი ჩვენს პირობებში უაღრესად რეალური და აქტუალური დევიზია. ჩვენ არა ერთხელ დავამტკიცეთ სიტყვით და საქმითაც, რომ ერთად ერთი სახელმწიფო, რომელიც მართლაც მისწრაფის ზავისაკენ, ეს არის საბჭოთა კავშირი. ბურჟუაზიულ სახელმწიფოებმა არაერთხელ შეგვიქმნეს ისეთი პროვოკაციული მდგომარეობა, როცა ომის გამოცხადება ჩვენ მხრივ თითქოს აუცილებელი იყო, მაგრამ ამან ვერ შეარყია საბჭოთა კავშირის მტკიცე სამშვიდობო პოზიცია. ამავე პოზიციაზე ვდგევართ ჩვენ დღეს. და სწორედ ეს გვაიძულებს, რომ მუდამ მზად ვიყოთ ომის შესახვედრად, რომ ჩვენ მტრებს გაუქარწყლოთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების წინააღმდეგ განავარდების ხალისი. საბჭოთა კავშირის დასავლეთით მოსაზღვრე ქვეყნები ყელამდი იარაღში სხედან. თავისთავად იგულისხმება, რომ მათი მახვილი პირველყოვლისა ჩვენს წინააღმდეგ არის მომართული. ამას არც თვითონ ისინი მალავენ. ასეთი მდგომარეობის დამადასტურებელ ფაქტებს თითქმის ყოველდღე იპოვნით ჩვენს პრესაში.

ამიტომ საცდელი მობილიზაცია, საუკეთესო პასუხია მტრების წინააღმდეგ. ყველა უნდა დარწმუნდეს, რომ ჩვენ ფხიზლად ვართ, რომ ჩვენ წინ მივდივართ ლენინიზმით, ჩაქუჩით და თოფით ხელში. და ვინც ამ წინსვლაში ხელს შეგვიშლის, მას არ ასცდება პროლეტარულ ხელისუფლების, შეიარაღებულ მუშურ-გლეხური მასების საკადრისი პასუხი.

როგორ მიმდინარეობს საცდელი მობილიზაცია

(საუბარი თბილისის მაზრის სამხედრო კომისარ ამხ. ხელაშვილთან)

ჩვენ თანამშრომელთან საუბარში, თბილისის მაზრის სამხედრო კომისარმა ამხ. ხელაშვილმა შემდეგი განაცხადა:

— მე ვერასოდეს ვერ წარმოვიდგენდი, თუ თბილისის მაზრის მშრომელი მოსახლეობა ასე ერთსულოვნათ შეხვდებოდა საცდელ მობილიზაციას. ფართე მასები საცდელ მობილიზაციის გამოცხადებისთანავე გაერკვენ მის მთავარ დანიშნულებაში.

დიდი იყო ხალისი და ინტერესი საცდელ მობილიზაციის გატარების საქმეში.

სამხედრო კომისარიატის აპარატისათვის ფრიად ძნელი და საპასუხისმგებლო მუშაობას წარმოადგენდა საცდელი მობილიზაციის ჩატარება, ვინაიდან ჩვენს სინამდვილეში საცდელ მობილიზაციას პირველად ვატარებთ. ჩვენს მომუშავეებს არ ჰქონდათ პრაქტიკა ამ მხრივ.

როდესაც ჩვენ გამოგვიცხადეს, რომ თბილისში და მის მაზრაში უნდა ჩაგვეტარებია საცდელი მობილიზაცია, ჩვენს წინაშე მეტად რთული საკითხები წამოიჭრა, რომლების გადაჭრა ძალზე დიდ ენერგიას და მუშაობას ითხოვდა.

თბილისის მაზრის სამხედრო კომისარიატის მთელი აპარატის მუშაკთა ძალ-ღონე დაჭიმულ იქნა. ყველა დიდის ინტერესით და დაკვირვებით უდგებოდა საქმეს. ყველა მონდომებული იყო, რომ საცდელი მობილიზაცია წარმატებით ჩაგვეტარებია.

ყველა გრძნობდა, იმას, რომ მობილიზაციის ასე წარმატებით ჩატარება დამოკიდებული იყო საამისო მოსამზადებელ მუშაობაზე. ეს მდგომარეობა ყველას თავიანთ პასუხისმგებლობას უასკეცებდა.

მობილიზაციის პირველ დღესვე პარტიულ, კომკავშირის, პროფესიონალურ და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ სათანადო წარმოება-დაწესებულებებში განემარტა მშრომელთ საცდელი მობილიზაციის მთავარი ამოცანები, რასაც მუშები და თბილისის მაზრის მშრომელი გლეხობა განსაკუთრებული ინტერესით შეხვდა.

როგორ შეხვდნენ პროფკავშირები საცდელ მობილიზაციას

თბილისის პროფესიონალური ორგანიზაციები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საცდელი მობილიზაციის ჩატარებაში.

24 აგვისტოს საღამოს შესდგა საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სასწრაფო სხდომა, რომელსაც დაესწრენ კავშირების ცენტრალური გამგეობების თავმჯდომარეები და მდივნები.

სხდომაზე მოსმენილ იქნა ამხ. მაჩაიძის და ახრიბეკოვის მოხსენება საცდელი მობილიზაციის მიზნისა და ჩატარების წესის შესახებ. პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა საჭიროდ სცნო: კავშირების ცენტრალურ გამგეობათა სხდომების მოწვევა ადგილკომების თავმჯდომარეებთან ერთად. კონკრეტული გეგმების შედგენა ცალკე კავშირების ხაზით, მფრინავი მიტინგების მოწყობა წარმოება-დაწესებულებებში, მიტინგების უზრუნველყოფა მოხსენებებით, მასების სულიერი განწყობილების გამორკვევა და სხვა.

25 აგვისტოს მუშათა კლუბებში ტარდებოდა მიტინგები. სულ მიტინგები ჩატარებულ იქნა 9 კლუბში და 2 წითელ კუთხეში 10 კავშირის ხაზით. მიტინგების შემდეგ ნაჩვენები იქნა კინო-სურათი და გაიმართა წარმოდგენები.

მიტინგები მიმდინარეობდა დამსწრეთა აქტიური მონაწილეობის ნიშნის ქვეშ. გამოსული ამხანაგები იწონებდენ საცდელ მობილიზაციის გამოცხადებას ჩვენი სიძლიერის და მომზადების გამოსარკვევად.

26 აგვისტოს საქ. პროფსაბჭოს მიერ შესაკრებ პუნქტზე გაგზავნილი იქნა ორი წარმომადგენელი. ამავე დღეს მოწვეული იქნა პროფსაბჭოს პრეზიდიუმის სხდომა კავშირების ცენტრ. გამგეობათა თავმჯდომარეებისა და მდივნების თანადასწრებით, რომელზედაც მოსმენილ იქნა ინფორმაცია პროფკავშირების მიერ ჩატარებულ მუშაობის შესახებ.

მცხეთელები

წალკელი გლეხები შემოდიან თბილისში გაწვეული ცხენებით

ავიო-რაზმის „თავდასხმა“ თბილისზე

საცდელი ბრძოლა მხრჩოლავი გაზებით

საცდელი მობილიზაციის გამოცხადებისთანავე მოსალოდნელი იყო „მტრის“ ავიო-რაზმის თავდასხმა.

თავდაცვა ავიო-ქიმის უჯრედები საცდელ მობილიზაციის შესახებ ბრძანების გამოკვრისთანავე ფეხზე დადგნენ.

24 აგვისტოს ღამით ქალაქის ყველა უბანში ნახავდით ავია-ქიმის მოდარაჯე რაზმებს—გაზის საწინააღმდეგო ხელსაწყოებით აღჭურვილს.

ღამემ მშვიდობიანათ გაიარა.—თბილის ზევით არ გამოჩენილა არც ერთი თვითმფრინავი.

ავია-ქიმის საზოგადოების წევრთა სამწუხაროთ, მობილიზაციის პირველი დღეც არ იძლეოდა საბაბს რაზმების ნაყოფიერი მუშაობისათვის. ქალაქს რამდენიმეჯერ შემოუარა „მტრის“ ერთმა, თუ ორმა თვითმფრინავმა, მაგრამ მაინც და მაინც დიდი აქტივობა მათ არ გამოუჩენიათ.

საყოველთაო დასკვნა ასეთი იყო: ეს არის „მტრის“ მიერ დასაზვერათ გამოგზავნილი თვითმფრინავი, რის შემდეგ მოსალოდნელია ავიაციის მთელი რაზმის „თავდასხმა“ ქალაქზეო.

საჭიროა განსაკუთრებული სიფხიზლე და სიფრთხილე.

მთელ ღამეს რაზმელებს არ სძინებიათ: მიდიმოდიოდნენ ქალაქის ქუჩებზე და აძლიერებდენ რაზმელთა შემადგენლობას იმ ადგილებში, სადაც ავიო-რაზმის „თავდასხმას“ განსაკუთრებული „ვნება“ და „ზარალი“ შეეძლო მიეყენებია.

საცდელი მობილიზაციის მეორე დამითაც თვითმფრინავები არ გამოჩენილან.

ამ გარემოებით სარგებლობდნენ ხელმძღვანელნი, რომელნიც დრო გამოშვებით რჩევა დარიგებას და ინსტრუქციებს აძლევდნენ რაზმელებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ ამა თუ იმ შემთხვევაში.

კვირა დილით თბილისის აღმოსავლეთით მოქალაქეებმა თვალი მოჰკრეს ფოლადის მფრინველების მთელ გუნდს, რომელნიც სხვადასხვა მიმართულებით მოეშურებოდნენ ქალაქისაკენ.

გაისმა გაფრთხილების პაროლი. ქარხნებისა და წარმოებების წინ სადარაჯოზე მდგარი შეიარაღებული მუშები გულის ფანცქალით ადევნებდენ თვალ ყურს თვითმფრინავების მოძრაობას. ფოლადის ფრთოსანნი ეძებენ ხელსაყრელ ადგილს ყუმბარების ჩამოსაგდებლად.

ასეთი ადგილებია წარმოებები და ხალხის სავსე მოედნები — აჰა, შორს მჭვრეტელი თვალი სივრცეში ამჩნევს პატარა წერტილს. ქვევით დაშვების მიხედვით იგი თანდათან დიდდება, იქცევა მოზრდილ ბურთად, მიწიდან რამოდენიმე მეტრის სიმაღლეზე ყვითლათ ითება და გრიალით ენარცხება მიწაზე.

ეს არის პირველი ყუმბარა—მხამიანი გაზის მიმოფანტველი.

ორმოცდაათი მეტრის რადიუსზე მთელი გარემო გახვეულია გაზის კვამლში. პირველ „ყუმბარას“ მოყვება მეორე, მეორეს მესამე და მთელი უბანი „ცეცხლსა და კვამლში“ გახვეული გაუვალი ხდება მოქალაქეებისათვის.

ავიაქიმის რაზმებს ურჩნდებათ სამუშაო. გაზით მოწამლულს უბანში თვალის დახამხამებაში ველოსიპედებით და მოტოციკლეტებით მოდიან გაზით საწინააღმდეგო ტანსაცმელში და ნიღაბებში ჩაცმული რაზმელები.

მოწამლულ უბნის მოსაზღვრე რაიონებში გაიკრა პლაკატები:—„შორს აქედან, ადგილი მოწამლულია“.

იწყება მუშაობა გაზების გასაფანტავათ, მათ უვნებელსაყოფად მოჰქრიან მსტვინავი ავტომობილები. მეხანძრეები შემოეკრნენ ცეცხლში და კვამლში გახვეულ კვარტალს. თუთხმეტ წუთში ხანძარი ჩაქრობილია. თავდაავიწყებით მუშაობენ ახალგაზრდები. ავიაქიმია წევრები. არა ნაკლები თავდადებით იხწვიან მილიციელები. ნახევარს საათში მთელი უბანი, სადაც რამოდენიმე წუთს უკან „საშიში“ გასავლელი იყო განმინდილია დაუპატიჟებელი სტუმრების მიერ გადმოსროლილ „ამანათები“-ს ნაშთებისაგან.

— „ზარალი“ უმნიშვნელოა.

მაგრამ ამით არ თავდება, მეხანძრეთა და ავიაქიმის რაზმებთა დღევანდელი მუშაობა.

ფოლადის ფრინველები არ ისვენებენ. მათ მეორე რაიონშიც გადმოაგდეს ყუმბარა. სახანძრო ავტომობილები შემზარავის სტვენით და ავიაქიმის წევრები ველოსიპედებით და მოტოციკლეტებით საშინელი სისწრაფით მიჰქრიან ამ რაიონისაკენ. აქაც შეუწყვეტელი მოუსვენარი მუშაობაა. რაიონი „გადარჩენილია“ თითქმის უვნებლად.

გუშინ „მტერი“ კიდევ უფრო გაძლიერებული ავიო-რაზმით დაეცა ქალაქს, ეხლა მან თავისი სამოქმედო ასპარეზად ამოირჩია მტკვრის მარჯვენა მხარეზე მდებარე რაიონები, უმთავრესად რუსთაველის პროსპექტი, სადაც სამჯერ გადმოაგდო „ყუმბარა“. მეორე გადმოგდებისას ყუმბარა დაეცა მუშათა სასახლეს.

ყუმბარის მოქმედება იყო ძლიერი: სასახლის სახურავს გაუჩნდა „ცეცხლი“, ხოლო მთელი პროსპექტი სახალხო კომისართა საბჭოს სახლიდან ვიდრე ოპერას შენობამდე ნისლისებურ კვამლში გაეხვია. პროსპექტი გაუვალი შეიქნა. მოწამლულ რაიონის ორივე მხარეზე დგებიან მილიციელები, რომელნიც მოქალაქეებსაც აფრთხილებენ. მალე სასახლეზე აიმართა უზარმაზარი მექანიკური კიბე, რომლის საშვალებით თვალის დახამხამებაში სახურავზე მოექცნენ მეხანძრეები. ქვევით მკლავებ დაკაპიწებულნი მუშაობენ ავიაქიმის რაზმელნი. მუშათა სასახლე იხსნეს „ცეცხლისაგან“. ქუჩა გაწმენდილია „მხრჩოლავი“ გაზისაგან. თუთხმეტ წუთში ქუჩაზე ნორმალური მოძრაობაა აღდგენილი.

კიდევ დიდ ხანს დაფარფატებენ ჰაერში თვითმფრინავები, მაგრამ ყუმბარებს აღარ ყრიან. ბინდდება, პროპელერების გუგუნი თანდათან წყდება. ფოლადის ფრთოსანნი ქალაქის ჰორიზონტიდან ქრებიან, მაგრამ ჩვენი ავიაქიმის რაზმელები მაინც სდგანან სადარაჯოზე ახალ „სიურპრიზების“ მოლოდინში.

დალი.

ცენტრალურ შესაკრებ პუნქტზე

საშ. კომისარიატის ცენტ. შესაკრებ პუნქტის ეზოებში დილიდანვე ხმაურობაა. სხვადასხვა რაიონებიდან მწყობრათ მოდიან წვეულთა გუნდები. ეზოში შესვლის შემდეგ გუნდები იშლებიან. აქ ლოდინია საჭირო, შეიძლება რამოდენიმე საათითაც.

მშრომელ ახალგაზრდობას ეს დროც არ უნდა დაეკარგოს უსარგებლოდ. ფარდულების ქვეშ მაგიდაზე აწყვია უამრავი ჟურნალ-გაზეთები, ბროშიურები, ჭადრაკი (რამოდენიმე ათეული კომპლექტი), შაშები; ნარდი, დომინო. აქვეა მილიციის სასულე ორკესტრი, რომელიც ხანგამოშვებით უკრავს სხვადასხვა მხნე მოტივებს. ეზოში შეუწყვეტელი მხიარულებაა. აგერ წრე გაუკეთებიათ და მოხდენილად უვლიან ლეკურს. აგერ კედელზე გაკრულ პლაკატებს ათვალიერებენ. კითხულობენ ჟურნალ-გაზეთებს.

აქვე ეზოში, არის გამართული მუშკოოპის მოძრავი ფარდული, რომელიც უმთავრესად ვაჭრობს სურსათით და მინერალური წყალით, ერთი სიტყვით შექმნილია ისეთი პირობები, რომ წვეულმა არ იგრძნოს არც მოწყენილობა, არც დაღალვა და არც სიმშილი.

ეზოში შემოდის გაზეთის კორესპონდენტი ფოტოგრაფიულ აპარატით. არჩევს დამახასიათებელ ადგილს, ტიპებს.

თერთმეტი საათისთვის ეზოში შემოდის წვეულთა ახალი წყება. ესენი ეტყობა სოფლიდან მოვიდნენ. ამუშავდა კორესპონდენტის ფოტოგრაფიული აპარატი. გადაიღო ერთი, მეორე.

— ამხანაგო ჩვენი „კარტოჩკა“ რათ გინდა?—ეკითხება ერთი წვეული.

— გაზეთში უნდა ჩაგაგდოს ბიჭო უპასუხებს მეორე.

კორესპონდენტის გარშემო თანდათან მეტი წვეულები იყრიან თავს. ყველას უნდა გაზეთში მოხვდეს, რომ დაანახოს შინაურ და გარეშე მტერს, თუ როგორი სიმტკიცით და ხალისით გამოვა მშრომელი მასა თავის, შრომის სახელმწიფოს დასაცავათ, თუ ვინმემ გაბედა მასზე თავდასხმა.

ნიკო.

მწყობრი რიგებით მოდიოდნენ

მესამე დღე

გუშინ, დილის სრულ 8 საათზე, შესაკრებ პუნქტზე თავიანთი ცხენებით და გადასაზიდ საშუალებებით გამოცხადდენ წალკის, აბდულალის, მანგლისის, ერწოს და თიანეთის თემის მცხოვრებნი. გლეხები მოდიოდნენ მწყობრი რიგებით და სიმღერით.

საერთო მხიარულება და ჟრიამული ფარავდა იქაურობას. არავითარ შიშს და ცრუ ხმების გავრცელებას ადგილი არ ჰქონია.

დილის 7 ნახ. საათიდან აგიტატორები იწყებენ მუშაობას.

ყურადღებით და სწრაფად მუშაობს მიღების კომისია, რომელსაც აღრიცხვაზე აქვს მხოლოდ ვარგისი ცხენები.

— ეს ცხენი არ არის ვარგისი, გაიყვანეთ—ამბობს ბეითალი ექიმი.

— ამხანაგო,—რატომ არ ვარგა ჩემი ცხენი, ჩემის აზრით, იგი ვარგისია,—მიმართავს ექიმს ერთ-ერთი გლეხთაგანი.

— შენი ცხენი ჰასაკს გადაცილებულია; სახლში სამუშაოდ კი ვარგა,—უხსნის მას კომისიის წევრი.

აგიტპუნქტთან თავმოყრილ გლეხებს გაცხოველებული საუბარი აქვთ აგიტატორებთან. ცხენის მოყვარეობამ გამიტაცა და ჩავერიე ლაპარაკში.

— ამაღამ აქ უნდა დარჩეთ—ვეკითხები ერთ-ერთ გლეხთაგანს.

— არ ვიცი შენი ჭირიმე, ჩვენი ცხენებს ჯერ-ჯერობით აღრიცხვაზე არ გაუტარებია. შეიძლება დიდ ხანს არ მოგვიწიოს „ოჩერედმა“.

— ხომ იცით, რისთვისაც ხართ შეკრებილნი,—ვეკითხები ერთ მოხუც გლეხს, რომელიც ჯოხს დაყრდნობოდა.

— როგორ არ ვიცით. გუშინ დილით ადრიანად გამოგვიცხადეს სოფელში, რომ თქვენი ცხენებით უნდა გამოცხადდეთ თბილისში საცდელი მობილიზაციაა—იყო პასუხი.

ნაშუადღევს გაიმართა მიტინგი. გამოსული ორატორები გლეხებს უხსნიდნენ საცდელ მობილიზაციის მნიშვნელობას საბჭოთა კავშირის თავდაცვის საქმეში.

მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ ჩამოსული გლეხები, რომლებმაც განაცხადეს, რომ თუ საჭიროება მოითხოვს თავიანთი მკერდით დაიცავენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას.

საღამოს 5 ნახ. საათზე გაისმის პროპაგანდისტთა ხმა:

—ამხანაგებო. წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ პუნქტს ეხლა მტერი საწამლავი გაზით თავს დაესხა.

ამ დროს გამოჩნდა ჰაეროპლანი, რომელმაც გადმოყარა „მოწამლული“ გაზიანი „ყუმბარები“. ეზო „მოწამლულია“. პუნქტის შუა მოედანი თავისუფლდება. ხალხი მიეშურება სპეციალურად გაკეთებულ თავშესაფარისაკენ. შუა ადგილას რამოდენიმე „მოწამლული“ და „დასახიჩრებული“ კაცის „გვამია“, თვალის დახამხამებაში ჩნდება თავდაცვა-ავიაქიმის რაზმი. ნიღაბ აფარებული რაზმელები ასხურებენ გაზის საწინააღმდეგო სითხეს. რაზმელებმა საჩქაროთ გამოიწვიეს სასწრაფო დახმარების ავტომობილი და პირველი საექიმო დახმარება აღმოუჩინეს „მოწამლულ“ და „დაჭრილ“ ხალხს.

ამის შემდეგ გაისმის ბრძანება: „ყველა თავის ადგილას“.

გლეხები აღფრთოვანებით ეგებებიან მოწოდებას და მიდიან დანიშნულ ადგილისაკენ.

თ. ე.

ამ დღეების შთაბეჭდილებანი

— ტიკ! ტიკ! ტიკ! ტიკ!—დაირეკა სტამბის ზარი.

ქუჩაში დაგროვილი მუშები ყაყანით შედიან ეზოში და იქიდან კი თავიანთ განყოფილებაში.

— რიჟა, წაიკითხე განცხადება მობილიზაციის შესახებ?—ეკითხება პეტრე რიჟას.

— ეჰ! ეგ რა მობილიზაციაა, წახვალ, გამოცხადდები და იმ საათში უკან წამოხვალ!—უპასუხებს რიჟა.

— ამხანაგებო, დღეს მხოლოდ თერთმეტ საათამდე ვმუშაობთ და მერე კი დემონსტრაციაზე გავალთ, აი, გაზეთში სწერია!—იძახის ფაქტორი ვასილა და გაზეთს უჩვენებს მუშებს.

დაიწყო მუშაობა.

— მაშ, თერთმეტ საათამდე ვმუშაობთ და მერე კი ჰაიდა, დემონსტრაციაზე!—იძახის რიჟა და თავჩაქინდრული მუშაობს.

საათის ისარი მძიმედ მიცოცავს წინ.

ყველანი მოუთმენლად ელიან 12 საათს.

ყველანი კარგ გუნებაზე არიან.

შესრულდა თერთმეტი საათი.

— ამხანაგებო! ამხანაგებო! 12 საათზე ყველამ სასადილოში მოიყარეთ თავი, მიტინგია; ამხანაგი სტურუა გააკეთებს მოხსენებას დღევანდელი საცდელი მობილიზაციის შესახებ!—გამოაცხადა ადგილკომის მდივანმა და ახლა სხვა განყოფილებისაკენ გაეშურა.

მიტინგის შემდეგ სასახლის ქუჩისაკენ გავეშურეთ. სამხედრო მუსიკა გრგვინავს შტაბის შენობის წინ და ჩვენც იქვე ვჩერდებით. დარაზმული მანიფესტანტები წყება-წყებად მოდიან.

მცირე დგომის შემდეგ ვცილდები ჩემს ამხანაგებს და მხოლოდ ერთი საათის უკან ისევ მოვდივარ იქ, მაგრამ მათ ველარ ვპოულობ.

შევერიე ხალხში.

— აბა, გოგია, მალე დაიწყება ომი და! შენ იცი, თუ არ შეგეშინდება!—ეუბნება ერთი მუშა მეორეს, საშუალო ტანის კაცს, რომელიც თავის პატარა თვალებს მოუსვენრად დააცეცებს, თითქო ვიღაცას ეძებსო.

— შე დალოცვილო, შვიდი წელიწადი ვიყავი ომში, არ შემეშინდა, და რაღა ეხლა შემეშინდება!—თითქოს წყენით უპასუხებს გოგია.

— ნეტა რა გამიგებდა, ვისთვის ომობდი?—ეუბნება ახლა სხვა მუშა.

— აი, საქმეც მაგაშია, რომ მე თვითონ არ ვიცოდი რისთვის ვომობდი, ვისთვის უნდა მოვმკვდარიყავი და ვის ვიცავდი; მაშინ არ შემშინებია, ყოველ წამს მზად ვიყავი სიკვდილისთვის და ახლა რა შემაშინებს, როდესაც ვიცი, რომ ვომობ მშრომელი ხალხის მტერთან მუშური წყობილების დასაცავად და, თუ მოვკვდები. მოვკვდები საერთო საქმისთვის ბრძოლაში, არ მენანება.

ეს სიტყვები გოგიამ ისეთი კილოთი წარმოსთქვა, რომ მის სიწრფელეში ეჭვი არავის შეეპარებოდა. ეს იყო წრფელი სიტყვები წრფელი გულიდან ამოძახილი სრულიად შეგნებულად.

ასეთი შეგნებული გოგიები დღეს მრავალი ათასი ჰყავს კომუნისტურ მთავრობას და გაჭირვების ჟამს ისინი არ დაზოგავენ არაფერს, რათა საერთო საქმის მტრებს ღირსეული პასუხი გასცენ...

დემონსტრაციები გათავდა. ქუჩები დაიცალა. ზღვა ხალხი დაიშალა.

ერთი ჯგუფი არ აპირებს დაშლას.

სიცილ-ხარხარი, ტაში, ყვირილი თამაშში ერთმანეთში ირევა.

— ამხანაგო, რას ძუძულებ, რა დროს დათვობანაა, საცაა გაზებს გამოუშვებენ და ამოგახრჩობენ აქ!—ეუბნება ერთი მეორეს.

— შე დალოცვილო, გაზებისა რას გეშინიან. „ანგლიჩნები“ რომ გაზებს გამოუშვებენ, იმათ გაზებს ჩვენი გაზები შეეგებებიან და ჰაერშივე გააწყალებენ. ჩვენამდე არ მოუშვებენ.... განა მარტო იმათ იციან გაზების კეთება, ჩვენც ვიცით.

ჯორჯიაშვილის ქუჩის კუთხეში, ორი ხნიერი კაცი დგას და წყნარად საუბრობენ.

— რა საჭიროა. მობილიზაციამ ძალიან კარგად ჩაიარა,—ამბობს ერთი.

— ჰაი-ჰაი. რომ კარგად ჩაივლის, ყველ მუშამ იცის, რისთვის არის ეს მობილიზაცია და რა მნიშვნელობა აქვს მას;—უპასუხებს მეორე.

მოსაუბრენი კიდევ ლაპარაკობენ რაღაცა. მაგრამ მე ყურს არ ვუგდებ, მივდივარ საოპერო თეატრისაკენ საზეიმო კრებაზე დასასწრებლად, რასაც, სამწუხაროდ ვერ ვესწრები.

ნიკო ასლამაზაშვილი.

სინჯავენ ცხენებს ჩასაბარებელ პუნქტზე

მაზრაში

(ტელეფონით, ტელეგრაფით და ფოსტით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

საგარეჯო

(ტელეგრაფით ჩვენი კორესპონდენტისაგან)

26 აგვისტოს შესაკრებ პუნქტზე გამოცხადდა გაწვეულთა დიდი რაოდენობა: გლეხობის 1 ნაწილი მინდვრად სამუშაოდ არის გასული მათი შეკრებაც გრძელდება. ყველგან საუცხოვო წესრიგია. არავითარ გაუგებრობას ადგილი არ აქვს.

ალ. გედიაშვილი.

საგარეჯო

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

24 აგვისტოს, ღამის 12 საათზე გავიგეთ საცდელ მობილიზაციის გამოცხადების ამბავი. ამ დროს შრომით მოქანცულ გლეხობას უკვე სძინავს, მხოლოდ თემაღმასკომის ფანჯრებიდან უხვათ ეფინება სინათ. შუქი მოსაზღვრე ქუჩებს. აღმასკომში გაცხოველებული მუშაობაა. მუშავდება გეგმა დაკისრებულ მოვალეობის ღირსეულად შესრულებისათვის. სასწრაფოდ არსდება სამეული, სასწრაფოთვე იწვევენ თემ-კომის გაფართოვებულ პლენუმს და ამუშავებენ: რაიონში საცდელ მობილიზაციის ჩატარების წესებს და საერთო გეგმას. პლენუმზე ირკვევა საცდელი მობილიზაციის მიზნები და ამოცანები. არა ჩვეულებრივი ხალისია მოწვეულ ამხანაგებში, ენერგია გაათკეცდა.

თიანეთელი და წალკელი გლეხები თავიანთი ცხენებით

ნაშუადღევს 3 საათზე რაიონის თითქმის ყველა მოსახლემ (ცალ-ცალკე შეტყობინების საშუალებით) უკვე იცის საცდელი მობილიზაციის გამოცხადება. დიასახლისობა საგძალს უმზადებს „ბრძოლაში“ მიმავალ „ჯარის კაცს“.

მეორე დღეს დილის 5 საათიდან გამოყოფილ მომხსენებლების მიერ რაიონის ყველა სოფლებში ტარდება მიტინგები. გლეხობა ენთუზიაზმით ხვდება ორატორის თვითეულ სიტყვას. მზათ არიან არა თუ საცდელ, არამედ ნამდვილი მობილიზაციისთვის ტაშით აჯილდოვებენ ორატორს.

25 აგვისტოს საგარეჯოს რაიონის შესაკრებ პუნქტთან ქუჩებზე გაკრულია სამხედრო ხასიათის მოწოდებები და პლაკატები. აქვე მოწყობილია სააგიტაციო პუნქტი. ქუჩები სავსეა გლეხობით. სოფელს ზეიმისა და დღესასწაულის ელფერი ადევს. გამოკრულია სპეციალური ნომერი ადგილობრივ კედლის გაზეთისა. ქოხ-სამკითხველოს მიერ გამოფენილია სამხედრო ხასიათის ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები. გლეხობაში ვრცელდება საგიტაციო ფურცლები. გლეხებს ვაძლევთ საჭირო რჩევა-დარიგებას. ტარდება ჯგუფური საუბარი.

დილის 9 საათზე დანიშნულ ალაგას უკვე გამოყვანილია აღსარიცხავი ცხენები. შუადღის 2 საათზე შეკრებილი ცხენები თავიანთი პატრონებით სიმღერითა და ყიჟინით მიიმართება სოფ. სართიჭალაში. სოფლად დარჩენილი გლეხობა აცილებს წამსვლელთ. აქა-იქ გაისმის რევოლიუციონური ლოზუნგები, რომელსაც ვაშას ძახილით ხვდება გლეხობა.

საღამოს 7 საათი.—სახალხო თეატრის ეზოში აურაცხელი ხალხია. 8 ნახ. საათზე თეატრის დარბაზში თემ-აღმასკომის თავმჯდომარე ხსნის საზეიმო კრებას. თბილისის კომიტეტის წარმომადგენელი ამხ. ქავჯაია გამოდის საინფორმაციო მოხსენებით. აუდიტორია ხანგრძლივი ტაშით ხვდება მომხსენებლის რევოლიუციონურ მოწოდებას. მოხსენების შემდეგ უფასოთ ნაჩვენები იქნა პოლიტგანის მიერ კინო-სურათი.

26 აგვისტო. სოფელში დიდი მზადებაა, მიამგზავრებიან დანიშნულ ალაგას გაწვეულები.

დღის 12 საათზე ქუჩებში იმართება პიონერთა გამოსვლა, „ვაშა“-ს ძახილით აცილებენ გაწვეულთ. კვლავ საუბრები, მიტინგი და გაცილება.

ალ. გედიაშვილი.

პრიუტი

(ტელეფონით ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

გუშინ დილიდანვე მანგლისის და პრიუტის თემებიდან დიდი ენტუზიაზმით დაიწყეს მოგროვება საცდელი მობილიზაციით გაწვეულებმა. დღის ორ საათზე პრიუტის თემაღმასკომის ეზოში მოგროვდა გაწვეულთა მთელი ასი პროცენტი. მოვიდნენ ისეთებიც რომელნიც მობილიზაციის გამოცხადების დროს სახლებში არ იმყოფებოდნენ და მთებში იყვნენ წასულნი სამუშაოზე. ყველა გაწვეულებს არაჩვეულებრივი სიმხნევე და აღფრთოვანება ემჩნევა, გაწვეულები წითელი დროშებით და სიმღერით გამოემართნენ თბილისისაკენ.

სოლომონ დოლიძე.

ქოდოლის რაიონი

(გარე კახეთი)

როგორც კი მივიღეთ ცნობა საცდელი მობილიზაციის გამოცხადების შესახებ, მთელი მშრომელი გლეხობა, პარტიული და საბჭოთა ორგანოები არაჩვეულებრივი ერთსულოვნობით შეხვდა ამ ნაბიჯს. სათანადო განცხადებების გაკვრის შემდეგ. როგორც მობილიზაციით გაწვეულები, ისე დანარჩენი გლეხობაც თავს იყრიდნენ შესაკრებ პუნქტებში.

გლეხობას საჭირო ახსნა-განმარტებას აძლევდნენ კომპარტიის წევრები და კომკავშირელები.

შესაკრებ პუნქტებზე ბლომად ცხადდებოდნენ ისეთებიც, რომელთაც წლოვანების მიხედვით არ ეხებოდათ გაწვევა. მშრომელი გლეხობა ერთხმად გაიძახოდა, თუ მტერი გაბედავს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ გამოლაშქრებას, ჩვენ ყველანი პირველი დაძახილზედ გამოვალთ ჩვენი ხელისუფლების დასაცავადო.

აღსანიშნავია ქალთა აქტიური მონაწილეობა საცდელი მობილიზაციის მწყობრად ჩატარების საქმეში. ისინი მამაკაცებს გამხნევებული სიტყვებით მიმართავდნენ და მოუწოდებდნენ არც ერთი გაწვეული არ მორიდებოდა შესაკრებ პუნქტზე გამოცხადებას და თავისი მოვალეობის პირნათლად შესრულებას.

რაიონის ყველა სოფლებში სრული წესრიგია და არავითარ გაუგებრობას ადგილი არ ქონია.

ს. ქ—შვილი.

წყნეთის თემი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

საცდელი მობილიზაციის ჩატარების ცნობის მიღებისთანავე თემაღმასკომმა საბჭოს წევრების საშუალებით აცნობა ყველა სოფელს ამის შესახებ. გამოიკრა სამობილიზაციო განცხადებები და ლოზუნგები თვალსაჩინო ადგილებზე. აგრეთვე შეკრებილ გლეხობას ხმამაღლა უკითხავდნენ განცხადებებს და უხსნიდნენ მობილიზაციის მნიშვნელობას. პირველად შესდგა ქალების კრება, ხოლო 12 საათზე წყნეთის თემის საერთო მიტინგი. კრებები ჩატარებულ იქნა აგრეთვე სოფელ ახალდაბაში, ნახშირგორაში და ბაგევში, სადაც გლეხობას განუმარტეს, თუ რა უნდა გააკეთოს საცდელ მობილიზაციის ჩატარების დროს. სწარმოებდა გაზეთების ხმამაღლა კითხვა, მოეწყო ცნობათა ბიურო, სადაც გლეხობას აძლევდნენ საჭირო ახსნა-განმარტებას.

25 აგვისტოს ადგილობრივ კლუბში დაიდგა წარმოდგენა გაწვეულთათვის.

განსაკუთრებით კარგად ჩატარდა ცხენებისა და გადასაზიდ საშუალებათა მობილიზაცია. ყველას დაუზარებლად მოჰყავდა თავისი ცხენი შესაკრებ პუნქტზე.

26 აგვისტოს გაწვეულები ზურნით და სიმღერით გამოეშურენ თბილისისაკენ.

დასასვენებელ სახლში მყოფი მუშები ესალმებიან თბილისის პროლეტარიატს

(დეპეშა სურამიდან)

სურამში დასასვენებლად მყოფი მუშები და მოსამსახურენი ესალმებიან მთავრობის მიზანშეწონილ ზომას ქალაქ თბილისსა და მის მაზრაში საცდელი მობილიზაციის გამოცხადებას და მთელი არსებით თქვენთან არიან. განვამტკიცოთ ჩვენი სამხედრო ძალა ნამდვილი მობილიზაციისათვის. თუ თავხედი მტერი განიზრახავს თავს დაესხას მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. ვმუშაობთ რა შრომის ფრონტზე და ვამაგრებთ რა ჩვენ სოციალისტური სამშობლოს ეკონომიურ ძლიერებას, საჭიროების დროს მთელს ჩვენს მიღწევებს და ენერგიას გადავიტანთ სამხედრო ფრონტზე, სოციალისტური სამშობლოს დასაცავად.

გაუმარჯოს წითელ არმიას და მის რეზერვებს—მუშებსა და გლეხებს!

გაწვეულები სადილობენ დილის მოედანზე

მანევრები გორის მაზრაში

(საუბარი 1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსთან ამხ. გ. დევდარიანთან)

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

1-ლ ქართ. მსრ. დივიზიის პოლიტგანყოფილების უფროსმა და მანევრების მთავარ პოლიტიკურ ხელმძღვანელმა ამხ. გ. დევდარიანმა საუბარში თქვენი გაზეთის თანამშრომელთან გორის მანევრების შესახებ, განაცხადა შემდეგი:

მანევრებით, რომელიც იწყება 28 აგვისტოს, მთავრდება წითელი ჯარის ნაწილების სწავლების საზაფხულო პერიოდი. მანევრებმა უნდა დაგვანახონ, თუ რამდენათ არიან მომზადებული ნაწილები ბრძოლისათვის და როგორი კავშირია და ურთიერთობა ჯარის სხვადასხვა გვარეობათა შორის.

მანევრების დროს წითელი ჯარის ნაწილებს მოუხდებათ მოქმედება და მუშაობა საბრძოლო დროის გარემოებებისა და პირობებში.

მანევრებში მონაწილეობას იღებს 1-ლი ქართ. მსროლელი და კავკასიის 1-ლი მსროლელი დივიზიები. ამ დივიზიების გარდა მანევრებში მონაწილეობის მისაღებად მიზიდულნი არიან თავდაცვა-ავიაქიმის გორის და ქუთაისის ორგანიზაციები, სანიტარული წრეები და ავიაქიმის ქიმიური რაზმები. წინმსვლელობის დროს წითელ ჯარს შეუერთდებიან ქარელის, ხაშურის და სურამის თავდაცვა-ავიაქიმის ორგანიზაციები.

მანევრები ფართოდ იქნება გამოყენებული თავდაცვა-ავიაქიმის წევრების გასაცნობათ ბრძოლის წარმოებასთან და იმ მუშაობასთან, რომელიც დაეკისრება სანიტარულ წრეებს და ქიმიურ რაზმებს ბრძოლისა და თავდაცვის დროს.

მანევრების დროს სამხედრო მუშაობასთან ერთად იწარმოებს პოლიტიკური და პოლიტსაგანმანათლებლო ხასიათის მუშაობა.

ნაწილების პოლიტ აპარატების წინაშე მანევრების დროს სდგას ფრიად რთული ამოცანები. მანევრებმა უნდა გამოარკვიონ ჯარის ნაწილის პოლიტაპარატის მოქმედების უნარიანობა, თუ რამდენათ მომზადებულია იგი დროზე გასცეს პასუხი ამა თუ იმ მოვლენას, რომელსაც ექნება ადგილი წითელ არმიელთა შორის.

პოლიტაპარატი მანევრების დროს არ დაკმაყოფილდება მარტო თავისი პირდაპირი მუშაობით, არამედ იგი შეუწყობს ხელს ხარდლობას. ამა თუ იმ ოპერატიული ამოცანის შესრულებაში. ამასთანავე, ყურადღება მიექცევა პოლიტაპარატის მუშაობის შეგუებას საბრძოლო პირობებთან, რომ ყოველმა პოლიტმუშაკმა იცოდეს, თუ რა უნდა აკეთოს ბრძოლის დროს და გაეცნოს ახლო მუშაობას საბრძოლო პირობებში.

პოლიტაპარატის ერთ-ერთ ამოცანას მანევრებზე წარმოადგენს წითელი არმიელების ყურადღების მიპყრობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვის და მოსახლეობის გასამხედროების საკითხებისადმი.

ვინაიდან მანევრებში ქართული ნაწილების გარდა იღებენ მონაწილეობას რუსული ნაწილებიც, ამისათვის მანევრები გამოყენებული იქნება მჭიდრო, მეგობრული კავშირის დასამყარებლად სხვადასხვა ეროვნების წითელ არმიელთა შორის.

მანევრების დროს პოლიტაპარატის მიერ წითელ არმიელთა შორის გაშუქებული იქნება მიმდინარე პოლიტიკური და საზოგადოებრივი ხასიათის საკითხები, როგორიც არის: საბჭოთა კავშირის საერთაშორისო და შინაური მდგომარეობა, პურის დამზადების პოლიტიკა, კომინტერნის მე-6-ე მსოფლიო კონგრესის მუშაობა, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელება და სხვ. განსაკუთრებულ ყურადღება მიექცევა მორიგ გაწვევას წითელი ჯარის რიგებში. აქ პოლიტაპარატი მიიღებს ყოველგვარ ზომებს, რომ განუმარტოს მოსახლეობას წითელი ჯარის სტრუქტურა, სწავლება, ყაზარმაში ცხოვრების პირობები და გაწვევის მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის.

მოსახლეობა, მანევრების მსვლელობის დროს, გაეცნობა მანევრების მნიშვნელობას, თუ წითელი არმია რისთვის ატარებს ყოველწლიურად მანევრებს.

წითელი ჯარის ნაწილები მანევრების დროს ჩაატარებენ გლეხობაში პოლიტსაგანმანათლებლო და კულტურულ ხასიათის მუშაობასაც.

სოფლად გაიმართება კრებები, მოხსენებები, წარმოდგენები. ნაწილებს თან მიაქვთ მოძრავი კინოები კინოსურათების მოსაწყობათ. მიგვაქვს აგრეთვე წიგნები 80 ბიბლიოთეკის მოსაწყობათ და ახალი ბიბლიოთეკა-სამკითხველოების გასახსნელად.

კრებების და მოხსენებების საშუალებით გლეხობას განუმარტავთ პარტიის პოლიტიკას სოფლად და მიმდინარე საკითხებს.

წითელი ჯარის ნაწილები დროულად შეუდგნენ სამზადისს მანევრებისათვის. ნაწილებში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებდა მანევრებისათვის და იმედია, რომ მანევრები შესძენენ ჩვენი წითელი ჯარის ნაწილებს ისეთ ცოდნას და გამოცდილებას, რომელიც საჭიროა ბრძოლის დროს.

ილ. ხუციშვილი.

მანევრებში გამგზავრების წინა დღით

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

არაჩვეულებრივი მოძრაობაა გორის ქუჩებზე. აუარებელი ფურგუნები, ურმები ეზიდებიან ბარგსა ბანაკიდან სადგურისაკენ, სადაც წითელი არმიელები გამალებით ტვირთავენ საბარგო მატარებელს.

ბანაკი ცალიერდება.

დამთავრებულია სწავლების საზაფხულო პერიოდი. დარჩა მხოლოდ ამ სწავლების უკანასკნელი ეტაპი—მანევრები, რომელმაც ჯამი უნდა გაუკეთოს განვლილ პერიოდს. დააგვირგვინოს იგი.

მანევრებმა უნდა გამოარკვიონ, თუ როგორ იქნა შეთვისებული წითელ არმიელების და მეთაურების მიერ სამხედრო ხელოვნება ზაფხულის პერიოდში.

მანევრები ერთგვარი გამოცდაა.

არ ეშინიათ ამ გამოცდის არც არმიელებს, არც მეთაურებს. მათ წინდაწინვე იციან, რომ ამ გამოცდას ისინი ჩააბარებენ ბრწყინვალედ, რადგან ზაფხულის განმავლობაში ისინი მეცადინეობდნენ გამალებით, არ გაუცდენიათ არც ერთი დღე. მათ კარგათ იციან, რომ რამდენათ საფუძვლიანად შეითვისებენ სამხედრო საქმეს, იმდენათ გაძლიერდება და განმტკიცდება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობა.

მანევრების დაწყებას ყველანი მოუთმენლად მოელიან „ლურჯები" უკვე გავიდნენ ველად. „წითლები" ჯერ ქალაქში არიან. ხვალ, დილა ადრიან, „წითლები" დასტოვებენ ქალაქს და გაუდგებიან გზას. სადმე, მინდვრათ, მათ მოუხდებათ „შეტაკება", გაჩაღდება „ომი".

რთულია ჯარის აპარატი. მაგრამ ბრძოლის დროს ეს აპარატი უნდა მუშაობდეს მწყობრად. ამ აპარატის ყველა ნაწილი უნდა მოქმედებდეს შეთანხმებით რომ არ დაირღვეს მუშაობა, არ შეფერხდეს საქმე.

მანევრები სასწავლო „ომია", მხოლოდ აქაც საჭიროა ყველაფრის წინდაწინვე გამოზომვა.

სანიტარული, ვეტერინარო ნაწილი მანევრების დროს უნდა იდგნენ შესაფერ სიმაღლეზე, რომ დროზე მიაწოდონ მებრძოლს საჭირო მასალა და აღმოუჩინონ დახმარება.

სამეურნეო ნაწილმა უნდა იზრუნოს სურსათ-სანოვაგის შეუფერხებლივ მიწოდებაზე.

ყველაფერი გორის ბანაკში მზად არის „საბრძოლველად" გამგზავრებისათვის. ელოდებიან მხოლოდ განკარგულებას.

ემზადება მანევრებისათვის აქაური თავდაცვა ავიაქიმიც. ამ საზოგადოების 165 წევრი მიიღებს უშუალო მონაწილეობას მანევრებში, გაეცნობა ბრძოლის პირობებს და იმ მუშაობას. რომელიც უნდა აწარმოონ ავიაქიმელებმა ბრძოლის ველზე.

ახალგაზრდა ავიაქიმელები [illegible] და გაზის საწინააღმდეგო ნიღაბით ამაყათ დაიარებიან ქუჩებში. იციან, რომ ემსახურებიან დიად საქმეს—საბჭოთა ქვეყნის თავდაცვას.

ხვალ, დილა ადრიან, წითელ არმიელთა და ავიაქიმელთა შეერთებული რაზმები გაუდგებიან გზას და ველად განამტკიცებენ თავის სამხედრო ცოდნას.

27 აგვისტო. ქ. გორი.

ილ. ხუციშვილი.

მანევრების მონაწილენი

28 აგვისტოს გორის მაზრაში იწყება წითელი ჯარის მანევრები.

მანევრებში მონაწილეობას იღებენ პირველი ქართ. მსრ. დივიზია, კავკასიის პირველი დივიზია, თავდაცვა-ავიაქიმის გორისა და ქუთაისის ორგანიზაციები, წითელი ჯარის სანიტარული წრეები და ქიმიური რაზმები.

მანევრებში მონაწილენი დაყოფილნი არიან ორ ბანაკად. „წითლები" და „ლურჯები".

„წითლები" გავლენ ბანაკიდან 28 აგვისტოს დილის 7 საათზე.

სამზადისი მანევრებისათვის დამთავრებულია. იმ სოფლების მოსახლეობას, რომლებშიაც მოუხდებათ გავლა ჯარის ნაწილებს, დაეგზავნათ მიმართვა, სადაც ნათლად არის გარკვეული წითელი ჯარის მანევრების მიზნები. ასეთივე მიმართვა დაეგზავნილია პარტკომისა და აღმასკომის მიერაც.

ინგლისის უმცირესობის მოძრაობის კონფერენცია კელოგის პაქტის წინა დღეებ

გაიხსნა საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენცია

ინგლის-ირაქის ურთიერთობა მწვავდება

ჩეხო-სლოვაკიის სავაჭრო პალატები იწონებენ სავაჭრო ხელშეკრულებას საბჭოთა კავშირთან

უმცირესობის მოძრაობის კონფერენცია

ლონდონი, 26 აგვისტო. 25 აგვისტოს შორდიჩში გაიხსნა ინგლისის პროფკავშირთა უმცირესობის მეხუთე წლიური კონფერენცია. პირველ სხდომაზე ერთხმად იქნა მიღებული რეზოლიუციები პროფმოძრაობისა და ომის საფრთხის საკითხების შესახებ.

პირველი რეზოლიუცია ეხება პროფკავშირულ დემოკრატიას და პროფკავშირების რეორგანიზაციას. რადგან რეფორმისტები სისტემატიურად ილაშქრებენ უმცირესობის მოძრაობის მონაწილეთა და კომუნისტების წინააღმდეგ, რაც უაღრესად არღვევს პროფკავშირების წევრთა უფლებებს, ამიტომ რეზოლიუცია მოუწოდებს ყველა პატიოსან ტრედ-იუნიონისტს—აწარმოოს გადამწყვეტი ბრძოლა ამგვარი პოლიტიკის წინააღმდეგ. უმცირესობის მოძრაობის მონაწილეებმა და თანამგრძნობებმა უნდა გააძლიერონ თავიანთი აქტივობა პროფკავშირების ყველა ადგილობრივ ორგანიზაციაში, საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებში და წარმოებებში. რეზოლიუციას საჭიროდ მიაჩნია პროფკავშირების სასწრაფო რეორგანიზაცია. ამისათვის იგი ასახელებს კონკრეტულ ღონისძიებებს. ეს ღონისძიებებია: კამპანია ტრედ-იუნიონებში მუშაობის ჩაბმისა მთელი 100 პროცენტით, უმუშევართა ნაციონალური კომიტეტისა და პროფკავშირების ადგილობრივი საბჭოების მიღება ტრედ-იუნიონების კონგრესში, განხორციელება პრინციპისა „ერთი კავშირი ყოველი წარმოებისათვის" და პარალელური კავშირების დაუყოვნებლივი შეერთება, გერმანული საბჭოს რეორგანიზაცია და ბრძოლა პროფკავშირების მთლიანი საერთაშორისო გაერთიანებისათვის.

სამხედრო საფრთხის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციაში ნათქვამია: „ახლანდელი კონფერენცია ომის საფრთხის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას სთვლის პროფმოძრაობის ერთ-ერთ უაღრესად სერიოზულ პრობლემად.

ეს საფრთხე არ განისაზღვრება იმით, რომ იმპერიალისტური სახელმწიფოები ახალ თავდასხმას აწყობენ საბჭოთა რუსეთზე. იმპერიალისტებს აუცილებლად ჩაითრევს ახალ ომებში რაციონალიზაციის პროცესი, რომელიც იწვევს პროდუქციის ზრდას და ამავე დროს ახალი ბაზრების ძებნას.

შემდეგ რეზოლიუცია ეხება კელოგის ხელშეკრულებას, რომელიც, რეზოლიუციის სიტყვით, „წარმოადგენს იმპერიალისტების ცდას, რომ დაუმალონ საერთაშორისო პროლეტარიატს მომწიფებული კონფლიქტი".

რეზოლიუცია რაციონალიზაციის შესახებ აღნიშნავს, რომ რაციონალიზაციის მთელი სიმძიმე მუშათა კლასს აწევება. რეზოლიუცია კაპიტალისტურ რაციონალიზაციასთან ბრძოლის შემდეგ პროგრამას იძლევა: ბრძოლა შვიდ საათის სამუშაო დღისათვის, ბრძოლა ნარდად მუშაობის წინააღმდეგ, სასტიკი წინააღმდეგობის გაწევა სამუშაო ხელფასის შემცირებისა და სამუშაო დღის გაგრძელებისათვის, ზედმეტი მუშაობის გაუქმება, ათი წუთით დასვენება ყოველ საათში კონვეიერებში მომუშავეთათვის, უარყოფა ყოველგვარი თანამშრომლობისა მეპატრონეებთან, უმუშევართა შეკავშირება, ბრძოლა ქარხნის პოლიციასთან და ჯაშუშობასთან, ბრძოლა აპოლიტიკურ პროფკავშირებთან და სხვ.

რეზოლიუციაში საგაფიცვო ტაქტიკის შესახებ აღნიშნულია: 1919 წლიდან ინგლისში გაიმართა 6.866 გაფიცვა, რომლებშიაც მონაწილეობა მიიღო 11.177.000 მუშამ. (ამაში არ შედიან საერთო გაფიცვა და მემაღაროეთა ლოკაუტი). ეს გაფიცვები მეტ წილად დამთავრდა მუშათა დამარცხებით ან კომპრომისით, უმთავრესად, რეფორმისტების წყალობით ან და სათანადო მომზადების უქონლობის გამო. რეზოლიუცია ხაზს უსვამს, რომ საჭიროა უკეთესად მომზადება გაფიცვებისათვის და ხელის აღება იძულებითი არბიტრაჟის [illegible] პოლიტიკაზე, აგრეთვე შეტევით ტაქტიკაზე გადასვლა (ადს).

საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენცია

ვენა, 26 აგვისტო. ბელგრადის ოფიციოზური გაზეთები იუწყებოდნენ, რომ საპარლამენტთაშორისო კავშირის კონფერენციამ, რომელიც ბერლინში სწარმოებს, უარი განაცხადა გლეხურ-დემოკრატიული კოალიციის განსაკუთრებული დელეგაციის ცნობაზე. ეხლა გაზეთების ოფიციოზური პრესა იუწყება, რომ კონფერენციამ დაუშვა რადიჩის მომხრე დეპუტატი, როგორც ხორვატიის გლეხთა პარტიის დელეგატი. შემდეგ, როგორც იგივე გაზეთები იუწყებიან, კონფერენციამ სკუპშჩინის დელეგაციას უფლება არ მისცა გამოსულიყო სკუპშჩინის სახელით; კონფერენციამ სცნო, რომ სკუპშჩინის დელეგაცია წარმოადგენს მხოლოდ იმ პარტიებს, რომელნიც სკუპშჩინაში დარჩნენ დემოკრატიულ-გლეხური კოალიციის წასვლის შემდეგ (ადს).

ბერლინი, 26 აგვისტო. 23 აგვისტოს ბერლინში ზეიმით გაიხსნა საპარლამენტთაშორისო კავშირის ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: დეკლარაცია სახელმწიფოების შეთანხმებული ცხოვრების პრინციპების შესახებ, იმიგრაციის და ემიგრაციის პრობლემები და საპარლამენტო სისტემის კრიზისი.

ყრილობაში მონაწილეობას იღებენ 37 სახელმწიფოს წარმომადგენელნი. ერთა ლიგას წარმომადგენლებად ჰყავს ორი მეთვალყურე.

კონგრესის პრეზიდიუმმა რამდენიმე პროტესტი მიიღო. ხორვატების გლეხთა პარტიის გარდა, არის აგრეთვე იტალიის პარლამენტის ყოფილ დეპუტატთა ჯგუფის საპროტესტო განცხადება იმის გამო, რომ ფაშისტი დეპუტატები მონაწილეობას იღებენ კონგრესის მუშაობაში. განცხადებაში ნათქვამია, რომ იტალიის პარლამენტიდან გამორიცხულ იქნა 125 ოპოზიციონერი დეპუტატი.

ყრილობაზე სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის დელეგაციის წევრმა საკლატვალამ. მან აღნიშნა, რომ ის ერთად-ერთი კომუნისტი დეპუტატია ყრილობაზე, და განაგრძო: სანამ უცხოეთის ჯარები სხვა ქვეყნების ტერიტორიაზე იმყოფებიან, მანამდე იარსებებს ახლანდელი საბაჟო და სიმტკიცეს მოკლებული პოლიტიკური საზღვრები და ლაპარაკიც კი შეუძლებელი იქნება საყოველთაო მშვიდობიანობის შესახებ. საყოველთაო მშვიდობიანობა შესაძლებელია მხოლოდ ნამდვილი განიარაღების განხორციელების შემდეგ. (ადს).

უორკერს პარტიის განცხადება

ნიუ-იორკი, 26 აგვისტო. ნიუ-იორკის მუნიციპალიტეტმა ნება არ მისცა უორკერს პარტის (კომუნისტურს) შეაგროვოს ქუჩებში ფული საარჩევნო ფონდისათვის. უორკერს პარტიამ გამოაქვეყნა განცხადება, რომ მიუხედავად ამისა, ფულის შეგროვება წინანდელ გეგმის თანახმად იქნება ჩატარებული. (ადს).

ინგლის-ირაქის უთანხმოება

ლონდონი, 26 აგვისტო. ბაღდადიდან მიღებული ცნობით, ირაქის მთავრობის პრემიერმა პარლამენტს აცნობა, რომ ინგლისსა და ირაქს შორის სერიოზული უთანხმოება წარმოიშვა სამხედრო კონვენციასთან დაკავშირებით ინგლისის მთავრობა მოითხოვს, ირაქმა გადაიხადოს ის განსხვავება, რომელიც არსებობს ირაქში მყოფი ინგლისის ჯარის შესანახ ხარჯებსა და ინგლისში მყოფი ამავე რაოდენობის ჯარის შესანახ ხარჯებს შორის.

პრემიერმა განაცხადა, რომ ირაქის მთავრობა გადაჭრით აცხადებს უარს ამ მოთხოვნის შესრულებაზე, ვინაიდან მას ეშინია, რომ ინგლისი, როცა საჭიროდ დაინახავს, ირაქში გაგზავნის, ჯარის მნიშვნელოვან რაოდენობას, რაც აუტანელ ხარჯებს გამოიწვევსო.

საბჭ. კავშირის და ჩეხოსლოვაკიის სავაჭრო ხელშეკრულება

სავაჭრო ხელშეკრულება

პრაგა, 26 აგვისტო. „რუდე პრავო"-ს ცნობით, ჩეხო-სლოვაკიის სავაჭრო პალატებმა განიხილეს საბჭოთა კავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების პროექტი. ყველა პალატა, გარდა ერთისა, მომხრეა პროექტის.

გარდა ამისა, პროექტის მომხრეა იმ მსხვილი ფირმების უმრავლესობა, რომელთაც პროექტი განიხილეს. (ადს).

კელოგის ხელშეკრულება

შტრეზემანი ჟურნალისტებს არ ესაუბრა

პარიზი, 26 აგვისტო. ჰავასის სააგენტო იუწყება: პარიზში მოსვლისთანავე შტრეზემანი ესაუბრა ბრიანს; საუბარმა 40 წუთს გასტანა. შტრეზემანმა უარი უთხრა ჟურნალისტებს, რომ რამე ეცნობებინა მათთვის ბრიანთან საუბრის შესახებ. მან მხოლოდ სთქვა, რომ ექიმებმა აუკრძალეს მას ნახევარ საათზე მეტ ხანს ლაპარაკი. ავადმყოფობა აიძულებს შტრეზემანს, დასტოვოს პარიზი კელოგის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მეორე დღესვე. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის გამო გამართულ ზეიმში გერმანიის მხრით მონაწილეობას მიიღებს გერმანიის პარიზელი ელჩი ფონ-გეში. საჭიროა აღინიშნოს, რომ 1867 წლიდან გერმანიის მინისტრი ოფიციალურად პირველად მივიდა პარიზში.

(ადს).

„დაგვიანებული მიწვევა"

პარიზი, 26 აგვისტო. „სუარ"-ში მოთავსებულია წერილი „დაგვიანებული მიწვევის" სათაურით. ჩიჩერინი რომ არ გამოსულიყო თავისი ინტერვიუთი—სწერს ავტორი,—არავის არ გაახსენდებოდა საბჭოთა კავშირის მიწვევის აუცილებლობა კელოგის ხელშეკრულებაში მონაწილეობის მისაღებადო. შემდეგ ავტორი გამოსთქვამს გაოცებას იმის გამო, რომ კელოგის ხელშეკრულების ინიციატორებმა საბჭოთა კავშირი ჩააყენეს თანასწორ პირობებში პატარა სახელმწიფოებთან, და აღნიშნავს, რომ დიდ სახელმწიფოებს თავიანთი შენიშვნები შეეტანათ ხელშეკრულებაში, საბჭოთა კავშირს კი მხოლოდ იმის ნებას აძლევენ, რომ ხელი მოაწეროს დოკუმენტს, რომლის რედაქცია სხვებმა გამოიმუშავეს. (ადს).

კელოგის განცხადება

პარიზი, 26 აგვისტო. ჟურნალისტების მიღების დროს ერთ-ერთი ჟურნალისტი შეეკითხა კელოგს: მიიწვევენ თუ არა პაქტის ხელის მოწერის შემდეგ სხვა სახელმწიფოებს მასში მონაწილეობის მისაღებადო. კელოგმა უპასუხა: „უსათუოდ, ყველას. ჩვენ არ ვაპირებთ არავის გამოკლებასო".

„ექსცელსიორ"-ის კორესპონდენტთან საუბრის დროს კელოგმა განაცხადა: „შეერთებული შტატების რესპუბლიკა არ არის იმდენად დაინტერესებული იმ საკითხებით, რომლებსაც ჟენევაში იხილავენ, რომ შევიდეს წევრად ერთა ლიგაში. მიუხედავად ამისა, პაქტის მორალურ ეფექტს შეუძლია გამოიწვიოს შეერთებულ შტატებში უფრო ძლიერი სიმპატია ერთა ლიგისადმი. მაგრამ, ჩვენი იდეალია მოლაპარაკება მსოფლიოს სხვა ერებთან ვაწარმოვოთ უშუალოდ და არა რომელიმე საერთაშორისო ინსტანციის მეშვეობით". (ადს).

ჰერბერტ უელსი კელოგის ხელშეკრულების შესახებ

პარიზი, 25 აგვისტო. ლონდონის გაზეთ „ივნინგ სტანდარტ"-ის კორესპონდენტი კელოგის ხელშეკრულების შესახებ ესაუბრა მწერალს ჰერბერტ უელსს, რომელიც ამჟამად პარიზში იმყოფება.

უელსმა გამოსთქვა გაკვირვება ამერიკის იმ „მოთმინების გამო, რომელსაც იჩენს იგი, როცა ხედავს, თუ როგორ აშორებენ ინგლისი და საფრანგეთი სხვადასხვა პუნქტებს ხელშეკრულებას". „ჩემბერლენმა,—განაცხადა უელსმა,—აღარაფერი დასტოვა ხელშეკრულებაში. ხელს ვაწერთ რა ხელშეკრულებას, მგონი, უარვყოფთ ომს, როგორც ნაციონალური პოლიტიკის იარაღს, მხოლოდ იმ ერების მიმართ, რომლებიც ჩვენთვის მიუწვდომელნი არიან".

კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ როგორ უყურებს უელსი ჩემბერლენის შენიშვნებს ხელშეკრულებაში იმ მთავრობების მონაწილეობის არა სასურველობის შესახებ, რომლებიც „არ არიან საყოველთაოდ ცნობილნი", შენიშვნებს, რომლებიც შემდეგ შეცვლილ იქნა ანალოგიური სურვილით, რომ ხელშეკრულებაში მონაწილეობა მიიღოს ერთა ლიგას წევრებმა,—უელსმა უპასუხა: „აქ კვლავ უეჭველად ანტიბოლშევიკური მანია ჩნდება პირველ ადგილზე. აქ ჩვენ უფრო ფსიქოლოგიის დარგში ვიმყოფებით, ვიდრე რეალური პოლიტიკის დარგში".

„თუ სადმე ამ ქვეყნად,—სთქვა დასასრულ უელსმა,—ომის კარა [illegible], ეს საბჭოთა კავშირის განაპირა სახელმწიფოებში—ფინეთიდან ჩინეთამდე. ამ ქვეყნებში მშვიდობიანობის არაუზრუნველყოფა ნიშნავს იმას, რომ იგი არსად არ იქნება უზრუნველყოფილი". (ხ. დ. ს.).

საფრანგეთის პრესა პარიზის სტადიონზე მომხდარ ინციდენტის შესახებ

პარიზი, 26 აგვისტო. საფრანგეთის პრესა დიდ ადგილს უთმობს იმ ინციდენტს, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარიზის სტადიონზე და რომელიც ძალიან გამწვავდა ფაშისტური პარტიის გენერალური მდივნის ტურატის საფრანგეთის საწინააღმდეგო გამოსვლით რომში.

უკანასკნელი ათი დღის განმავლობაში პარიზის სტადიონზე—კოლუმბზე—სწარმოებდა სტუდენტთა სასპორტო ორგანიზაციების საერთაშორისო შეჯიბრება. იტალიის სპორტსმენებმა რამდენჯერმე გაიმარჯვეს. ფეხბურთის მატჩში იტალიელების მიერ უხეშად გამარჯვების შემდეგ დამსწრე ანტიფაშისტებმა და საფრანგეთის სოციალისტების ჯგუფმა იტალიელებს აუტეხეს სტვენა, რასაც მოჰყვა შეტაკება იტალიელ სპორტსმენებსა და დამსწრეთა ნაწილს შორის. საქმეში ჩაერია პოლიცია, რომელმაც სასტიკად სცემა იტალიის გუნდს. მეორე დღეს სასპორტო შეჯიბრების ორგანიზატორებმა ანტიფაშ ბოდიში მოიხადა და ინციდენტიც ამოწურულად ითვლებოდა. მაგრამ რომის წინადადებით, იტალიის სპორტსმენებმა დასტოვეს პარიზი. რომში მათი შეხვედრის დროს გაიმართა საფრანგეთის საწინააღმდეგო დემონსტრაცია, რომელიც დასრულდა ტურატის გამოსვლით. ამავე დროს პარიზი დასტოვა იტალიის დელეგაციამ, რომელიც პარიზში გამართულ სტუდენტთა საერთაშორისო კონგრესს დაესწრო.

ინციდენტის შეფასებამ საფრანგეთის პრესაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. მემარცხენე გაზეთები, განსაკუთრებით „კოტიდიენ", ბრალს სდებენ იტალიას იმაში, რომ მან გაზვიადა უკვე მოგვარებული ინციდენტი, რითაც იგი აფერხებს საფრანგეთის დაახლოებას. მემარჯვენე პრესა, პირიქით, ამცირებს ტურატის როლს კონფლიქტში და პირველ რიგში აყენებს ანტიფაშისტების შეცდომას. მან წინასწარ ვერ განსჭვრიტა ფაშისტებისა და სტადიონზე დაშვებულ იტალიელ ემიგრანტთა შორის შეტაკების შესაძლებლობა. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

შტრეზემანი პარიზში წავიდა

ბერლინი, 26 აგვისტო. ვოლფის სააგენტოს ცნობით, შტრეზემანი პირადი მდივნისა და პირადი ექიმის პროფესორ ზონდეკის თანხლებით პარიზში წავიდა (ადს).

„ფორვერტსის" ანტისაბჭოთა კამპანია

ბერლინი, 27 აგვისტო. უკანასკნელ დღეებში „ფორვერტსი" სისტემატიურ ანტისაბჭოთა კამპანიას აწარმოებს „საბჭოთა მილიტარიზმთან" ბრძოლის ლოზუნგით. ამ კამპანიის მიზანია, შეანელოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის შიგნით დაწყებული კრიზისი, რომელიც გამოიწვია ჯავშნოსანის აგების გარშემო ატეხილმა ბრძოლამ (ადს).

ჯარისკაცთა აჯანყება ჩიფუში

პეკინი, 27 აგვისტო. 27 აგვისტოს ჩიფუში აჯანყდა 200 ჯარისკაცი, რომელთაც განიარაღება მოელოდათ. მოხდა სისხლის მღვრელი შეტაკება. დაჭრილია 100 ჯარისკაცი. სამხედრო ხელისუფლებას ეშინია, რომ სერიოზული აჯანყება არ მოხდეს ჩიფუში(ადს).

მთავრობის კრიზისის აცილება

ვენა, 26 აგვისტო. სოფიიდან მიღებული ცნობით, პრემიერმა ლაპჩევმა შესძლო იმ უთანხმოების მოგვარება, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრს ბუროვსა და სამხედრო მინისტრს ვოლკოვს შორის არსებობდა. ამრიგად, მთავრობის მოსალოდნელი კრიზისი თავიდან აცილებულ იქნა. მთავრობასთან დაახლოვებული გაზეთი „ზორა" ფიქრობს, რომ შეთანხმება მიღწეულია ერთა ლიგის საფინანსო კომიტეტის იმ მომავალ სესიასთან დაკავშირებით, რომელზედაც განხილული იქნება ბულგარეთისათვის სესხის მიცემის საკითხი (ადს).

ლაიცე გაანთავისუფლეს

რიგა, 26 აგვისტო. გაანთავისუფლეს მემარცხენე პროფკავშირთა ლიდერი ლაიცე, რომელიც დააპატიმრეს პროფკავშირთა რიგის ბიუროს დარბევის წინააღმდეგ გამართულ დემონსტრაციასთან დაკავშირებით (ადს).

რეპრესიები სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 26 აგვისტო. [illegible] მინისტრმა ვუკიჩევიჩმა წინადადება მისცა პრეფექტებს, შეუფარდონ კანონი სახელმწიფოს დაცვის შესახებ ყველა, იმ პირს, ვინც ამ [illegible] პრესაში და კრებებზე აგიტაციას ეწევა სახელმწიფოს მთლიანობისა და არსებული მთავრობის წინააღმდეგ.

ზაგრების ოპოზიციონური წრეების აზრით, ეს ღონისძიება მიღებულია უმთავრესად დალმაციისათვის (ადს).

საერთაშორისო მიტინგი არნჰეიმში

ბერლინი, 27 აგვისტო. როგორც იუწყებიან, არნჰეიმში (ჰოლანდია) გაიმართა საერთაშორისო მიტინგი, რომელიც მოაწყო ჰოლანდიის კომპარტიამ შემდეგი ლოზუნგებით: ვებრძოლოთ იმპერიალისტურ ომს და ფაშიზმს, დავიცვათ საბჭოთა კავშირი. სანაპირო ხელისუფალთა წინააღმდეგობის წყალობით, გერმანელმა წითელმა ფრონტელებმა და მუშებმა 5.000 კაცმა მონაწილეობა ვერ მიიღეს მიტინგში. გერმანიის წითელი ფრონტელების კავშირის თავმჯდომარისა და საფრანგეთის, გერმანიის, ბელგიის და ჩინეთის კომპარტიათა წარმომადგენლების გამოსვლას მიტინგი მხურვალე ოვაციებით შეხვდა (ადს).

შეთანხმება შვეციის მემაღაროეთა და მრეწველთა შორის

შვეციის დეპეშათა სააგენტო იუწყება, 27 აგვისტოს დილით მოხდა შეთანხმება შვეციის მემაღაროეთა და მეპატრონეთა შორის. კონფლიქტი გრძელდებოდა 8 თვის განმავლობაში. შრომის ახალი პირობები რკინის მაღაროებში ძალაში რჩებიან 1930 წლის ბოლომდე. შეთანხმებით გათვალისწინებულია საერთოდ შრომის ხელფასის ძველი მინიმუმის აღდგენა ცოტაოდენი ცვლილებებით ნარდად მუშაობის ტარიფში. მუშაობა მაღაროებში, როგორც ეტყობა დაიწყება უახლოეს მომავალში.

ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე უკრაინაში

ხარკოვი, 27 აგვისტო. წინასწარმა ხელის მოწერამ ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე უკრაინაში 23 აგვისტოსათვის მიაღწია 8.300.000 მან. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ზალესკი თავს იმართლებს

მოსკოვი, 27 აგვისტო. „იზვესტია"-ს საკუთარი კორესპონდენტი ვარშავიდან ბრატინი იტყობინება, რომ გაზეთი „კურიერ ილუსტრიროვანნი"-ში მოთავსებულია ინტერვიუ პოლონეთის გარეშე საქმეთა მინისტრ ზალესკისთან.

თავის საუბარში „კურიერ ილიუსტრიროვანნი"-ის კორესპონდენტთან ზალესკიმ განაცხადა, რომ ხმები იმის შესახებ, თითქოს პოლონეთის მთავრობა შეეცადა ლონდონის დახმარებით ხელი შეეშალა საბჭოთა კავშირისათვის, კელოგის პაქტზე ხელის მოწერაში, მოგონილი ამბავია.

საუბარი ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრთან

მოსკოვი, 27 აგვისტო. „იზვესტია"-ს საკუთარი კორესპონდენტი რიგიდან ბორისოვი გადმოგვცემს, რომ მასთან გამართულ საუბარში ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ბალოდისმა განაცხადა: ლატვია დიდათ კმაყოფილი დარჩება იმით, თუ საბჭოთა კავშირი ხელს მოაწერს ომის წინააღმდეგ მიმართულ პაქტზე.

მუშგლეხინის კავშირი მასასთან

მოსკოვი, 27 აგვისტო. საკავშირო მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელმა თქვენ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

უკანასკნელ დრომდე მოხალისე გამომკვლევებად ჩაეწერა 5.000 კაცი. ყველა მათგანი უკვე დანაწილებულია სამუშაოდ ინსპექციის ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით. თვითეულ მოხალისე გამომკვლევს მიცემული აქვს ესა თუ ის დავალება.

მასის მონაწილეობამ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაობაში დიდი შედეგი მოგვცა. მომავლისათვის ინსპექციის საჩივართა ბიუროს განზრახვა აქვს ყოველდღიურათ მოზიდოს 1.200 მოხალისე გამომკვლევი.

ყვითელი თამბაქოს ექსპორტი

მოსკოვი, 27 აგვისტო. გაზეთი „ეკონომიჩესკაია ჟიზნ"-ი ეხება თამბაქოს ექსპორტის გაძლიერების საკითხს და სწერს:

თამბაქოს საექსპორტო საქონელთა შორის საპატიო ადგილი უჭირავს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ყვითელი თამბაქოს ექსპორტის გაძლიერებას. შრომისა და თავდაცვის საბჭომ ამ რამდენიმე ხნის წინად გამოიტანა დადგენილება იმის შესახებ, რომ საჭიროა შეიქნეს თამბაქოს საექსპორტო სარეზერვო ფონდი.

იმისათვის, რომ თამბაქოს ექსპორტი სათანადო დონეზე იქნეს დაყენებული, საჭიროა მტკიცე რაციონალიზაციის ჩატარება თამბაქოს დამზადება-გადაგზავნის საქმეში. ამ მიზნით პირველყოვლისა მეთამბაქოობის რაიონებში უნდა გამოყოფილ იქნეს სპეციალური საექსპორტო უბანი.

მოტოციკლისტი პოტალეევი ჩამოვიდა პირველი

მოსკოვი, 27 აგვისტო. დასრულდა მოტოციკლეტების გადარბენა მოსკოვი-თბილისი-მოსკოვი. თბილისიდან დაბრუნებულ მოტოციკლეტისტებიდან მოსკოვში ფინიშთან პირველად მოვიდა პოტალეევი, რომელსაც დამსწრეებმა დიდი ოვაციები გაუმართეს.

ამიერ-კავკასიელს ერგო საკავშირო პირველობა მძიმე ძლეოსნობაში

მოსკოვი, 27 აგვისტო. აქ მოხდა შეჯიბრება საკავშირო პირველობაზე მძიმე ძლეოსნობაში, რომელშიაც პირველობა მიიღო ბათუმელმა სპორტსმენმა კონსტანტინე პასიკოვმა.

კომინტერნის სექციების ბრძოლის საკითხები

III *)

ამ წერილში მე მინდა გამოვსთქვა რამდენიმე შენიშვნა ჩინეთის საკითხის შესახებ. თეზისებში კანტონის აჯანყების შესახებ ნათქვამია შემდეგი: „კონგრესს სრულ შეცდომად მიაჩნია კანტონის რევოლიუციის განხილვა, როგორც პუტჩისა. თუმცა ხელმძღვანელობის მხრივ ტლანქი შეცდომები იყო დაშვებული, მაგრამ მაინც კანტონის აჯანყება, ეს საარიერგარდო ბრძოლა ჩინეთის პროლეტარიატისა ჩინეთის რევოლიუციის განვლილ პერიოდში, რჩება რევოლიუციის ახალ, საბჭოთა ფაზის, დროშად".

თეზისის ამ ადგილს, რამდენადაც მას კონგრესი მიიღებს, უდიდესი პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს. ეს არა მარტო ღირსეულ პასუხს შეიცავს ტროცკის ოპოზიციისადმი, რომელმაც სოციალ-დემოკრატიასთან სრული თანხმობით, კანტონის აჯანყება კომინტერნის მიერ მოწყობილ პუტჩად, ავანტიურად გამოაცხადა, არამედ ეს ადგილი სრულიად ბოლოს მოუღებს ჩვენს რიგებში, კომუნისტური ინტერნაციონალის რიგებში, ყოველნაირ მერყეობას კანტონის აჯანყების შეფასებაში. თუ რამდენად შორს მიდის ეს მერყეობა, სჩანს ვინმე ამხ. რეიბერგის მიერ „კომუნისტურ ინტერნაციონალის" ერთ-ერთ უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილი წერილიდან. მთელი შინაარსი ხსენებული წერილისა მოქცეულია ორმაზროვან დასკვნაში: კარგია ის აჯანყებები, რომლებიც კარგად დასრულდება, ხოლო ცუდი, რომლებიც ცუდად დასრულდება. კერძოდ კანტონის აჯანყების შესახებ ამხ. რეიბერგი შემდეგსა სწერს:

„კანტონის აჯანყება დამარცხდა და არც შეიძლებოდა არ დამარცხებულიყო, ვინაიდან არ იყო საკმაოდ ფართო აჯანყების სოციალური ბაზა, კანტონსა და გუანდუნის პროვინციაში აჯანყების გამარჯვებით დასაგვირგვინებლად პირობები არ იყო საკმაოდ მომწიფებული რევოლიუციისა და კონტრრევოლიუციის რეალური სამხედრო ძალები არ იყო დამაკმაყოფილებელი, აჯანყების მომენტი (1 დეკემბერი) არ იყო მოხერხებულად შერჩეული".

რა არის ნათქვამი მე-VI კონგრესისადმი წარმოდგენილ თეზისებში კანტონის აჯანყების შესახებ? თეზისებში ნათქვამია, რომ პარტიულ ხელმძღვანელობის მხრივ დაშვებული იყო დიდი შეცდომები, როგორც აჯანყების მომზადების პროცესში, ისე თვით აჯანყების დროს, მაგრამ თვით კანტონის აჯანყება სრულიად კანონშეწონილი, აუცილებელი და სწორი მოვლენაა. წინააღმდეგ შემთხვევაში ის პუტჩი იქნებოდა. რას ამბობს რეიბერგი? ის ამბობს, რომ ყველაზე უფრო დიდი შეცდომა კომუნისტებისა კანტონში თვით აჯანყების მოწყობა იყოვო. რეიბერგი აცხადებს, რომ:

„აჯანყების ხელმძღვანელთა მიერ დაშვებულ სამხედრო და ორგანიზაციულ-ტექნიკურ შეცდომებსაც (გეგმის დაუმუშავებლობა, არსენალისა, თოფისა და გრანატის საწყობის აუღებლობა, ბარიკადების მოწყობის უცოდინარობა, ქვეითისა და საარტილერიო პოლკის განიარაღებულ ჯარისკაცების გამოუყენებლობა) — უსათუოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა კანტონის ბრძოლის წარმატებით დამთავრებისათვის, მაგრამ ზემოდ მოხსენებულ ობიექტიურ მიზეზებთან შედარებით ამათ ჰქონდათ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა, და არა გადამწყვეტი".

მაშასადამე, ძირითადი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ საზოგადოდ აჯანყება მოეწყო. ამ თვალსაზრისს არაფერი საერთო არა აქვს იმასთან, რაც მე-VI კონგრესისადმი წარდგენილი თეზისებიდან აქ მოვიყვანეთ.

ამხ. რეიბერგს აქ ყველაფერი აქვს ნათქვამი, გარდა სიტყვა „პუტჩ"-ისა. თუ აჯანყება მართლაც ისეთ პირობებში მოეწყო, როდესაც საკმაოდ ფართო არ იყო სოციალური ბაზა, როდესაც აჯანყებისათვის პირობები საკმაოდ მომწიფებული არ იყო, როდესაც ძალთა რეალური განწყობილება არ იყო აჯანყებისათვის სასარგებლო, თუ ის ნაადრევად მოეწყო, მაშასადამე ის ყოფილა პუტჩი. მე უნდა განვაცხადო, რომ ასეთივე უფლებით შეიძლება პუტჩი ეწოდოს ყოველ აჯანყებას, რომელიც დამარცხებით დასრულდა, კერძოდ, 1905 წ. დეკემბრის აჯანყებას 1923 წ. გამბურგის აჯანყებას, 1924 წლის აჯანყებას ესტონეთში, — ყველა ამათ უფრო მეტად, ვიდრე კანტონის აჯანყებას, რეიბერგის ამ თვალსაზრისით პუტჩი უნდა ეწოდოს.

როდესაც მე ამხ. რეიბერგის წერილს ვკითხულობდი, მეგონა, რომ რეიბერგი ამხ. პეპპერის ფსევდონიმია, იმდენად ერთი და იგივეა არგუმენტაცია ამხ. რეიბერგისა და ამხ. პეპპერის კანტონის აჯანყების საკითხში.

რით ვლაპარაკობ მე აქ ისევ პეპპერის შესახებ? იმიტომ, რომ ამას წინეთ ამხ. პეპპერმა, მეტი რომ არა ვსთქვათ, თამამად განაცხადა ამერიკის „კომუნისტში", კომინტერნის აღმასკომის მე-IX პლენუმმა მთლიანად და სავსებით კანტონის აჯანყების შესახებ ჩემი თვალსაზრისი მიიღოო.

ამხანაგებო, ხომ ყველამ იცის, რომ ამხ. პეპპერი კანტონის აჯანყების საკითხში ასეთი აზრისა იყო: ის კანტონის აჯანყების წინააღმდეგი იყო აჯანყებამდე, წინააღმდეგი იყო აჯანყების დროს და წინააღმდეგია აჯანყების შემდეგაც. ყველა ის მოსაზრებები, რომლებითაც ის აჯანყების წინააღმდეგ გამოვიდა, ამ ჟამად არსებითად და ფორმითაც განმეორებულია ამხ. რეიბერგის წერილში. მაინც გამოირკვა, რომ რეიბერგი პეპპერი არ არის, არამედ სხვა ამხანაგია. ამით საქმე არ იცვლება. ამხ. პეპპერს დამსახურებად მიაჩნდა ის გარემოება, რომ ჯერ კიდევ კანტონის მუშების გამოსვლამდე ის აფრთხილებდა ჩინეთის კომუნისტურ პარტიის ხელმძღვანელებს და მიუთითებდა კანტონის აჯანყების აუცილებელ დამღუპველობაზე. მე არ მსურს გავატარო სრული ანალოგია, არავითარ შემთხვევაში არ მსურს ამხ. პეპპერს მენშევიკი ვუწოდო. მაგრამ უნდა მოგაგონოთ, რომ რუსეთის მენშევიკები 1905-1906 წ. დეკემბრის აჯანყების წინააღმდეგ გამოდიოდნენ, იმავე მოსაზრებით, რომ ეს აჯანყება ნაადრევად მიაჩნდათ და თავის დამსახურებად სთვლიდენ იმას, რომ ისინი ნაადრევი აჯანყების წინააღმდეგნი იყვნენ.

მოვიყვან ამ საგანზე პატარა ციტატას. ლენინი სწერს: „პლეხანოვმა ხუმრობით თავის თავი რომის სარდალს შეადარა, რომელმაც ნაადრევი ბრძოლისთვის შვილი სიკვდილით დასაჯა. მაგრამ მე რომ „შვილი" ვიყო, გადამწყვეტი ბრძოლის დროს, როდესაც „რევოლიუციის ძალებმა უკვე გადაამეტეს მთავრობის ძალებს", მე ერთის წამითაც არ შევყოყმანდებოდი და მოვკლავდი (ან რომაულად დავჩხვლეტდი) „მამას", რომელმაც რეაქციასთან შერიგების ლოზუნგი მოგვცა, და დამშვიდებით წარუდგენდი მომავალ მომხსენებს *) გასარჩევად საკითხს, იყო თუ არა კანონიერი ჩემი საქციელი: მოკვლა მოღალატისა, მისი დასჯა, თუ ეს იყო დანაშაული უფროსის პატივისცემის წინააღმდეგ".

ამხ. რეიბერგისა და პეპპერის მიერ მოცემულ შეფასებას კანტონის აჯანყებისა, არაფერი საერთო არა აქვს იმასთან, რაც თეზისებშია.

რომ ისეთი შთაბეჭდილება არ შეიქმნეს, თითქოს მე მსურდეს ჩინეთის საკითხის შესახებ საკუთარი შეცდომები დავმალო და ამავე დროს კი სხვების შეცდომები აღვნიშნო, მე პირდაპირ უნდა განვაცხადო, რომ მეც მომივიდა მე-IX პლენუმის წინ ერთი სერიოზული შეცდომა, რომელიც მინდა აქვე აღვნიშნო. ჩემი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ კანტონის აჯანყება მე მიმაჩნდა არა საარიერგარდო ბრძოლად, არა იმ ბრძოლის უკანასკნელ აქტად, რომელიც რევოლიუციის მთელს პერიოდს ჯამს უკეთებდა, არამედ მიმაჩნდა ჩინეთის რევოლიუციის ახალი შეტევის დასაწყისად. შემდეგმა ამბებმა არ გაამართლა ეს თვალსაზრისი, ამბებმა გვიჩვენეს, რომ კანტონის აჯანყება უკანასკნელი რგოლი იყო იმ რევოლიუციონურ ბრძოლათა მთლიანი ჯაჭვის, რომელიც განსაკუთრებით გაღვივდა 1927 წლის ნახევარში, შემდეგ თანდათან დაიწია და დასრულდა უკანასკნელი მძლავრი ანთებით—კანტონის აჯანყებით.

კანტონის აჯანყებას დეპრესია მოჰყვა. ჩემი შეცდომა იმაში მდგომარეობდა, რომ მე, რაკი კანტონის აჯანყების შემდეგ შექმნილი სიტუაციის შემცდარი შეფასებიდან გამოვდიოდი, განვაგრძობდი ფიქრს, რომ მომავალშიაც ისე, როგორც კანტონის აჯანყებამდე, საჭირო იყო უშუალოდ შეიარაღებული აჯანყების მზადება. ეხლა სრულიად ნათელია, რომ ამ ხაზს კანტონის აჯანყების შემდეგ არავითარი ნიადაგი არ ჰქონია. მე-IX პლენუმი და მის შემდეგ დღეს ის თეზისები, რომლებიც მე-VI კონგრესს წარედგინა, სრულიად სამართლიანად სვამენ საკითხს იმის შესახებ, რომ შეიარაღებული აჯანყების ლოზუნგი დღეს შეიძლება დარჩეს მხოლოდ პროპაგანდისტულ ლოზუნგად და მხოლოდ იმ რაიონებში, სადაც გლეხთა სტიქიურ აჯანყებებს აქვს ადგილი, კომუნისტებმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ გლეხთა აჯანყებებს, უნდა გამაგრდნენ და გაძლიერდნენ. მაგრამ არსებითად შეიარაღებული აჯანყების ლოზუნგი ჩინეთის კომპარტიისათვის პროპაგანდისტული ლოზუნგია. მაგრამ ვინმეს რომ ეთქვა, კანტონის აჯანყება არ უნდა მოწყობილიყოვო, ეს სრულიად დაუშვებელი გამრუდება და შელახვა იქნებოდა კომინტერნის ხაზისა ამ საკითხში. მე მინდა ლენინის ნაწერებიდან მოვიყვანო პატარა ციტატა, რომელიც სწორედ ასეთ პრობლემას ეხება. ლენინი სწერდა: „მარქსისტი პირველი გრძნობს რევოლიუციონურ ეპოქათა მოახლოვებას და ჯერ კიდევ მაშინ შეუდგება ხალხის გაღვიძებას და მოწოდებას, როდესაც ფილისტერებს ერთგულ ქვეშევრდომების ძილით სძინავთ. ამიტომ მარქსისტი პირველი ადგება რევოლიუციონური ბრძოლის გზას, პირველი მიდის უშუალო შეტევაზე, თან ამჟღავნებს სოციალურ და პოლიტიკურ უსუსურთა შემრიგებლობითი ილიუზიებს. ამიტომ მარქსისტი უკანასკნელი სტოვებს რევოლიუციონური ბრძოლის გზას, სტოვებს მაშინ, როდესაც ყოველივე შესაძლებლობა ამოწურულია, როდესაც უფრო მოკლე გზის იმედის ნასახიც არ დარჩენილა, როდესაც მოწოდება მასიურ გაფიცვებისაკენ, აჯანყებისაკენ და სხვ. სრულიად უნიადაგოა. ამიტომ მარქსისტი ზიზღით უპასუხებს რევოლიუციის იმ უამრავ რენეგატებს, რომლებიც მას უყვირიან: ჩვენ შენზე „პროგრესიულები" ვართ, ჩვენ ადრევე ვსთქვით უარი რევოლიუციაზეო. ჩვენ ადრევე „დავემორჩილეთ კონსტიტუციასო".

მე ვფიქრობ, რომ ჩინეთის ამხანაგებს სრული უფლებით შეუძლიათ ლენინის ამ სიტყვებით უპასუხონ ყველა იმათ, ვინც ამ ამხანაგებს უსაყვედურებს, გაუფრთხილებლად და უდროვოთ დაიწყეთ კანტონის აჯანყებაო. სანამ კიდევ ცოტაოდენი იმედი იყო, რომ რევოლიუციონური აღტყინება გაგრძელდებოდა, საჭირო იყო ისე მოქცევა, როგორც მოიქნენ გასული წლის დეკემბერში ჩინელი ამხანაგები. დღეს კი, როდესაც მდგომარეობა უფრო ნათელია, როდესაც საბოლოოდ გამორკვეულია, რომ ჩინეთის განვითარება მიმდინარეობს არა პირდაპირი რევოლიუციონური გზით, არამედ მიხვეულ-მოხვეულის გზით, როგორც ამხ. ლენინს უყვარდა ლაპარაკი ისტორიულ გადახვევებზე, დღეს, რასაკვირველია, სულ სხვა საქმეა.

მე საჭიროდ მიმაჩნია აქ სულ მოკლედ შევჩერდე იმაზე, რასაც კონგრესზე ლაპარაკობდა ამხ. ვარგა. მან განაცხადა, რომ კაპიტალიზმის მსოფლიო სისტემაში უდიდესი სტრუქტურული ცვლილებები მოხდაო და ეს ცვლილებები უმუშევრობის ხასიათის რადიკალურ შეცვლაში გამოიხატება. გასული პერიოდის იმ სარეზერვო არმიასთან შედარებით, რომელიც თანდათან იზრდებოდა, დღევანდელი უმუშევრობა, ამხ. ვარგას „სტრუქტურულ" უმუშევრობად მიაჩნია. კიდევ უფრო დაწვრილებით ეს აზრი ამხ. ვარგამ გამოხატა თავის წიგნში, რომელიც მან კონგრესისათვის გამოსცა და რომელიც, ალბათ, კონგრესის დელეგატების უმრავლესობამ წაიკითხა. თავის წიგნში ამხ. ვარგა აცხადებს შემდეგს: „წინეთ ნაწილი მუშათა კლასის (საერთოდ საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებაში), როგორც მთელის, — ცვალებადი კაპიტალი — მსხვილ ინდუსტრიალურ ქვეყნებში ეცემოდა მხოლოდ შედარებით. უკანასკნელ პერიოდში კი მისი აბსოლიუტურად შემცირება მოჰყვა. (გვ. 58. Die Wirtschaft der Niedergangperiode).

ამნაირად, ყველა მსხვილი ინდუსტრიალური ქვეყნებისათვის, ამხ. ვარგას აზრით, ძალაში შევიდა ისეთი კანონი განვითარებისა, რომლის დროს აბსოლიუტურად ეცემა ცვალებადი კაპიტალი და, მაშასადამე, მუშათა კლასის რიცხვიც, და ერთდროულად იზრდება მუდმივი კაპიტალი.

ეს ის თემაა, რომელსაც ნაწილობრივ შეეხო ამხ. ბუხარინი თავის მოხსენებაში, როდესაც ის ამხ. პეპპერზე ლაპარაკობდა, მაგრამ განსაკუთრებით ეს თემა ამხ. ვარგამ განავითარა. მე არ ვაპირებ ვეკამათო ამხ. ბუხარინს. ამხ. ბუხარინმა მხოლოდ ფაქტი აღნიშნა, რომ ამ ჟამად ამერიკაში ჩვენ ვამჩნევთ ცვალებადი კაპიტალის აბსოლიუტურ შემცირებას და C-ს — (მუდმივი კაპიტალის) ზრდას, მაშინ, როდესაც წინეთ მუდმივი კაპიტალის ზრდას თან სდევდა V-ს (ცვალებადი კაპიტალის) შედარებითი შემცირება. არავითარი საერთო დასკვნები ამ ფაქტიდან ამხ. ბუხარინს არ გაუკეთებია. ერთი, რაშიაც მე არ ვეთანხმები ამხ. ბუხარინს, ეს ისაა, რომ მსგავსი მოვლენა ჩვენ კიდევ გვქვს მსოფლიო ისტორიაში. მე შემეძლო მარქსის ნაწერებიდან სპეციალური ადგილები მომეყვანა. მარქსს თავის „კაპიტალში" მოჰყავს მთელი რიგი ფაქტებისა, როდესაც მრეწველობის ცალკე დარგებში დროებით მუდმივ კაპიტალის ზრდასთან ადგილი აქვს მუშების რიცხვის აბსოლიუტურ შემცირებას. ამნაირად, ის მოვლენა, რომელზედაც ამხ. ბუხარინი ლაპარაკობდა, სრულიად არ შეადგენს თავისებურ გამონაკლისს.

ამხ. ვარგა არ კმაყოფილდება ამ ფაქტის კონსტატაციით. აქედან მას დასკვნა გამოჰყავს. ეს საერთო დასკვნა სრულიად ეწინააღმდეგება მარქსის მოძღვრებას.

ამხ. ვარგა თვითონაც არ მალავს, რომ მისი თეზისი შეიცავს რაღაც ახალს მარქსის მიერ დადგენილ კანონებთან შედარებით. მოვიყვან აქ ერთ ადგილს „კაპიტალიდან", რომელშიაც მარქსი ამბობს იმის სრულ საწინააღმდეგო დებულებას, რასაც აყენებს ამხ. ვარგა: „როგორც უბრალო წარმოება მუდამ ასახავს კაპიტალისტურ ურთიერთობას, — ერთის მხრით კაპიტალისტებს, მეორეს მხრივ, დაქირავებულ მუშებს, — ასევე წარმოება ფართო მასშტაბით ანუ დაგროვება ასახავს კაპიტალისტურ ურთიერთობათ ფართო მასშტაბით: ერთ პოლიუსზე მეტი კაპიტალისტები, ანუ სხვილი კაპიტალისტები, მეორეზე — მეტი დაქირავებული მუშები". ამ აბზაცის ბოლოში მარქსი სწერს: „ამნაირად, კაპიტალის დაგროვება არის ზრდა პროლეტარიატისა".

ამხ. ვარგა კი ამტკიცებს წინააღმდეგს, რომ ამ ჟამად კაპიტალის დაგროვებას თან სდევს არა ზრდა, არამედ აბსოლიუტური შემცირება მუშათა კლასისაო.

მე უნდა აღვნიშნო, რომ ეს თეორია არ არის ძალიან ახალი. ეს თეორია თავის დროზე წამოყენებული იყო ტუგან-ბარანოვსკის მიერ. მშვენიერი პასუხი გასცა ტუგან ბარანოვსკის ამხ. ბუხარინმა თავის წიგნში როზა ლიუქსემბურგის წინააღმდეგ.

მაგრამ, ჯერ კიდევ მარქსის დროს ცნობილი იყო ეს თეორია და მარქსი „კაპიტალში" სასაცილოდ იგდებს ვინმე განილს, რომელმაც ისეთივე აზრი წამოაყენა, რომელსაც აქ იცავს ამხ. ვარგა. მარქსი ამბობს: „განილის თვალსაზრისის კრეტინიზმი შეიძლება გამოხატულ იქნას მისივე საკუთარი სიტყვებითო". ქვევით მოყვანილია განილის სიტყვები: „წარმოებაში ჩაბმული და მომხმარებელი კლასები კლებულობს, ხოლო კლასები, რომლებიც განაგებენ შრომას, ხალხს აძლევენ დახმარებას, ნუგეშსა და განათლებას, მატულობენ და ითვისებენ იმ სიკეთეთ, რომელნიც გამომდინარეობენ შრომის ხარჯის შემცირებისაგან, პროდუქტების უამრავობისა და გადიდებისაგან. ამ მიმართულებით კაცობრიობა უმაღლეს საფეხურს აღწევს, რელიგიის სიღრმეებში იხედება" და სხვა. ამას მიჰყვება მისტიური აბდა-უბდა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ განილი ამტკიცებდა, მწარმოებელი კლასები კლებულობს, ხოლო შრომის გამგე კლასები კი მატულობენო. მე ვამტკიცებ, რომ თუ ახლა ზოგად თეორიას აყენებენ, რომლის მიხედვით გიგანტურ დაგროვების დროს, მუდმივი კაპიტალის დაგროვების დროს ხდება ცვალებადი კაპიტალის (V) აბსოლიუტური შემცირება, ეს იმას ნიშნავს, რომ გაცოცხლდა განილის თვალსაზრისი. და ეს სრულიად ეწინააღმდეგება იმას, რასაც ამბობდა მარქსი კაპიტალიზმის განვითარების კანონზე.

რაზე ამყარებს ამხ. ვარგა თავის საერთო დასკვნას? ამხ. ვარგა თავის დასკვნას ამყარებს მხოლოდ ორ ტაბულაზე. მე სახეში მქონდა დაწვრილებით კრიტიკულად განმეხილა ეს ორი ტაბულა. ახლა მხოლოდ გაკვრით უნდა აღვნიშნო რაც უფრო მთავარია. ერთ-ერთი ამ ტაბულათაგანი აღებულია ამერიკულ ჟურნალ „კომმერც ვარბუკ"-იდან, რომელშიაც ნაჩვენებია, რომ 1919—1925 წ. მუშათა რიცხვი 7 პროცენტით შემცირდაო, ხოლო მრეწველობისა, რკინის გზის ტრანსპორტისა და სოფლის მეურნეობის პროდუქცია 20 პროცენტით გადიდდაო.

ჯერ ერთი ამ ტაბულაში არ არის კარგად შემოწმებული ცნობები. შემდეგ მოყვანილი ცნობები მხოლოდ

---

*) დასასრული. ს. „კომუნისტი" № 198.

*) ცნობილი ისტორიკოსი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმპერიალისტების თვალთმაქცობა და ჩვენი ბრძოლა მშვიდობიანობისათვის

ხვალ პარიზში ხელს მოაწერენ კელოგის ხელშეკრულებას. ყველაფერი მზად არის, რომ ზეიმით „მონათლონ“ ხელშეკრულება, რომელსაც ფართო რეკლამას უკეთებდნენ მთელ მსოფლიოში და რომელიც თვით მისმა ინიციატორებმა გამოშიგნეს და შეკვეცეს. ეს „დიდი დღეა“ ფილისტრებისათვის, შუათხელი მედუქნეებისა და ობსკურანტებისათვის ხუცურ-ფაშისტურ-სოციალისტური ტიპის მუხანათი პაციფისტებისა და გაიძვერებისათვის. საერთაშორისო დიპლომატიის ინტრიგანებისა და ბამბუშუკებისათვის, გაზების მექარხნეებისა, ტყვიისა და ზარბაზნების დამზადებისათვის.

მაგრამ თვით ჩვენ მიერ ჩამოთვლილი ხროვასაც კი ძალიან დიდად არ „სწამს“ კელოგის მიერ დაწყებული საქმე. ხელშეკრულების ხელის მოწერის საზეიმო ფორმა, როგორც ბურჟუაზიული პრესა აღიარებს, უფრო იმისათვის არის დანიშნული, რომ „დაფაროს“ მისი შინაარსის სრული უბადრუკობა. ხელშეკრულების ოქროთი გავარაყებულ „ფორმულებს“, მუხლებს და პარაგრაფებს ისევე არ ძალუძს დაფარონ მისი იმპერიალისტური შინაარსი და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ მიმართული მახვილი, როგორც გამჭვირვალე ტანისამოსს არ ძალუძს დაფაროს როსკიპის გახრწნილი სხეული. სწორედ იმ დღეს, რა დღესაც პარიზის მდიდრულად მორთულ ემბაზში თვალთმაქცური სიტყვებით და შამპანიურით შეამკობენ ხაზრალო და დღენაკლულ მშვიდობიანობის „ანგელოზს“, რომელსაც ამ საზეიმო წესის შესრულებამდე ყოველმა მოზრდილმა იმპერიალისტურმა სახელმწიფომ ჩაარტყა თითო მაგარი მუშტი („შენიშვნები“), სწორედ იმავე დღეს კენტერბერიის არქიეპისკოპოსის უწმინდესი განკარგულებით მთელ ინგლისს მოედება ზარების „ტკბილი გუგუნი“ და ქალაქებსა და სოფლებში გადაიხდიან სამადლობელ პარაკლისს. სხვათა შორის არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ტკბილ გუგუნსაც“ არა ნაკლებ ორპირული მნიშვნელობა აქვს, ვიდრე თვით ხელშეკრულებას: ეს არის ეკლესიის სენტიმენტალური „ხარებაც“. ეს არის გვარდიელების ვერცხლის დეზების წკარუნიც. როგორ თავხედური, როგორ დამცინავია მთელი მსოფლიოს ნამდვილი მდგომარეობა პარიზის ხვალინდელი ალლუმისათვის. მარსზე ან მთვარეზე რომ იყო, იქიდანაც კი არ შეიძლება არ დაინახო, რომ იმპერიალისტურ დედა-მიწაზე აკეთებენ ყველაფერს, მხოლოდ არა „მშვიდობიანობის საქმეს“. ანგარებაზე დამყარებული შური, დიპლომატიური ვაჭრობა, ინტრიგები, ლახვარის ხელში მომარჯვება მოხერხებულ დროს ზურგში ჩასაცემად,—აი რას ვხედავთ იმპერიალისტების ბანაკში.

ამ საზეიმო ალლუმის ორი კვირის წინედ ბრიან-ბონკურის მეთაურობით დაიდო ინგლის-საფრანგეთის სამხედრო-საზღვაო კავშირი. ამ გარემოებამ ყველა კრამოლნიკებს და ბოლშევიკების ჯინაზე, ალბად, უნდა დაასურათოს ის, თუ როგორ აცხადებენ პრაქტიკულად „ომს კანონს გარეშე“. მისტერ კელოგმა უკვე გამოსთქვა თავისი უკმაყოფილება ბრიტანეთ-საფრანგეთის საზღვაო ბლოკის გამო და გაკვრით შენიშნა, რომ ჩრდილო ამერიკის შეერთ. შტატებმა საზღვაო განიარაღების დარგში „ზომები უნდა მიიღოს“-ო. მაშასადამე, ერთის მხრით სდგას პარიზის ხალხი, ხოლო მეორეს მხრით კრეისერები და ავიომზიდავები. სწორედ პარიზის დღესასწაულის წინ იმპერიალისტური ამერიკა მოურიდებლად შეიჭრა ხმელთა შუა ზღვის ბასეინში და ეგვიპტესთან დასდო საარბიტრაჟო ხელშეკრულება. დეპეშები უკვე იუწყებიან, ვაშინგტონის ეს „ტრიუკი ეგვიპტეში“ სრულებითაც არ უწყობს ხელს ინგლისისა და შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუმჯობესებას“-ო.

სწორედ ხელშეკრულების დადების წინ ბალკანეთის „სარკეთა სისტემაზე“ გაითამაშა დიდი იმპერიალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგობათა უკუფენილმა სინათლემ: იტალია ალბანეთის ტახტზე აჯენს თავის მსახურს, ხოლო საფრანგეთ-ინგლისის დიპლომატია უხეშად ჰკრავს ხელს ბულგარეთს და ებმარება სამხრეთ-სლავიას, რომელიც „უმაღლეს მფარველობას“ და სამხედრო სესხს ეძებს ლონდონსა და პარიზში. აღმოსავლეთ ევროპის „გაცოფებული ბავშვი“ მარშალი პილსუდსკი იარაღს აჟღარუნებს ლიტვის წინააღმდეგ და ემუქრება დამოუკიდებლობის წართმევით. უეჭველია, რომ მშვიდობიანობის საქმის გამარჯვების მიზნით „დაინიშნა ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ნაწილების შეერთებული მანევრები რეინის ოლქში. ჯერ კიდევ ამას წინედ მეორე ინტერნაციონალის კონგრესმა ამნისტია და კურთხევა მიანიჭა სოციალისტებს, იმისთვის, რომ ურცხვად ემსახურონ თავიანთ ბურჟუაზიას ყველა სამხედრო და ანტისაბჭოთა საქმეებში: „ბრიუსელის საქმიანობა“ ამ მხრივ „პარიზის შეკის“ მხოლოდ დამატებას წარმოადგენს. გერმანიის კოალიციური „ჯავშნიანი“ სოციალისტებიც თავის მხრივ მთელი ძალ-ღონით სცდილობენ „დაჯავშნონ“ მშვიდობიანობის საქმე, მიუხედავად გერმანელი მუშების აურაცხელი პროტესტებისა, წყევლა-კრულვისა და დაცინვისა. ინგლისის საზღვაო საქმეთა სამინისტრომ ყველაზე უფრო თავხედურ გზას მიმართა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ: მან „წინადადება შეიტანა“, რომ საერთაშორისო თავაზიანობის დაცვის გულისთვის ფინეთის წყლებში გაიგზავნოს კრეისერი. ცხოვრების სინამდვილე მრავალ პიკანტურ ულმობელ კომენტარიებს გაუკეთებს კელოგის ხელშეკრულებას, რომელიც ხვალ უნდა „დაიბადოს“.

ძველმა მელამ ლოიდ ჯორჯმა, რომელსაც არ შეიძლება წაერთვას ის თვისება, რომ ზოგჯერ მას შეუძლია საგნებს უწოდოს თავისი სახელი, ამგვარ სიტყვებში ჩამოაყალიბა მშვიდობიანობის თვალსაზრისით უაზრო და შეუსაბამო საქმიანობა, მაგალითად ისეთი საქმიანობა, როგორიც არის კელოგის ხელშეკრულება: „მე ყოველთვის იმ აზრს ვიცავდი, რომ სამშვიდობო ხელშეკრულებანი განიარაღების გარეშე ყოველთვის დარჩება უშედეგოდ. სანამ კაცობრიობა ადამიანთა საცხოვრებლების დასანგრევად უფრო მეტ ფულს ხარჯავს, ვიდრე ამ შენობების ასაგებად, ლაპარაკი უკეთეს მშვიდობიანობაზე ცარიელი ლაყბობაა. უაზრობაა სამშვიდობო ხელშეკრულებათა დადება იმ დროს, როცა დამგრეველი აპარატი თანდათან უმჯობესდება“-ო.

ერთმა ევროპიელმა ჟურნალისტმა, რათა დაემტკიცებია „ჩვენს სამყაროში“ არსებული ყოველგვარი სამშვიდობო ხელშეკრულებათა წარმავალობა, მთელი ისტორიული გამოკვლევა მოახდინა და მოიგონა, რომ ჯერ კიდევ 196 წელში ჩვენს ხანამდე რომის პროკონსული ტიტუს კვიარტიუს ფლამინუსი რომის სახელით მივიდა საბერძნეთის ხალხთა ოლიმპიის სათამაშოზე და სთხოვა მშვიდობიანობის დამყარება. მაგრამ ამ გარემოებამ სრულებით არ შეუშალა ხელი იმას, რომ შემდეგში ელადა გადაქცეულიყო რომის იმპერიის კოლონიად.

რა თქმა უნდა, არავინ არ შეუშლის ხელს „მოხდეს“ პარიზში ის, რისთვისაც ასეთის ზეიმით ემზადებიან. იმპერიალისტური მტაცებლობის რაინდებს არ გაუჭირდებათ დიდის რიხით ჩაატარონ მშვიდობიანობის კომედია (მით უმეტეს - ცარიელი სიტყვების მეტი არაფერი დაეხარჯებათ). საზეიმო სიტყვები წარმოითქმება, „დიდებული“ ამერიკულ ხარტიას ხელს მოაწერენ. ერთ მაგიდას ღიმილით შემოუსხდებიან ისინი, რომელნიც მახვილს ლესავენ ურთიერთის წინააღმდეგ და საბჭოთა ქვეყნების წინააღმდეგ.

და ამ საერთაშორისო თვალთმაქცობის, სიცრუის და აღრევის დროს, იმ დროს, როცა ასე ბოროტად სცდილობენ ხალხების მოტყუებას და მათი თვალის ახვევას, კვლავ გაისმის ხმა, რომელიც მსოფლიოს მშვიდობიანობისაკენ მოუწოდებს, და გაისმის ეს ხმა მუშურ - გლეხურ ქვეყნიდან. ამხ. ლიტვინოვის დღეს გამოქვეყნებულ ნოტაში ჩვენ ერთხელ კიდევ წამოვაყენეთ მშვიდობიანობისა და განიარაღების ძირითადი საკითხები, რომლებიც იმპერიალისტურმა დიპლომატიამ, თვალწარმტაცი დეკლარაციების მიუხედავად დამალა. ჩვენ ყველას გასაგონად და აშკარად ვეკითხებით ამ დიპლომატიას — ასე დაუსრულებლად რად აჭიანურებს თავის დროზე დასახული განიარაღების კონფერენციის მოწვევას. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ გაჰქრა ის ფორმალური მიზეზებიც კი, რომლებითაც დღემდე ამართლებდნენ კონფერენციის გაჭიანურებას. ჩვენ აღვნიშნავთ, რომ იმპერიალისტებს აშკარად ეშინიათ მათთვის „არასასურველი“ საკითხების დასმისა ე. ი. ეშინიათ ნამდვილი მშვიდობიანობისა და განიარაღების საკითხების, ეშინიათ საბჭოთა კავშირის მონაწილეობის და ამ უაღრესად მნიშვნელოვანი პრობლემის განხილვისა.

ჩვენ მზადა ვართ მონაწილეობა მივიღოთ ყოველგვარ კრებასა, კონფერენციასა და კომისიაში, სადაც კი დაისმება საკითხი საერთაშორისო მშვიდობიანობისა და განიარაღების შესახებ, მზადა ვართ ყველგან და ყოველთვის პირდაპირ და აშკარად დავსვათ მშვიდობიანობისა და ომის ეს უდიდესი საკითხები. მაგრამ ამავე დროს ჩვენ ყველგან ვიცავდით, ვიცავთ და მომავალშიაც დავიცავთ ჩვენ ხაზს. იმპერიალისტურ სიტყვით „მშვიდობიანობის პროგრამას“ (ნამდვილად კი ომის პროგრამას) ჩვენ დაუპირისპირებთ მშვიდობიანობის ჩვენ პროგრამას. ჩვენ იგი გამოვაქვეყნეთ ცნობილ საერთაშორისო დოკუმენტებში, რომლებმაც უკვე გამოიწვია უდიდესი გაბოროტება იმპერიალიზმისა და სოციალ - ლაქიების ბანაკში და მხურვალე სიმპატია და აღფრთოვანებული იმედი მშრომელთა შორის. ჩვენ მტკიცედ და გადაუხვევლად დავიცავთ ჩვენს პროგრამას, რეალური საერთაშორისო მშვიდობიანობის პროგრამას. და, რასაკვირველია, არა კელოგის უბადრუკ ხელშეკრულებას (ხელშეკრულებას, რომელზედაც საბჭოთა კავშირს ხელი არ უწერია), არამედ ჩვენ პროგრამას დაუჭერენ მხარს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი და ჩაგრული ხალხები.

„პრავდა“, 26 აგვისტო.

ლიტვინოვის წერილი

ბერლინი, 26 აგვისტო. მთელი პრესა თვალსაჩინო ადგილას ბეჭდავს,—მეტ წილად, სიტყვა-სიტყვით ლიტვინოვის წერილს, რომელიც მან გაუგზავნა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის თავმჯდომარეს ლოუდენს. (ადს).

ლონდონი, 26 აგვისტო. გაზეთების უმრავლესობა უკომენტარიოდ ბეჭდავს ადგილებს ლიტვინოვის იმ წერილიდან, რომელიც ლოუდენს გაეგზავნა. (ადს).

სოფლის მეურნეობისა, სამთო მრეწველობისა, ინდუსტრიის დანარჩენ დარგებისა და რკინის გზის ტრანსპორტის შესახებ. სადღა გაჰქრა ავტომობილის ტრანსპორტი? თუ რკინის გზის ტრანსპორტს ვიღებთ იმ საკითხის განხილვის დროს, თუ როგორ კლებულობს V C-სთან შედარებით, მაშინ ავტომობილის ტრანსპორტიც უნდა ავიღოთ, ხოლო ავტოტრანსპორტის დარგში კი ჩვენ ვამჩნევთ მუშათა რიცხვის დიდ ზრდას. სად გაჰქრა მშენებლობა, სადაც აგრეთვე ჩვენ ვამჩნევთ მუშათა რიცხვის ზრდას? შეუძლებელია ერთი საეჭვო ტაბულის მიხედვით ისეთი დასკვნების გაკეთება, რომლებიც მარქსის მთელი მოძღვრების გადაშინჯვას უდრის. აღვნიშნავ კიდევ გაკვრით, რომ ხსენებული ტაბულის ცნობების ანალიზის დროს ამხ. ვარგა ერთმანეთში ურევს ორ მომენტს: კაპიტალის ტექნიკურ შემადგენლობას და მის შემადგენლობას ღირებულებით. ამ ორი მომენტის შერევა კი არ შეიძლება. ინგლისის შესახებ ციფრები, რომლებიც მოჰყავს ამხ. ვარგას, გვიჩვენებენ, რომ 1923-28 წლამდე მუშათა რიცხვი აბსოლიუტურად კლებულობს. მაგრამ ამ ცნობებს არღვევს, მაგ., ამხ. სპექტატორი.

ამას გარდა ინგლისში ჩვენ ვხედავთ წარმოების დარგში და საწარმოო საშუალებათა ერთ წერტილზე გაყინვას და არა მუდმივი კაპიტალის ზრდას, უმუშევრობა იქ დეპრესიის ნიადაგზე იზრდება. 1925 წელს, რომელსაც ამხ. ვარგას მიერ მოყვანილი ცნობები ეკუთვნის, უმუშევრობა გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ამჟამად, და დღეს ტექნიკურ გადატრიალებას კი არ გამოუწვევია უმუშევრობის ზრდა, არამედ ის გამოიწვია დეპრესიამ. C-ს გიგანტურ ზრდას კი არ გამოუწვევია ის, არამედ გამოიწვია ამერიკის საწარმოო ძალთა განვითარების შეჩერებამ. საკმაო არ არის თეორეტიული კამათი ასე გაკვრით, მაგრამ მე ამას იმისათვის ვამბობ, რომ აღვნიშნო: სანამ მარქსის ძველი კანონების დარღვევას შევუდგებოდეთ, საჭიროა წინასწარ გვქონდეთ ცოტაოდნად მაინც მნიშვნელოვანი მასალა. სულ უბრალო დასკვნების დასამტკიცებლად მარქსს მოჰყავს კონკრეტიულ მასალათა მთელი გროვა, მაშინ, როდესაც ამხ. ვარგა ასეთ მნიშვნელოვან საკითხში ორ საეჭვო ტაბულას ემყარება.

როგორაა სინამდვილეში უმუშევრობის საქმე? სინამდვილეში ასეა, რომ ტექნიკური გადატრიალება ყოველთვის იწვევდა და დღესაც იწვევს ცალკე წარმოებებში, მრეწველობის ცალკე დარგებში მუშათა რიცხვის შემცირებას, მაგრამ დროებით. მუდმივი მიზიდვა და მოშორება მრეწველობის მუშებისა სარეზერვო არმიის ჩქარ ზრდას იწვევს, მაგრამ დაგროვების მთელი პროცესი მუშათა კლასის აბსოლიუტურ ზრდას იწვევს. ის, რასაც ჩვენ ახლა ვამჩნევთ, არის ამ ზრდის დაჩქარება. ის, რასაც ეხლა ვხედავთ შრომის სარეზერვო არმიის გადიდებას ნიშნავს, მაგრამ ეს სრულებითაც არ სცვლის იმ კანონს, რომლის ძალითაც კაპიტალიზმი თავის განვითარების ყოველ საფეხურზე მუშათა ახალ-ახალ კადრებს ქმნის. ის, რაც ეხლა ხდება უმუშევრობის დარგში, ჩინებულად თავსდება მარქსის მიერ განსაზღვრულ განვითარების კანონთა ფარგლებში. კაპიტალიზმი ვითარდება და იღუპება იმ კანონების მიხედვით, რომელიც მარქსმა განსაზღვრა; ახალი კანონების გამოგონება არ არის საჭირო.

დასასრულ საჭიროდ მიმაჩნია შევჩერდე მხოლოდ ერთ საკითხზე: მე ვფიქრობ, რომ კომუნისტურ მოძრაობაში არსებულ მემარჯვენე საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლა, რომელსაც ეხლა აწარმოებს კომუნისტური ინტერნაციონალი, ოდნავადაც არ მოასწავებს, რასაკვირველია, რომ შესუსტებულ უნდა იქნას ჩვენი შეურიგებელი პოზიცია ტროცკისტულ ოპოზიციის მიმართ. მაგრამ ამ ჟამად ტროცკიზმთან ბრძოლის მწვავე პერიოდი წარსულს ბარდება, მემარჯვენე საფრთხე კი ცალკე კომუნისტურ პარტიებში ძლიერდება. ჩვენ ვამჩნევთ ამ საფრთხეს ამერიკის, გერმანიის, სკანდინავიის ქვეყნების, საფრანგეთის კომუნისტურ ორგანიზაციებში და სხვა.

ის გარემოება, რომ კონგრესმა დროულად აუღო ალღო ამ საშიშროებას და სათანადო წინააღმდეგობას უწევს მას, თავდებია იმისი, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი ამ გადახრასაც უმტკივნეულად დასძლევს.

(მხურვალე ტაში).

ბ. ლომინაძე.

ბოიკოტი ფინეთის გემებს

ბერლინი, 25 აგვისტო. კოპენჰაგენში დამთავრდა ნორვეგიის, შვეციის და დანიის ტრანსპორტის მუშათა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო აგრეთვე ედო ფიმენი, როგორც ტრანსპორტის მუშათა საერთაშორისო გაერთიანების წარმომადგენელი. კონფერენციამ განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა განახორციელონ ტრანსპორტის მუშებმა ბოიკოტი ფინეთის გემების წინააღმდეგ (ბოიკოტი გამოცხადდა ფინეთის ნავთსადგურების გაფიცულ მუშათა მხარის დასაჭერად). კონფერენციამ მიიღო აგრეთვე დადგენილება, რომლის ძალითაც ბოიკოტი უნდა გამოეცხადოს დანიის გემებსა და ტვირთებს ევროპის, ამერიკისა და ავსტრალიის ყველა ნავთსადგურებში, თუ დანიის საარბიტრაჟო სასამართლო „უკანონოდ“ სცნობს დანიის ნავთსადგურების მუშების გაფიცვას. (ადს).

რევოლიუციონური განწყობილების ზრდა
საფრანგეთის ჯარებში

სამხედრო მანევრების გაუქმება

პარიზი, 26 აგვისტო. სამხედრო მინისტრის განკარგულებით, გაუქმებულ იქნა სამხედრო მანევრები, რომელიც უნდა გამართულიყო ლუარის დეპარტამენტში.

გაზეთი „გოლუა“ აღშფოთებულია მინისტრის განკარგულებით. იგი სწერს, რომ მანევრებზე უარის თქმა დღევანდელ მომენტში, როდესაც კომუნისტები გაშმაგებულ ანტიმილიტარისტულ პროპაგანდას აწარმოებენ, შეიძლება ჩასთვალონ დათმობად მთავრობის მხრივ. გაზეთი დასძენს, რომ ბრძანების ტექსტი, რომელიც ყაზარმებშია გამოკრული, აჭრელებულია მიწერებით: „გაუმარჯოს ანარქიას, ძირს სათადარიგო ჯარისკაცთა გაწვევა“. (ადს).

აღფრთოვანებული დემონსტრაცია

ბერლინი, 26 აგვისტო. მოხდა ფილმის „საბჭოთა კავშირში“ პირველი გასინჯვა. ეს ფილმი გადაიღო გერმანიის მუშათა მესამე დელეგაციამ საბჭოთა კავშირში. ფილმის ჩვენებამ აღფრთოვანებული დემონსტრაცია გამოიწვია საბჭოთა კავშირის პატივსაცემად. ფილმში ნაჩვენებია საბჭოთა კავშირის ყოფა-ცხოვრება და აგრეთვე მატერიალური და კულტურული პროგრესი რევოლიუციის წლებში. ფილმი გადაღებულია ლენინგრადსა, მოსკოვსა, ვოლგის მხარესა, კავკასიასა და ხარკოვში. (ადს).

მონარქია ალბანეთში

ალბანეთის კოლონიზაციის ფასად

ვენა, 26 აგვისტო. ბელგრადის გაზეთების აზრით, ახმედ ზოგუმ მეფობა იყიდა შემდგომი ეკონომიური დათმობის ფასად. მას შემდეგ, რაც იტალიამ მიიღო აეროდრომის აგების მონოპოლია და აგრეთვე განსაკუთრებული უფლება გზატკეცილების გასაყვანად და ნავთსადგურების ასაგებად, გაზეთის აზრით ალბანეთის კოლონიზაციის საკითხი დამთავრებულია.

როგორც ბელგრადის გაზეთები იუწყებიან, ახლო მომავალში პარლამენტი, რომელიც მხოლოდ ახმედ ზოგუს მომხრეებისაგან შესდგება, მიიღებს კანონპროექტს, რომელიც ალბანეთში მიწის ყიდვის დროს იტალიელებს შეღავათებს ანიჭებს. (ადს).

პროტესტი ახმედ-ზოგუს მეფედ გამოცხადების წინააღმდეგ

ვენა, 26 აგვისტო. „ნეიე ვინერ ტაგებლატის“ ცნობით, ალბანეთის ნაციონალური გაერთიანების ვენის კომიტეტმა დაადგინა, დ“დ სახელმწიფოთა მთავრობებს და ერთა ლიგას გადასცეს წერილობითი პროტესტი ახმედ ზოგუს მეფედ გამოცხადების წინააღმდეგ. (ადს).

ალბანეთის დამფუძნებელი კრება გაიხსნა

ვენა, 26 აგვისტო. ტირანიდან იუწყებიან: 25 აგვისტოს დიპლომატიური კორპუსის თანდასწრებით გაიხსნა ალბანეთის დამფუძნებელი კრება. კრების მუშაობის წინ წაკითხულ იქნა ახმედ-ზოგუს მიმართვა. ფიქრობენ, რომ ახმედ-ზოგუ ალბანეთის მეფედ ორშაბათს იქნება გამოცხადებული. (ადს).

ტრედიუნიონების კონგრესის წინ

ლონდონი, 25 აგვისტო. სექტემბრის პირველ ნახევარში სვანსში (სამხრეთ-უელსი) გაიმართება ინგლისის ტრედიუნიონების მორიგი მე-60 კონგრესი. ფიქრობენ, რომ ამ კონგრესს ტრედიუნიონების უფრო ნაკლები წევრი დაესწრება, ვიდრე წინა კონგრესს ესწრებოდა.

მემაღაროეთა კავშირი, რომლის წევრთა რიცხვი 800.000 კაცს უდრიდა, 200.000 კაცით შემცირდა. მნიშვნელოვნად შემცირდა ინგლისის ტრედ-იუნიონების გაერთიანების წევრთა საერთო რიცხვი იმის გამო, რომ გაერთიანებიდან გავიდნენ საზოგადოებრივი სარგებლობის წარმოებებისა და დაწესებულებების მუშაკთა პროფესიონალური კავშირები. აღნიშნული კავშირების გასვლა გამოიწვია პროფკავშირების წინააღმდეგ მიმართული კანონპროექტის მიღებამ. მთავარი პოლიტიკური საკითხები, რომლებსაც კონგრესი განიხილავს, იქნება საკითხები იმ მოლაპარაკების შესახებ, რომელიც გენერალურმა საბჭომ გამართა მეწარმეებელთა ჯგუფთან „მრეწველობაში მშვიდობიანობის დამყარების“ შესახებ და საკითხი პროფესიონალური მოძრაობის მემარცხენე ფრთის მოღვაწეთა მიერ „დისციპლინის დარღვევის“ შესახებ. (ადს).

კანონპროექტი კომუნისტების წინააღმდეგ ინდოეთში

ლონდონი, 25 აგვისტო. რეიტერის სააგენტოს სიმლიდან ატყობინებენ:

„25 აგვისტოს ინდოეთის მთავრობა გამოაქვეყნებს კანონპროექტს „სახელმწიფოებრივი უშიშროების შესახებ“ (ინდოეთიდან გადასახლების შესახებ). კანონპროექტი მიმართულია იმ ბოლშევიკური აგენტების წინააღმდეგ, რომლებიც არ არიან ინგლისის ან ინდოეთის ქვეშევრდომნი ან ინდოეთის სხვადასხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომნი. ამ აგენტებმა ხელი უნდა მოაწერონ პირობის ქაღალდს, რომ ისინი კარგად მოიქცევიან ინდოეთიდან გასვლამდე. ის, ვინც ამ ვალდებულებას არ შეასრულებს, დაპატიმრებული იქნება სასამართლოს დადგენილების წარუდგენლად 12 თვემდე. გათვალისწინებულია აგრეთვე ჯარიმა ვალდებულების არ შესრულებისთვის. კანონპროექტის ძალით, დევნის უფლება იმ საქმეების გამო, რომლებიც სახელმწიფოებრივ უშიშროებას შეეხებიან, ეკუთვნის მხოლოდ მეფის ნაცვალს და მის საბჭოს. არც ერთ სამოსამართლო ინსტანციას არ შეუძლია გააუქმოს ის დადგენილება, რომელიც ინდოეთიდან გადასახლებას შეეხება.

ინდოეთის მთავრობა აცხადებს: ბოლო დროს დაგროვდა ისეთი საბუთები, რომლებიც ააშკარავებენ კომუნისტური ინტერნაციონალის ბოროტ განზრახვებს, მიმართულს კერძოთ ინდოეთის წინააღმდეგ. კანონპროექტი განხილული იქნება საკანონმდებლო კრების სექტემბრის სესიაზე. ფიქრობენ, რომ კანონპროექტი დიდ კამათს გამოიწვევს. როის ამას წინად გამოქვეყნებულმა წერილმა, რომელშიაც როი ინდოელ კომუნისტებს მიმართავდა, უკვე მიიქცია საზოგადოებრივი ყურადღება. კანონპროექტი უფლებას აძლევს მეფის მოადგილეს და მის საბჭოს გადაასახლოს ინდოეთიდან ყოველი კომუნისტური აგენტი. გადასახლებით გამოწვეული ხარჯი ინდოეთის მთავრობამ უნდა გაიღოს (ადს).

„კრასინი“ ბერგენში

საზეიმო შეხვედრა

ოსლო, 26 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო ბერგენიდან იუწყება:

„მუშათა პარტია დიდის ზეიმით შეხვდა „კრასინის“ მეზღვაურებს. ბერგენის რადიოსადგურმა მოაწყო „კრასინის“ კომისრის ორასის მოხსენების გადაცემა. მოხსენება შეეხებოდა ექსპედიციის შედეგებს და მის შემდეგ ამოცანებს“. (ადს).

ამუნდსენის ძებნა

ოსლო, 26 აგვისტო. როგორც ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ამუნდსენის ძებნა უკანასკნელ ხანებში სწარმოებდა შპიცბერგენსა და ფრანც იოსების მიწის შუა. გამოკვლეულ იქნა ოლღას სრუტე და ფრანც იოსების მიწის ნაპირები. ამჟამად იკვლევენ ვიქტორიის მიწას.

28 აგვისტოს ნორვეგიის გემები შეხვდენ საბჭოთა ყინულისმჭრელს „სედოვს“, რომელმაც გამოიკვლია ფრანც იოსების მიწის ნაპირი ფლორის კონცხის აღმოსავლეთით. „სედოვი“ იყო აგრეთვე კემბრიჯის ყურეში. ძებნა გაგრძელდება სექტემბრის შუა რიცხვებამდე. თუ ამ დრომდე „ლატამ“-ის კვალს ვერ მიაგნებენ, საფრანგეთისა და ნორვეგიის გემებს უკან გაიწვევენ. (ადს).

„კრასინი“ გასამგზავრებლად ემზადება

ოსლო, 26 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება: „კრასინი“, რომელმაც ბერგენში უნდა მიიღოს 3000 ტონა ნახშირი, გასამგზავრებლად მზად იქნება სამშაბათს დილით.

„კრასინს“ იმიტომ მიაქვს თან ნახშირის ასეთი დიდი მარაგი, რომ საბჭოთა ექსპედიცია ყოველგვარ შემთხვევისათვის ემზადება. მას ისიც კი შესაძლებლად მიაჩნია, რომ ზამთარი პოლიარულ მხარეში გაატაროს. ბერგენის მუშათა ორგანიზაციებმა „კრასინის“ ეკიპაჟის პატივსაცემად სადილი გამართეს (ადს).

პერიოდული პრესის მეურნეობის გამოკვლევა

მოსკოვი, 27 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან არსებული ბეჭდვითი საქმის კომიტეტი შეუდგა პერიოდული პრესის მთელი მეურნეობის გამოკვლევას. გამომცემლობებს დაეგზავნათ სათანადო საანკეტო ფურცლები. სექტემბერში უნდა დამუშავდეს მასალები ხუთწლიანი საგამომცემლო გეგმის მეორე ვარიანტის შესადგენად, გამორკვეულ უნდა იქნეს ქაღალდით მომარაგების, პოლიგრაფბაზების მოწყობილებათა განაწილებისა, კაპიტალური ხარჯების, ფინანსიურად უზრუნველყოფა და სხვა გეგმები.

იმავე თვეში მოხდება გაზეთების რედაქტორთა ყრილობა, რომელსაც იწვევს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო და ბეჭდვითი სიტყვის განყოფილება. ამ ყრილობაზე წარმოდგენილ უნდა იქნეს შეჯამებული ცნობები მთელი პერიოდული პრესის შესახებ.

ამის გამო კომიტეტმა მეორეთ დაუგზავნა გამომცემლობებს წინადადება—შეავსონ საანკეტო ფურცლები საჩქაროდ გადაგზავნონ კომიტეტში (ადს).

ექიმ გეგელაშვილის მკვლელობის საქმე

ოდესა, 26 აგვისტო. ტრამვაელთა კლუბში საოლქო სასამართლოს თავმჯდომარის ამხ. რომანოვის თავმჯდომარეობით ირჩევა საქმე „ექიმის სახლის“ ყოფილი გამგის, ექიმის თანაშემწის სონჩენკოსი, რომელსაც ჰბრალდება „ექიმის სახლის“ გამგეობის თავმჯდომარის მოადგილის ექიმ გეგელაშვილის მოკვლა.

მკვლელობა შემდეგ პირობებში მოხდა: 16 ივლისს დილით ექიმი გეგელაშვილი შევიდა „ექიმის სახლში“, რომ ხელი მოეწერა რამდენიმე თამასუქზე. მაგიდის მეორე მხარეს მჯდომმა სონჩენკომ მოულოდნელად იღო რევოლვერი და ესროლა გეგელაშვილს. მკერდში დაჭრილმა გეგელაშვილმა წამოიწია და რამდენიმე ნაბიჯი გადადგა. სონჩენკომ კიდევ ორჯერ ესროლა. და გეგელაშვილი მკვდარი დაეცა.

წინასწარი გამოძიების დროს სონჩენკომ განაცხადა, რომ მან გეგელაშვილი მოჰკლა როგორც კონტრ-რევოლიუციონერი, რომელსაც თავისი საზოგადოებრივი მუშაობით ზიანი მოჰქონდა პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისთვის.

გამოძიებამ გამოარკვია, რომ გეგელაშვილი მოითხოვდა „ექიმის სახლის“ გამგის თანამდებობის გაუქმებას. თავისი მოხსენების თეზისებში გეგელაშვილი „სახლის“ გამგეს ახასიათებდა როგორც „ექიმის სახლის“ სტიპენდიანტს. ეს იცოდა სონჩენკომ, რომელსაც თანამდებობის დაკარგვა მოელოდა.

სასამართლოში სონჩენკომ გეგელაშვილის მოკვლაში თავი დამნაშავედ სცნო, მაგრამ შემცდარად მიაჩნია ის ბრალდება, რომ მან მკვლელობა განზრახ ჩაიდინა—ქვედა ხასიათის მოსაზრებით. სასამართლოს თავმჯდომარის შეკითხვაზე, რა მიზეზით მოჰკლა სონჩენკომ გეგელაშვილი, ბრალდებულმა უპასუხა: „მოვკალი მავნე მოქმედებისთვის; იგი რევოლიუციონური დემოკრატიის უზურპატორი იყო“.

მოწმეთაგან პირველად დაკითხულ იქნა ექიმი გროდსკი, ყოფილი მენშევიკი, რომელიც თავის ჩვენებაში ცდილობდა გეგელაშვილის მკვლელობის ინდივიდუალური აქტი გამოეცხადებინა პროფკავშირის ხელმძღვანელთა სახელის გასატეხად.

მოწმეს სიტყვით, იგი 1922 წელს თავისი ნებით გავიდა პროფკავშირიდან, რადგან არ სურდა წმინდის დროს გამოერიცხათ.

გროდსკიმ განაცხადა, რომ კავშირის ზოგიერთი მუშაკი უნდობლად ეპყრობოდა და სდევნიდა კიდეც გეგელაშვილს. ამას გროდსკი ასაბუთებს იმით, რომ გეგელაშვილი მოხსნეს ადმინისტრატიული მუშაობიდან მედსაო შრომის რაიონულ კომიტეტში და გადაიყვანეს წმინდა საკურნალო მუშაობაზე, აგრეთვე იმით, რომ პროფკავშირმა ნება არ დართო გეგელაშვილის ამხანაგებს გეგელაშვილის პოლიკლინიკიდან წასვლის შემდეგ აღენიშნათ მისი მოღვაწეობა.

მაგრამ გროდსკის დემაგოგიური ცდა—გამოეყენებია სასამართლო პოლიტიკური გამოსვლისათვის—ვერ განხორციელდა. იმ დამამტკიცებელი საბუთებიდან, რომელიც ბრალდებულმა წარადგინა, გამორკვა, რომ პოლიკლინიკის გამგის მოადგილის თანამდებობა გააუქმეს საერთო წესით მთელ ქვეყანაში და გეგელაშვილის ამხანაგებს გეგელაშვილის პომუნისტიც. განსვენებულის პატივსაცემად საღამოს გამართვა კი აკრძალა არა პროფკავშირმა, არამედ ადმინისტრაციამ; რადგან გადაწყვეტილი იყო, საერთოდ საზეიმო საღამოების რიცხვის შემცირება.

მოწმეთა დაკითხვა გრძელდება. გამოწვეულია მოწმე [illegible]

პარტიული ცხოვრება

თვითკრიტიკა უნდა გაცხოველდეს

უკვე რამდენიმე თვეა, რაც თვითკრიტიკის ლოზუნგი ტარდება ცხოვრებაში. ამჟამად საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიის პლენუმზე პირველ რიგში სდგას საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ მიმდინარეობს თვითკრიტიკის გატარება, რა ნაყოფი გამოიღო მან და ნაკლულოვანებანი ახასიათებენ ამ ლოზუნგის განხორციელებას.

მართალია, თვითკრიტიკა საბჭოთა წყობილების დროს ყოველთვის სწარმოებდა. მმართველი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება არასოდეს არ ერიდებოდა შემჩნეულ ნაკლთა გამომჟღავნებას, მის სააშკარაოზე გამოტანას. სხვათა შორის ამის შედეგია საბჭოთა რესპუბლიკებში მუშგლეხკორთა მოძრაობის სწრაფი განვითარება, მათი რიცხვობრივი ზრდა, მაგრამ თვითკრიტიკას ისეთი სიძლიერით, როგორიც ის სწარმოებს უკანასკნელი თვეების განმავლობაში, არასოდეს არ ქონია ადგილი. დღეს ჩვენ თამამად შეგვიძლია ერთგვარი დასკვნა გაუკეთოთ თვითკრიტიკის გაშლილ პერიოდს და აღვნიშნოთ მისი ზოგიერთი მნიშვნელოვანი მხარეები.

თავიდანვე თვითკრიტიკის ლოზუნგს აღფრთოვანებით შეხვდა მშრომელთა ფართე ფენები, როგორც ქალაქში, ისე სოფლადაც. თვითკრიტიკაში მათ დაინახეს ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაში შემჩნეული დეფექტების ადვილად აღმოფხვრის შესაძლებლობა.

თვითკრიტიკის ლოზუნგს სულ სხვა თვალსაზრისით მიუდგნენ ბიუროკრატიული და ანტისაბჭოთა ელემენტები. ამ ლოზუნგში მათ შვენივრად შეამჩნიეს თავიანთი ანტისაბჭოთა მოქმედების მზის სინათლეზე გამოტანის საშიშროება. ამ ვაჟბატონებმა იგრძნეს, რომ მათ მახინჯ მოღვაწეობას ბოლო მოეღებოდა და შეუდგნენ თვითკრიტიკის წინააღმდეგ ბრძოლას. ეს გარემოება არც იყო მოულოდნელი. მათ თავიანთი კლასიური ინსტინქტი უკარნახებდათ ასე მოქცეულიყვნენ.

მაგრამ თვითკრიტიკის ლოზუნგს შეგნებულად ვერ შეხვდნენ ზოგიერთი პარტუჯრედებიც. განსაკუთრებით ეს ითქმის არა საწარმოო უჯრედებზე. ასეთი უჯრედების წევრებს ხშირად უჭირავთ ესა თუ ის საპასუხისმგებლო თანამდებობა დაწესებულებაში. მათ ირგვლივ შემოკრებილია ისეთი თანამშრომლები, რომელთა უმრავლესობა ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან წვრილ-ბურჟუაზიულ მეშჩანური სულისკვეთებისა, აქედან გამომდინარე ბიუროკრატიზმისა და სხვა სიმახინჯისაგან. ასეთი ხალხისათვის, რა თქმა უნდა ხელსაყრელი არ არის საკუთარი სიმახინჯის გამომჟღავნება და ზოგჯერ თვით დაწესებულების ხელმძღვანელიც. ეკვრა მათ გავლენის ქვეშ და მათთან ერთად ეწინააღმდეგება თვითკრიტიკას. კიდევ მეტი. გამომჟღავნდება თუ არა პრესის ფურცელზე ამა თუ იმ დაწესებულება-ორგანიზაციაში არსებულ ნაკლის შესახებ ცნობა, სულ ერთია ის ეხება დაწესებულების ხელმძღვანელს, თუ რომელიმე იქ მომუშავეს, დაწესებულების ხელმძღვანელი მაშინვე ატეხს განგაშს, ეძებს დამწერის ვინაობას, გზავნის რედაქციაში თავის გასამართლებელ წერილს და ხშირად წერილის ავტორსაც იწვევს სამედიატორო სასამართლოში. სათანადო გამოკვლევის შემდეგ კი ირკვევა, რომ წერილში მოყვანილი ფაქტების უმრავლესობა მაინც ჭეშმარიტებას შეიცავს.

არიან ისეთი კადნიერებიც, რომლებიც რედაქციისაგან მოითხოვენ წინასწარ ეცნობოთ მათ წერილის შინაარსი და მათგან დასტურის მიუღებლად წერილი არ იქნეს გამოქვეყნებული.

რედაქციამ რომ ასეთი ამხანაგების რჩევას დაუჯეროს, მაშინ არც ერთი მხილებითი ხასიათის წერილი აღარ გამოქვეყნდება პრესის ფურცლებზე. ყველა შეეცდება თავი უცოდველ ბატკნად გამოიყვანოს.

საბჭოთა პრესა და პარტორგანიზაციები რა თქმა უნდა ასეთ შეხედულებას ვერ გაიზიარებს და მტკიცედ განაგრძობს თვითკრიტიკის ლოზუნგის გატარებას, მაგრამ ამასთან დაკავშირებით ისმება მეორე საკითხი, რასაც პრესამ და პირველ რიგში კი მუშგლეხკორებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ. ესაა თვითკრიტიკის სწორად გატარება. თვითეული კორესპონდენტი უნდა ცდილობდეს, რომ რედაქციას მიაწოდოს უტყუარი ცნობები, წინასწარ შემოწმებული და ფაქტებით დასაბუთებული. არასოდეს ყურმოკრული ამბავი კორესპონდენტმა სინამდვილედ არ უნდა გაასაღოს. კორესპონდენტი უნდა ცდილობდეს ტყვილი უბრალოდ არავის მოსცხოს ჩირქი და ამით ზიანი არ მიაყენოს წარმოება-დაწესებულებების საქმიანობას.

მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი თვითკრიტიკის ლოზუნგის სწორად და გადაუმახინჯებლად გატარება. მხოლოდ ამ შემთხვევაში მოგვცემს თვითკრიტიკა დადებით ნაყოფს ყოველგვარი ნაკლის აღმოფხვრის საქმეში.

ლი.

მუშაობა გაცხოველდა

(ტყიბული)

პარტიული მუშაობა ტყიბულის რაიონში წინად საგრძნობლად მოისუსტებდა. მუშაობის მთავარი ნაკლი იყო ის, რომ კომუჯრედებს არ ესმოდა თავისი მოვალეობა და ხშირად უშვებდენ შეცდომებს, რითაც სცემდნენ პარტიის ავტორიტეტს. იყო შემთხვევა, როდესაც კომუჯრედი რეკომენდაციას და დახასიათებას აძლევდა ვინმე კულაკს, როგორიც იყო მაგალითად ცნობილი „კოოპერატორი“ პ. ნიშნიანიძე და სხვები.

ყოველივე ამის შედეგათ რაიონში კულაკების აქტივობა გაიზარდა.

ცენტრალურ და სამაზრო კომიტეტმა ამ მდგომარეობას ყურადღება მალე მიაქციეს და გადაახალისეს რაიონის მუშაკთა შემადგენლობა. ახალ მომუშავეთა ენერგიულმა საქმიანობამ კი მრავალი ნაკლი აღმოაჩინა და გამოასწორა. უჯრედების მუშაობა გამოცოცხლდა და პარტიული აქტივი წამოიზარდა.

პარტიულმა კომიტეტმა დიდი ყურადღება მიაქცია სოფლად მუშაობას, სადაც თამამად შეიძლება ითქვას, რომ წინად პარტიული მუშაობის არაფერი სჩანდა. პარტიის ხელმძღვანელობით იქმნება ღარიბ და საშუალო გლეხობის აქტივი და თანდათანობით ხდება კულაკების იზოლიაცია.

რაიკომი შეუდგა სწავლა-განათლების დარგის გაჯანსაღებასაც. ზოგიერთ სკოლებში დღემდე გაბატონებული არიან კულაკები და ძველი მასწავლებლობა, რომლებსაც შრომის სკოლის პრინციპების სრულიად არაფერი გაეგებათ. ამ პირთა შესაცვლელად ეხლა გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს.

კომკავშირის მუშაობა იმდენად სუსტია მთელ რაიონში, რომ თუ ქუთაისის სამაზრო კომიტეტი არ დაეხმარა, მარტო ტყიბულის რაიკომს მისი მოგვარება არ შეუძლია

ბოლოს უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს რაიონში არც ქალთა შორის მუშაობა არის კარგად დაყენებული. ამის შედეგი ის არის, რომ ქალთა უფლებები ირღვევა და ქალთა აქტივის ხმა არ ისმის. პარტიულ კომიტეტს არც ეს მდგომარეობა გამოუშვია მხედველობიდან და ყოველ ზომებს ხმარობს ქალთა შორის მუშაობის გამოსაცოცხლებლად.

მაღაროელი.

კომკავშირში

ქალიშვილთა შორის მუშაობა

(ქუთაისი)

ქალიშვილთა შორის მუშაობას ძველი, დახავსებული ჩვეულებები აფერხებს. გლეხები ხშირად ეწინააღმდეგებიან ქალიშვილების საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმას. ამას გარდა თვით კომკავშირის უჯრედებიც ვერ ეპყრობიან კომკავშირელ ქალებს ისე, როგორიც ეს საჭიროა, ვერ სწავლობენ და ვერ აკმაყოფილებენ მათ მოთხოვნილებებს. ამიტომ ხშირია შემთხვევა, როდესაც ქალები კომკავშირის ორგანიზაციიდან გადიან. ამას წინად სოფ. ზედა ზეგანის უჯრედიდან კოლექტიურად გავიდა 4 გლეხი ქალი. ასეთი მაგალითები გამოკვლევამ სხვა უჯრედებშიაც გამოამჟღავნა.

რაში უნდა ვეძიოთ ამ მოვლენის მიზეზი? კითხვაზე პასუხის გასაცემად საკმარისია გადავათვალიეროთ ხსენებულ უჯრედების ოქმები. იქ ჩვენ ვერც ერთ პრაქტიკულ საკითხს ვერ ვნახავთ. განსაკუთრებით ვერ შევხვდებით ქალებისათვის საინტერესო საკითხს.

კომკავშირელი ქალები არ არიან ჩაბმული საუჯრედო მუშაობაში მათ არ აძლევენ რაიმე დავალებას, რის გამოც ქალები ხშირად აკლდებიან კრებებს და ამრიგად თანდათანობით სწყდებიან ორგანიზაციას. ს. ობჩის უჯრედში მაგალითად, ასეთ შემთხვევას ჰქონდა ადგილი: გადარჩევის დროს უჯრედის მდივნად ქალი დაასახელეს. უჯრედის უმრავლესობა იმ აზრის იყო, რომ ქალი ვერ შესძლებს მდივნობას და კანდიდატურის წინააღმდეგ წავიდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს ქალი ერთერთი საუკეთესო აქტივისტად ითვლებოდა. ზოგჯერ კომკავშირელი ვაჟები ამხანაგურად არ უყურებენ კომკავშირელ ქალებს, რითაც ხშირად აიძულებენ მათ დასტოვონ ორგანიზაცია.

ზემოაღნიშნულ ნაკლთა გამოსასწორებლად, საჭიროა კომკავშირის უჯრედმა გაატაროს შემდეგი:

კრებებზე ხშირად უნდა იმართებოდეს ქალებისათვის საინტერესო საკითხები. საჭიროა ქალების დაწინაურება ორგანიზაციის არა მარტო უფასო, არამედ ფასიან სამუშაოზედაც. ერთხელ და სამუდამოთ უნდა აღმოიფხვრას ის შეხედულება, თითქოს ქალებს საქმის გაკეთება არ შეუძლიათ. ქალებს უნდა მიეცეთ სხვადასხვა დავალებები, როგორც კომკავშირის, ისე სხვა ორგანიზაციების (რემედასი, თავდაცვა-ავიაქიმი, წითელი ჯვარი და სხვა) ხაზით.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ კომკავშირელ ვაჟებისა და ქალების ურთიერთ დამოკიდებულების საკითხს. ამ საკითხზე უჯრედებში სათანადო საუბრები უნდა ჩატარდეს.

ის. ტ—ძე.

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხი

სესხის რეალიზაციის ტექნიკა

ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის რეალიზაცია როგორც ქალაქათ, ისე სოფლად მოხდება უმთავრესად კონტრაგენტების საშუალებით.

სოფლად კონტრაგენტები შეიძლება დაიყოს სამ ჯგუფად. ერთი ჯგუფია პერსონალური კონტრაგენტები, ანუ ცალკე პირნი, რომელნიც ობლიგაციის გასაღებას აწარმოებდა მხოლოდ ნაღდ ფულზე. მეორე ჯგუფში შედის ყველა ადგილობრივი საზოგადოებრივი დაწესებულება და ორგანიზაცია (კოოპერატივები, კომუნები, კოლექტიური მეურნეობები, გლეხთა ურთიერთ დამხმარე საზოგადოებანი და სხ.), რომელნიც ხელმძღვანელობენ მოწერითი გაყიდვას თავიანთ წევრებს შორის. ადგენენ ხელისმოწერის ფურცლებს, ამ სიების თანახმად კრეფენ ფულს ხელის მომწერლებისაგან და ფულის სრულად შეტანის შემდეგ ღებულობენ ობლიგაციებს საკრედიტო ამხანაგობათაგან და შემნახველ სალაროებიდან.

მესამე ჯგუფს ეკუთვნიან სახ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობები და შემნახველი სალაროები, რომელნიც ობლიგაციების გაყიდვას აწარმოებენ, როგორც ნაღდ ფულზე, ისე ხელის მოწერითაც. მთავარ კონტრაგენტებათ შეიძლება ჩაითვალონ სახ.-სამ. საკრედიტო ამხანაგობები და შემნახველი სალაროები, ვინაიდან კოლექტიური ხელის მოწერა ხორციელდება მათთან და ობლიგაციების კოლექტივებზე მიმაგრება ევალებათ ამ ორგანიზაციებს.

ქალაქებში კონტრაგენტების როლს ასრულებენ მხოლოდ საკრედიტო დაწესებულებები და შემნახველი სალაროები.

ამ ორგანიზაციებს შეუძლიათ ობლიგაციების გაყიდვა, როგორც ნაღდ ფულზე, ისე ვადა განაწილებითაც (ხელის მოწერით). მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივები კოლექტიურ სიებს ფორმალურათ ჩამოსაყალიბებლად უდგენენ მხოლოდ ამ დაწესებულებებს.

კონტრაგენტების და ფინორგანიზაციების დამხმარე ორგანოებათ ითვლებიან ადგილობრივი დამხმარე კომისიები. დამხმარე კომისია უნდა მოეწყოს ყოველ დაწესებულებაში, წარმოებაში და ორგანიზაციაში.

კომისია ხელმძღვანელობს კამპანიას თავის კოლექტივის ფარგლებში, აწყობს მოხსენებებს, აწარმოებს ხელის მოწერას, ჯამაგირის დარიგების დროს ატარებს ფულის შეკრეფას. შეკრეფილი ფული კოლექტივის სახელით შეაქვს კონტრაგენტებთან, ანაწილებს კოლექტივზე მიმაგრებულ ობლიგაციების ნომრებს თავიანთ წევრებს შორის; ვალის გადახდის შემდეგ გამოაქვს კონტრაგენტებისაგან კოლექტივზე მიმაგრებული ობლიგაციები და ამ ობლიგაციებს უნაწილებს ხელის მომწერლებს კუთვნილებისამებრ.

სესხის ქრონიკა

შინამრეწველთა შორის

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, შინამრეწველ ხელოსანთა კავშირს წინადადება მიეცა ჩამოაყალიბოს სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი კომისია და ასეთივე კომისიები მოაწყოს თვითეულ ცეხში. კომისიებს ევალებათ სააგიტაციო კამპანიის ხელმძღვანელობა და ხელის მოწერის ჩატარება.

შინა-მრეწველ ხელოსანთა კავშირთან არსებული სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი კომისია უნდა დაუკავშირდეს კოოპერატიულ ბანკს, რომელთანაც უნდა მოაგვაროს ხელის მოწერის საქმე.

საგიტაციო ლიტერატურა არმიისათვის

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის საგიტაციო მასალა კავკასიის წითელდროშოვან არმიის რუსულმა ნაწილებმა უნდა მიიღონ ა.-კ. ფინანსთა სახ. კომისარიატიდან. ხოლო ქართულ ნაწილებს საგიტაციო ლიტერატურას ქართულ ენაზე მიაწოდებს საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატი.

საბინაო კავშირში

საბინაო კავშირთან მოეწყო სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი ადგილობრივი კომისია. ასეთივე კომისიები ეწყობა საბინაო ამხანაგობებთან და სახლების სამმართველოებთან. საბინაო კავშირთან არსებული სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობი კომისია დაუკავშირდება კომუნალურ ბანკს, რომელთანაც ჩამოაყალიბებს ხელის მოწერას.

სახკომისარიატების მოწოდება

საქართველოს განათლების, მიწადმოქმედების და ჯანმრთელობის სახ. კომისარიატებმა გამოუშვეს მოწოდება, რომელშიაც თავიანთ ადგილობრივ ორგანიზაციებს ავალებენ სესხის რეალიზაციის საქმეში მიიღონ მონაწილეობა კონტრაგენტების სახით.

თამბაქოს ტრესტების გაერთიანება

თამბაქოს ტრესტების გაერთიანება.

როგორც ვწერდით, გადაწყდა საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების თამბაქოს ტრესტების გაერთიანება საკავშირო სინდიკატში.

ამასთან დაკავშირებით, ამ დღეებში შესდგა ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის სხდომა, რომელმაც აუცილებლად სცნო თამბაქოს ტრესტების გაერთიანება საკავშირო სინდიკატში, მხოლოდ შემდეგი პირობების დაცვით:

ამიერ-კავკასიის თამბაქოს მრეწველობას ნაწარმოების ღირსების გაუმჯობესება და [illegible] ამიერ-კავკასიის ვაჭრობის კომისარიატის გეგმით გაშენებულ თამბაქოს პლანტაციების შემდგომი გაფართოება თამბაქოს მრეწველობის და ექსპორტის ზრდასთან დაკავშირებით.

ამას გარდა მიღებულ უნდა იქნას ენერგიული ზომები მეთამბაქეების განსავითარებლათ ამიერ-კავკასიაში.

ამიერ-კავკასიის თამბაქოს მრეწველობის საკავშირო სინდიკატში გაერთიანების საკითხი საბოლოო გადასაწყვეტად გადაეცა ა.-კ სახალხო კომისართა საბჭოს.

მორიგი გაწვევა წითელ ჯარში

ყველა საოლქო და სამაზრო კომიტეტების საგიტ. - საპროპ. განყოფილებებს

ა.-წ. 1-ლ სექტემბრიდან დაიწყება 1906 წ. დაბადებულ ახალგაზრდობის მორიგი გაწვევა წითელ არმიის რიგებში. გაწვევის წარმატებით ჩატარება დამოკიდებულია მოსახლეობის და გასაწვევ ახალგაზრდობის წინასწარ მომზადებაზე, რომელშიაც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ პარტიულ, კომკავშირის, პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებმა.

ცენტრალური კომიტეტი წინადადებას გაძლევთ წითელ არმიაში მორიგი გაწვევისათვის მიიღოთ შემდეგი ღონისძიებანი:

1. პარტიის და კომკავშირის ყველა უჯრედებში ჩატარებულ იქნას მოხსენებები წითელ ჯარში მორიგი გაწვევის ამოცანების შესახებ.

2. მოწვეულ იქნეს გასაწვევ კომუნისტებისა და კომკავშირელების კრებები, სადაც ამ ამხანაგებს განემარტოს მათი მოვალეობა წითელ ჯარში, წითელი არმიის წყობა და რევოლიუციონური დისციპლინის მნიშვნელობა.

3. წარმოებებში და მოსახლეობის ფართე მასებს შორის ჩატარებულ იქნას განმარტებითი კამპანია, რისთვისაც მოეწყოს მოხსენებები, წითელი არმიის რიგებში მორიგი გაწვევისა და წითელ არმიის დანიშნულების შესახებ. განმარტებულ იქნას აგრეთვე ყველა ის დირექტივები და განკარგულებანი, რომელიც გამოცემულია ცენტრალური და ადგილობრივ სამოქალაქო და სამხედრო ორგანიზაციების მიერ მორიგ გაწვევასთან დაკავშირებით.

4. მოწვეულ იქნას გასაწვევი ახალგაზრდების კრებები, სადაც განმარტებულ უნდა იქნას გაწვევისა და წითელ არმიაში სამსახურის წესები.

5. ყველა მუშათა კლუბებში და სამკითხველოებში, როგორც გაწვევის სამზადისის პერიოდში, ისე თვით გაწვევის დროსაც უნდა აწარმოებდეს შესაფერისი მუშაობა, იმართებოდეს საღამოები, კინო-სეანსები, მოხსენებები, საუბრები და სხვა.

ზემოაღნიშნული მუშაობა უმთავრესად გაწვევის ამოცანებს და წითელი არმიის დანიშნულებას უნდა აშუქებდეს. აღნიშნულ მუშაობაში მიზიდული უნდა იქნას როგორც გასაწვევი ახალგაზრდობა, ისე მუშების და გლეხების ფართე მასები. გაწვევის პერიოდში ახალ წვეულთ ყოველგვარი ცნობები უნდა მიეცეს გაწვევის საკითხების შესახებ.

6. ყველა გასაწვევ პუნქტებზე პოლიტგანების უშუალო ხელმძღვანელობით მოეწყოს ლენინის კუთხეები და მოძრავი ბიბლიოთეკები, გამოწერილ იქნეს გაზეთები, სისტემატიურად ტარდებოდეს საუბრებ-მოხსენებები. მფრინავი მიტინგები. 10—25 წუთით, ლექციები და სხვ. ყველა ეს მუშაობა უშუალოდ დაკავშირებული უნდა იქნეს გაწვევის ამოცანების გაშუქებასთან.

7. გაწვეულთა ჯარის ნაწილებში გაგზავნის დროს მოეწყოს საზეიმო გაცილებანი პარტიულ, კომკავშირის, პროფესიონალური და საბჭოთა ორგანიზაციების ფართე მონაწილეობით; ჯარში გაწვეულთ მიეცეს ნაკაზი (დავალება) მშრომელთა ფართო მასების სახელით.

8. ყველა გაზეთებში, როგორც სამზადისის, ისე გაწვევის პერიოდში სისტემატიურად უნდა შუქდებოდეს გაწვევის ამოცანები და მსვლელობა.

9. პროფკავშირების კულტგანყოფილებამ, კომკავშირის ცეკას აგიტპროპგანყოფილებამ და პოლიტგანათლების მთავარ მმართველობამ ამ დირექტივების მიხედვით დაამუშაონ კონკრეტიული მითითებანი და თავისი ხაზით დაუგზავნონ ადგილებს.

10. ყოველგვარი მუშაობა გაწვევასთან დაკავშირებით შეთანხმებულ უნდა იყოს სათანადო სამხედრო ორგანიზაციებთან.

11. პარტკომებთან დაარსებულ იქნას კომისიები, რომელშიაც უნდა შევიდნენ პარტკომის, აღმასკომის, კომკავშირის, სამაზრო პროფბიუროს და სამხედრო უწყების წარმომადგენელნი.

საქ. კ. პ. (ბ) ცეკას მდივანი
ღოღობერიძე.
საგიტ.-საპროპ. და ბეჭდვითი განყ. გამგის
მაგიერ ჟოჟიკაშვილი.

თვითმფრინავი—„კ—4“ თბილისში

26 აგვისტოს 8 საათსა და 07 წუთზე ბაქოდან თბილისში მოფრინდა ინჟ. კალინინის კონსტრუქციის თვითმფრინავი „კ—4“. მიუხედავად ძლიერი ქარისა, მანძილი ბაქოდან თბილისში—510 კილომეტრი თვითმფრინავმა, რომელსაც სრული კომერციული დატვირთვა ჰქონდა, დაფარა 3 საათსა და 07 წუთში.

რამდენათ ძლიერია ამ თვითმფრინავის სისწრაფე სჩანს იქიდან, რომ „დორნიე-კომეტა“-ს კონსტრუქციის თვითმფრინავები, რომელთა მოტორი 120 ძალით მეტია, ამ მანძილის დაფარვას უნდებიან —4—5 საათი.

თვითფრინავით მოფრინდნენ საქციო საზოგადოება „უკრვოზდუხპუტ“-ის გამგეობის თავმჯდომარე და დირექტორი-გამწესრიგებელი ამხ. კასიანენკო, „უკრვოზდუხპუტ“-ის საჰაერო ხაზის უფროსი ამხ. ვ. ვ. ბოკაე, „უკრვოზდუხპუტ“-ის გამგეობის წევრი ამხ. ქემურია და უკრაინის პრესის წარმომადგენელი ამხ. კუზმიჩი. თვითმფრინავს მმართავდა მფრინავი სნეგირევი, მექანიკოსი ამხ. სტასიუკი.

მანძილი ხარკოვიდან თბილისამდე (2.813 კილომეტრი) დაფარულია 13 საათის განმავლობაში.

საუბარი ამხ. კასიანენკოსთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში უკრაინის საჰაერო მიმოსვლის სააქციო საზოგადოების „უკრვოზდუხპუტ“-ის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. კასიანენკომ გადაფრენის შესახებ განაცხადა:

— ხარკოვ-თბილისის გადაფრენამ დაამტკიცა, რომ კალინინის კონსტრუქციის თვითმფრინავი საუკეთესო სამგზავრო თვითმფრინავია და თავისი ღირსებით შესამჩნევად აღემატება „დორნიე-კომეტა“-ს კონსტრუქციის თვითმფრინავებს. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელებს აქვთ 360 ძალიანი მოტორი, კალინინის თვითმფრინავის მოტორის სიძლიერე კი უდრის 240 ძალას, იგი, მანქანის საუკეთესო აეროდინამიური თვისებების წყალობით, დიდ სისწრაფეს ანვითარებს. ბენზინის ეკონომია ძალიან დიდია. კალინინის თვითმფრინავს მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს დიდ სიმაღლეზე ფრენის მხრივაც. 1.000 მეტრის სიმაღლეზე ასაფრენად მას სჭირდება 3,5 წუთი, მაშინ როდესაც „დორნიე-კომეტა“-ს ესაჭიროება 14 წუთი. ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მთიან ადგილებში ფრენის დროს.

თვითმფრინავების ღირებულება ერთი და იგივეა, მაგრამ „დორნიე- კომეტა“-ში ჩვენ ოქრო უნდა მივცეთ საზღვარგარეთ, კალინინის თვითმფრინავები კი შეიძლება დამზადებული იქნეს საბჭოთა კავშირში. ამის გამო „უკრვოზდუხპუტ“-ს განზრახული აქვს საჰაერო მიმოსვლა გადაიყვანოს კალინინის თვითმფრინავებზე. ხარკოვში ქარხნები უკვე შეუდგნენ ასეთი თვითმფრინავების მთელი სერიის აგებას. 1929 წელს ზოგიერთ საჰაერო ხაზებზე შემოღებული იქნება კალინინის თვითმფრინავები, ზაფხულს ბოლოს კი 5 ადგილიანის გარდა, გამოშვებული იქნება 10 ადგილიანი თვითმფრინავები.

შეეხო რა თავისი ჩამოსვლის მიზანს, ამხ. კასიანენკომ აღნიშნა, რომ ამიერ-კავკასიის მთავრობა უკრაინის მთავრობასთან ერთად შედის საზოგადოება „უკრვოზდუხპუტ“-ში. მე ჩამოვედი თბილისში, რომ მოხსენება გაუკეთო ამიერ-კავკასიის მთავრობას თვითმფრინავების მშენებლობის მიღწევების შესახებ, და აგრეთვე მონაწილეობა მივიღო ხარკოვ-თბილის-ბაქოს საჰაერო ხაზის დაწესების საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტაში.

განზრახულია აგრეთვე პირველ ნოემბრიდან გახსნილი იქნეს არმავირ-კრასნოდარ-ტუაპსე-სოჭა-გაგრა- სოხუმ-ქუთაის - თბილის- ბაქოს ხაზი. ამ ხაზზე თვითმფრინავები ივლიან ყოველდღე.

1929 წლის ფრენის სეზონის დაწყებიდან თვითმფრინავები მანძილს მოსკოვიდან ბაქომდე როსტოვ-თბილისზე გადაფრენით დაფარავენ 32 საათში. გადაფრენის ფასი არ იქნება იმაზე ძვირი, რაც ღირს მგზავრობა რკინის გზით რბილ ვაგონში.

რესპუბლიკანური საგეგმო თათბირი

ამხ. არტემ კვირიკაძის და ავალიშვილის საბოლოო სიტყვების შემდეგ გამოყოფილი იქნა კომისია, რომელსაც დაევალა რეზოლიუციების შემუშავება.

თათბირის შემდეგ სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენებები სატყეო მეურნეობის, მიწათმოწყობის, კოლექტიურ მეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების გეგმების შესახებ. მოხსენებების შემდეგ გაიმართა კამათი, რის შემდეგაც მუშაობა გადატანილი იქნა კომისიებში.

კვირას დღის ორ საათზე შესდგა თათბირის უკანასკნელი სხდომა, რომელზედაც მოსმენილი და განხილული იქნა კომისიის მიერ შემუშავებული რეზოლიუციები.

ამხ. გ. მგალობლიშვილის მოხსენება

რეზოლიუციების განხილვის და დამტკიცების შემდეგ რიგს გარეშე სიტყვა ეძლევა საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარს ამხ. გერმან მგალობლიშვილს. ამხ. მგალობლიშვილი თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ საბჭოთა ხელისუფლების უმთავრეს მიზანს შეადგენს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურათ გაძლიერება. თქვენ ადგილებზე მომუშავენი კარგათ იცნობთ საბჭოთა აღმშენებლობას, ვინაიდან ამ საქმის ადგილებზე თქვენ თვითონ უდგეხართ სათავეში. თქვენ კარგათ იცით, თუ როგორ დიდ ხარჯებს მოითხოვს მეურნეობის გამაუმჯობესებელი ახალი ღონისძიებები. მიმდინარე თათბირზე თქვენ შეამოწმეთ სახ. მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა, რომლის განხორციელება დაკავშირებულია 136.754.000 მან. ხარჯთან. ჩვენი აღმშენებლობა არ ამოიწურება მარტო სასოფლო მეურნეობით, ჩვენ აღმშენებლობას ვაწარმოებთ როგორც სოფლად, აგრეთვე ქალაქადაც. აქედან თქვენ ნათლად დაინახავთ, თუ რა დიდი ხარჯები სჭირდება ამ საქმეს. ურომლისოდაც ჩვენი მშრომელი ხალხისათვის კეთილდღეობის მიღწევა შეუძლებელია.

თუ სხვა პირობებში ასეთი საჭიროების დროს სახელმწიფო სხვა სახელმწიფოს მიმართავდა სესხისათვის, თქვენ კარგათ იცით, რომ ჩვენ არამც თუ სესხს და დახმარებას არ უნდა ველოდეთ, არამედ პირიქით ყოველ წუთს მზად უნდა ვიყვეთ რომ ღირსეული პასუხი გავცეთ კაპიტალისტური ქვეყნების იმპერიალისტურ ზრახვებს და ყოველ წუთს უნდა ველოდეთ მათ თავდასხმას. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, იმპერიალისტებისაგან ჩვენ დახმარების იმედი არ უნდა ვიქონიოთ. მდგომარეობამ ჩვენი იმედები სრულიადაც ვერ შეცვალა, ვინაიდან ამ დიდ საქმეში, ქვეყნის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის საქმეში საბჭოთა ხელისუფლებას მხარში ამოუდგა მრავალი მილიონიანი საბჭოთა პროლეტარიატი და მშრომელი გლეხობა. მიმდინარე წელში საბჭოთა ხელისუფლებამ რამდენიმე ასეული მილიონი მანეთი მიიღო ჩვენი მშრომელი ხალხიდან სესხათ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისათვის. მაგრამ თქვენ კარგათ მოგეხსენებათ, რომ ეს საქმე კიდევ დიდ ხარჯებს მოითხოვს. ამჟამად საბჭოთა ხელისუფლებამ გადასწყვიტა კიდევ გამოუშვას ხუთას მილიონ მანეთის სესხი, რომელიც მთლიანად უნდა მოხმარდეს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეს.

შემდეგ ამხ. მგალობლიშვილმა განმარტა სესხის რეალიზაციის წესი და მისი მნიშვნელობა ადგილებისათვის და მოუწოდა თათბირის მონაწილეთ მთელი ძალღონით შეუწყონ ხელი ადგილებზე სესხის რეალიზაციას.

მოხსენების გამო თათბირმა მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ მიღებული უნდა იქნეს ყოველგვარი ზომები, რათა საქართველოსთვის დანიშნული საკონტროლო ციფრი შესრულებული იქნეს გადამეტებით, ვინაიდან ჩვენი მეურნეობის აღორძინება დაკავშირებულია მთელი საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაციის წარმატებასთან.

დასასრულ, საბოლოო სიტყვით გამოვიდა საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. არტემ კვირიკაძე, რომელმაც აღნიშნა თათბირის ნაყოფიერი მუშაობა.

ამხ. კვირიკაძის საბოლოო სიტყვის შემდეგ თათბირი დაიხურა.

ელექტროფიკაციის 5 წლიანი გეგმა

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს საელექტროფიკაციო განყოფილებამ შეიმუშავა ელექტროფიკაციის ხუთწლიანი პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს ელექტროფიკაციაზე დაიხარჯება 30.624.000 მანეთი. აქედან 14.866.000 მანეთი გაიღება საკავშირო ბიუჯეტიდან, ხოლო 10.421.000 მანეთი რესპუბლიკანურ ბიუჯეტიდან, დანარჩენი თანხები კი გაღებული იქნება ადგილობრივი საშუალებებიდან. ელექტროფიკაციის გეგმაში არ შედის სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია. სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის საკავშირო ბიუჯეტიდან ცალკე იქნება გადადებული 14.146 000 მანეთი.

ხუთწლიანი გეგმის მიხედვით რიონჰესის აგება უნდა დამთავრდეს 1931—32 წელს. მის დასამთავრებლად დაიხარჯება 9.700.000 მანეთი. რიონჰესის დამთავრების შემდეგ ზაჰესის და რიონჰესის ენერგიის მოსაწესრიგებლად აგებული იქნება სარეგულიაციო სადგური რომელიც ენერგიას მიაწვდის სურამის უღელტეხილს. აღნიშნული სადგურის აგება დაიწყება 1932—33 წელს. ამავე გეგმაში გათვალისწინებულია აგრეთვე ადგილობრივი მნიშვნელობის სადგურების აგება-დამთავრება, როგორიცაა აჭარის წყლის ჰიდრო-ელსადგური, აბჰესი, კახეთის, ბორჯომის და აბასთუმანის ჰიდრო ელსადგურები. ამ სადგურების ასაგებად და დასამთავრებლად გადადებულია— 11.969,000 მანეთი. სოფლის ელექტროფიკაციის მიზნით აგებული იქნება შემდეგი ახალი სადგურები: ოზურგეთის, ლეჩხუმის, სვანეთის, ყაზბეგის და ლაგოდეხის, სულ ამ სადგურების ასაგებად გადადებულია 1.256.000 მანეთი. ზაჰეს-სურამის, აბჰეს-ქუთაის-სამტრედიის, ზაჰეს-კასპის, ზაჰეს-საგარეჯოს, რიონჰესი-ჭიათურა-ტყიბულის და სხვა ელექტრო გადამცემ ხაზების გასაყვანად ამავე გეგმის მიხედვით უახლოეს ხუთი წლის განმავლობაში დაიხარჯება 1.968.000 მანეთი. ხუთი წლის განმავლობაშივე დამთავრდება თაფარავანის ჰიდრო ელსადგურის ასაგები წინასწარი საგამოკვლევო სამუშაოები, რაზედაც დაიხარჯება — 446.000 მანეთი. ზაჰეს-რიონჰესის სარეგულიაციო სადგურის მოსაწყობათ დაიხარჯება — 100.000 მანეთი.

ხუთწლიან გეგმაში შეტანილია აგრეთვე ადგილობრივ მნიშვნელობის სადგურების და სოფ. სადგურების წინასწარი საგამოკვლევო სამუშაოები. მთელ ამ სამუშაოებზე სულ დაიხარჯება 240.000 მანეთი.

კომუნისტი

მიიღება ხელის მოწერა
სექტემბრისათვის

კანტორა—რუსთაველის პრ. № 34. ტელეფ. 8—81.

ქრონიკა

მონადირეთა საყურადღებოდ

საცდელ მობილიზაციასთან დაკავშირებით, მონადირეთა კავშირის ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმი წინადადებას აძლევს კავშირის ყველა წევრს, რომელიც თბილისში იმყოფება, გამოცხადდეს საკავშირო დისციპლინის წესისამებრ, კავშირის ბინაზე (სოლოლაკის ქუჩა; № 9) ა. წ. 28 აგვისტოს ნაშუადღევის 3 ნახ. საათზე მთელი თავისი იარაღით (თოფით, ჩანთით და ხავაზნეებით, უძაღლოდ).

ამიერ-კავკ. კოოპერაციის წარმომადგენელი ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე

ამიერ-კავკ. კოოპერატ. კავშირმა ნიჟნი-ნოვგოროდის ბაზრობაზე მიავლინა ამხ. ბოკოვი.

კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია

მიმდინარე წლის სექტემბრიდან დაიწყება ახალ კოლხელშეკრულებათა დადების კამპანია.

კამპანიის წარმატებით ჩატარების მიზნით პროფსაბჭომ წინადადება მისცა ცალკე კავშირების ცენტრალურ გამგეობებს აღნიშნულ დროისათვის გამოიკვლიონ და შეისწავლონ მოქმედ კოლხელშეკრულებათა ტარების საქმე და გამოარკვიონ, თუ ხელშეკრულებისა რომელი მუხლები არ ტარდება ცხოვრებაში.

ცნობები მსხვილ წარმოებებთან დადებულ კოლხელშეკრულებათა დარღვევის შემთხვევების შესახებ, აუცილებლად უნდა ეცნობოს ს.პ.კ.ს. სატარიფო-ეკონომიურ განყოფილებას არა უგვიანეს 10 სექტემბრისა.

სახ. უნივერსიტეტისა და პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ფაკულტეტების გაერთიანების გამო.

სახ. უნივერსიტეტის პოლიტექნიკურ ფაკულტეტის და ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტის საინჟინერო ფაკულტეტის და იმავე უმაღლეს სასწავლებლების სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტების გაერთიანების გამო, განათლების სახ. კომისარიატმა დაადგინა აღნიშნულ ფაკულტეტების პროფესორები და დოცენტები ცნობილ იქნენ იმ გაერთიანებულ ფაკულტეტების პროფესორებათ და დოცენტებათ, რომლებზედაც მათ მოუხდებათ მუშაობა მომავალ სასწავლო წლიდან.

გაზაფხულის მატყლის შესწავლა

გაზაფხულის მატყლის მეცნიერულად შესწავლის მიზნით „სოფლის კავშირმა“ გადასდო 800 მანეთი.

თბილისის აღმასკომში

◆ **ლუდის ქარხანა.** ადგილობრივ მრეწველობის განყოფილებას დაევალა დაუყოვნებლივ შეუდგეს ლუდის ახალი ქარხნის აგებას. ქარხანა მზად უნდა იქნეს წელიწად ნახევრის განმავლობაში.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** ტრამვაის დირექცია შეუდგა ტრამვაის ხაზის გაყვანას ვაკეში.

◆ **ქუჩების მოსარწყავათ** თბ. აღმასკომმა საზღვარგარეთ შეიძინა 8 სპეციალური ავტომობილი.

◆ **შეშა.** თბილისის აღმასკომმა მიიღო ზომები თავის დაწესებულებათა შეშით უზრუნველსაყოფად მომავალ ზამთრისათვის. შეშის ნაწილი უკვე მიღებულია.

პროფკავშირებში

◆ **მუშათა ცენტრალური კლუბი** პროფსაბჭომ გადასცა მელითონეთა კავშირის რესპუბლიკანურ კომიტეტს.

◆ **პლენუმი.** 3 სექტემბერს შესდგება სახ. კვების კავშირის გამგეობის მე-2 პლენუმი.

◆ **იურიდიული დახმარება.** გასულ თვეში პროფსაბჭოს იურიდიულმა ბიურომ რჩევა-დახმარება მისცა კავშირის 1875 წევრს.

◆ **ფეიქართა კავშირის სრ. საქართველოს** მე-7 ყრილობა, რომელიც მოწვეული იყო 15 სექტემბრისათვის, შესდგება 10 ოქტომბერს.

სხვადასხვა

◆ **ახალი სახლები.** „საქართველოს აბრეშუმს“ მთავრობამ გადასცა ნახევარი მილიონი მანეთი ოზურგეთში აბრეშუმის ქარხნის მუშებისათვის სახლების ასაგებათ.

◆ **დახმარება უმუშევრებს.** გასულ თვეში თბილისში უმუშევრებს დახმარების სახით დაურიგდა 110.680 მანეთი.

◆ **სახ. უნივერსიტეტთან არსებული** საისტორიო-ეთნოგრაფიული მუზეუმი ამ დღეებში გადატანილი იქნება სახელმწიფო მუზეუმის მთავარ შენობაში.

ნატახტარის წყლების გამოყვანა

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა ახალი წყალსადენის გამოყვანის შესახებ მოისმინა ინჟ. **დიასამიძის** მოხსენება და დაადგინა: ახალი წყალსადენის მოწყობა ჩაითვალოს აუცილებლად.

პრეზიდიუმმა ყოველ მხრივ დამაკმაყოფილებლად სცნო ნატახტარის ვარიანტი. ამ ვარიანტით თბილისში ახალი წყალსადენის გამოყვანა დაჯდება 9 მილიონი მანეთი. ნატახტარის წყაროები სავსებით დააკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნილებას მცხოვრებთა ორჯერ გადიდების შემთხვევაშიაც.

ნატახტარის წყაროების გამოსაყვანად საფუძვლიანი მუშაობა დაიწყება 1928-29 წლიდან.

პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებულ ახალ წყალსადენის საამშენებლო-საორიენტაციო გეგმით წყალსადენის გამოსაყვანად 1928-29 წელს დაიხარჯება 2 ნახ. მილიონი მანეთი, 1929-30 წელს 3 ნახ. მილიონი მანეთი, ხოლო 1930-31 წელს 3 მილიონი მანეთი. სულ 9 მილიონი მანეთი. 1930-31 წლიდან მთელი ქალაქი გადაყვანილი იქნება წყაროს წყალზე.

პრეზიდიუმმა დაადგინა აღძრას შუამდგომლობა სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა წყალსადენის გამოსაყვანათ ბანკებმა გრძელვადიან სესხის სახით გადასდონ 4 ნახ. მილიონი მანეთი. დანარჩენი თანხები გაღებული იქნება ადგილობრივ საშუალებებიდან.

დასასრულ პრეზიდიუმმა დაადგინა თბ. აღმასკომთან დაარსდეს ახალი წყალსადენის საამშენებლო კომიტეტი დაინტერესებულ ორგანიზაციებისა და მთავრობის წარმომადგენელთა შემადგენლობით.

ქუთაისი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პროფბიუროს მუშაობის გამოკვლევა

23 აგვისტოს, ქუთაისის სამაზრო პროფბიურომ, მოისმინა ამავე პროფ. ბიუროს თავმჯდომარის, ამხ. აფხაიძის მოხსენება ტყიბულის სამთამადნო კავშირის ქვე-რაიკომის მუშაობის გამოკვლევის შედეგებზე და საჭიროდ სცნო: რათა ტყიბულის რაიონში გაძლიერებულ იქნეს კულტურული მუშაობა, გაფართოვდეს სასადილოები მუშებისათვის და გაუმჯობესებულ იქნეს სანოვაგის ხარისხი. გამომგონებელ მუშათა წახალისების მიზნით დაარსდეს ფონდი, საავადმყოფოსთან მოეწყოს სამრეცხველო.

საკონტროლო კომისიები

პროფბიუროს დადგენილებით, უნდა ჩატარდეს კამპანია პროფბიუროს ხაზით, რიონჰესის, ქუთაისის, ხონის და სამტრედიის ფაბრკომებში ამ წარმოებებთან დროებითი სადღელი საკონტროლო კომისიების ჩამოყალიბების შესახებ.

მე-2 ინდუსტრიალიზაციის სესხი

პროფბიურომ დაადგინა: ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის გავრცელების შესახებ ჩატარდეს კამპანია და სამაზრო კომისიასთან დაკავშირებით ჩამოყალიბდეს სათანადო კომისიები ადგილებზე, რათა მუშა-მოსამსახურეთა მიერ შეძენილი იქნეს სესხი ერთი თვის ხელფასის რაოდენობის მიხედვით.

დახმარება

პროფ-ბიუროს დადგენილების თანახმად, ქუთაისის პროფკავშირების მიერ გაღებულია კომ-კავშირის ლაშქრობის მოწყობის საჭიროებისათვის 50 მანეთი.

კოოპერატივის წევრთა რიცხვი

1 აგვისტოსათვის, მაზრის მასშტაბში კოოპერატივის წევრთა რიცხვი უდრის 9.979; ა. წ. 1 ოქტომბრიდან დღემდე, საპაიო თანხა გაიზარდა 120 პროცენტით.

პურის საცხობი თონე

მომხმ. საზ. „კოოპერაცია“-ს გამგეობამ მიზანშეწონილად სცნო, რათა ქუთაისში მოეწყოს სანიმუშოთ სამი მექანიკური პურის საცხობი თონე, რომელიც დაჯდება სამი ათას მანეთამდე.

მშენებელთა კავშირში

მშენებელთა კავშირის სამაზრო განყოფილება შეუდგა ერთეულთა ადგილკომის ჩამოყალიბებას ვანში.

იგივე კავშირი შეუდგა ადგილკომებში საწარმოო მუშაობის გამოკვლევას.

ხილის დამზადება-გასაღება

ქუთაისის საკრედიტო ამხანაგობების მიერ დამზადებული და რეალიზაციაქმნილია 40 ათასი ფუთი ხილი. აგრეთვე დამზადებული და რეალიზაციაქმნილია 700 ფუთი მოცვის ჩირი. ამჟამად სწარმოებს ხმელი ხილის დამზადება; ასეთი ხილის დამზადება გათვალისწინებულია 8 ათასი ფუთის რაოდენობით. სანამ ამხანაგობა ბაზარზე გამოვიდოდა ნედლი ხილის საშუალო ფასები განისაზღვრებოდა 1—10 კაპ., ამჟამად კი ფასობს 3—75 კაპ., ასეთივე პროცენტული შეფარდებაა ჩირზედაც.

ამა წლის 1-ლ იანვრიდან 1-ლ ივნისამდე ბეწვეული, როგორიცაა: წავი, მელა, კვერნა და სხვ. იყო დამზადებული 30 ათასი მანეთის ღირებულების.

ამავე წლის 1-ლ იანვრიდან 1-ლ აგვისტომდე უნდა დამზადებულიყო ჯაგარი 800 ფუთი, 40 ათასი მანეთის ღირებულების, ფაქტიურად კი დამზადდა 835 ფუთი 43.420 მან. ღირებულებით.

—:—

სასამართლო

ქუთაისის მაზრა—ქალაქის სასამართლომ, 22—24 ამა აგვისტოს, გაარჩია საქმე ქუთაისის სამაზრო დამზღვევი სალაროს ყოფ. ფულის ამკრების—ილია ნაჭყეპიასი, იმავე სალაროს საღრიცხვო ქვე-განყოფილების ყოფ. გამგის —პოლიკარპე ლომინაძის და მოლარე ნინა სოფრომაძე—მამრიკაშვილისა. პირველს ბრალდებოდა ხსენებულ დამზღვევ სალაროს თანხის, 1.308 მან. 26 კაპ. გაფლანგვა, მეორეს —სამსახურისადმი დაუდევრობა, ხოლო მესამეს—472 მან. შენარჩუნება. სასამართლომ ნაჭყეპია დამნაშავედ სცნო ბრალდებაში და მიუსაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით; ლომინაძეს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით, პირობით, ხოლო მოლარე—ნინა სოფრომაძე-მამრიკაშვილისა, სასამართლომ სცნო უდანაშაულოდ მისდამი წაყენებულ ბრალდებაში და გაამართლა.

—:—

შემთხვევები

24 აგვისტოს, მცხ. 26 კომუნართა ქუჩაზე, ტაისა ბიუკერისამ დანით დასჭრა თავისი ქმარი აგუტი ბიუკერი. დამნაშავე შეიპყრეს.

—

16 აგვისტოს დაიწვა ქალაქ ხონის მე-3 უბნის მცხოვრებთა საამხანაგო წისქვილი. ზარალი დაახლოებით უდრის 600 მანეთს. ცეცხლის გაჩენის მიზეზი გამოურკვეველია. მიღებულია ზომები ბოროტ-მოქმედის აღმოსაჩენად.

პურის დამზადება

ამ დღეებში ამიერ-კავკასიის ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიამ მოისმინა მოხსენებები ადგილებიდან პურის დამზადების კამპანიის მიმდინარეობისა და შემოდგომის ნათესების კონტრაქტაციის შესახებ.

მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ აზერბეიჯანში საშემოდგომო თესვის კამპანია სავსებით უზრუნველყოფილია სათესლე მასალით, რომელიც დამზადებულია ადგილობრივ.

კახეთში პურის დამზადება აგვისტოში ივლისის თვესთან შედარებით საგრძნობლათ გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში დამზადებული პურის 90 პროცენტი ჩაბარებული აქვს კოლმეურნეობებს.

გამოირკვა აგრეთვე, რომ საქართველოში მოთხოვნილება სათესლე მასალაზე ადგილობრივი საშუალებით ვერ დაკმაყოფილდება, ამიტომ გადაწყდა გამონახულ იქნეს სხვა საშუალებები თესლის დროზე მისაწოდებლათ სათეს რაიონებისათვის.

პურის დასამზადებელ რაიონების მომარაგება მანუფაქტურით დამაკმაყოფილებლათ მიმდინარეობს.

ახალი საავადმყოფო

ტყიბულში

ტყიბულში შეუდგნენ მუშებისათვის ახალი საავადმყოფოს ორსართულიანი ქვის შენობის აგებას. საავადმყოფოში იქნება 50 საწოლი. ხარჯთაღრიცხვა დამტკიცებულია 164.000 მანეთის რაოდენობით. შენობის აგება მომავალ წელს დამთავრდება. (ადს).

სასამართლო

„მადიანი“ ხალხი

1925 წ. ავლაბრის სამილიციო რაიონს „ქირისუფლად“ მოევლინა ნოე ელისეს ძე ბოკერია.

მილიციას დავალებული ჰქონდა ჯარიმების და გადასახადის აკრეფა. აკრეფილი ფული შეეტანათ ხაზინაში, მაგრამ ბოკერიამ „გაამარტივა“ მუშაობა და ფულს ჯიბეში ილაგებდა.

დიდხანს აღარ დასცალდა მას ასეთი „მოღვაწეობა“. ჩქარა მოხსნეს სამსახურიდან.

მილიციის უფროსად დაინიშნა დავით დავითის ძე კოპალიანი. მასაც გადმოედო ბოკერიას სენი და დაუწყო გაცლება სახაზინო ფულებს.

კოპალიანი უფრო „რიხიანი“ და „უშიშარი“ კაცი გამოდგა. ერთ დღეს მან კომისარიატში მოიწვია სასწრაფო თათბირი და ასეთი საუბარი ჩამოუგდო თავის თანამშრომლებს:

— თქვენისთანა ვაჟკაცები უფრო მდიდრად უნდა ცხოვრობდნენ. მოდი ცოტა „გაიმასქნათ“ და თქვენც იხეირეთ და მეც მახეირეთ.

— კარგი სიტყვაა ჩემმა მზემ,—დასძინა საქმის მწარმოებელმა იოსებ ილიას ძე ქამიერაშვილმა.

— კაცო, მერე არაფერი ხლაფორთი აგვიტყდეს,—სთქვა უფროსმა მილიციელმა არჩილ ივანეს ძე სულხანიშვილმა.

— ეს კაცი მხდალი ყოფილა, არ დაეცეთ ამხანაგებო სულით,—ამხნევებს მათ უფროსი თანამშრომელი ვლადიმერ ერმალოს ძე ხარაიძე.

— თქვენ რას დაეძებთ, მე ვარ პასუხისმგებელი. საქმეს ისე „მოვაკვარახჭინებ“, რომ ეშმაკმა ვერ გაუგოს თავი და ბოლო. მხოლოდ მე მეტი უნდა მახეიროთ. ნუ გეშინიათ, თუ საქმე წახდა—დაგეხმარებით.

— ჩინებული სიტყვაა,—დაამოწმა მილიციის უფროსის თანაშემწემ ბაგრატ სერგოს ძე დანელოვმა.

გადაწყდა შეთანხმებული მუშაობით სახაზინო ფულების მითვისება.

მილიციის უფროსი კოპალიანი ჩაუდგა სათავეში გამფლანგველთა ბრბოს.

მეგობრებმა სულ ტყავი გააძრეს ჯარიმიდან შემოსულ ფულს.

იმართება დაუსრულებელი ქეიფი. მილიციის უფროსი თავისი „ამქრებით“ დროს ქეიფობაში ატარებს. სამუშაო საათებში უფროსი და მისი თანაშემწე უფრო ხშირად სამიკიტნოებში იმყოფებოდენ, ვინემ სამუშაო ოთახში.

ერთ დღეს მილიციაში მიდის ქალაქის აღმასკომის საკონტროლო განყოფილების წარმომადგენელი და ეუბნება მილიციის უფროსს

—ამხანაგო, ხმებია, რომ მილიციის თანამშრომლები კომბინაციებს ეწევიანო.

— როგორ გეკადრებათ, მე შერჩეული თანამშრომლები მყავს და ასეთ უსინდისობას არ ჩაიდენენ,—ლაპარაკობს კოპალიანი.

აღმასკომის წარმომადგენელმა არ დაუჯერა მილიციის უფროსის სიტყვას და შეუდგა რევიზიას.

რევიზიის დროს გამოირკვა, რომ ბუხჰალტერიაში გამეფებული ყოფილა ქაოსი.

მოგეხსენებათ, რომ ყველა დაწესებულებაში შემოსული თანხა სათანადო ორდერებით ტარდება დავთრებში. გამფლანგველები კი, როგორც ორდერებს, ისე ქვითრების ძირებს ჰხევდენ, რომ ამით დაეფარათ ბოროტმოქმედების კვალი. მაგრამ ასე „მოკვარახჭინებული“ საქმე კოპალიანს და მის „კამპანიას“ ჩაუფლავდა.

საქმე გადაეცა გამომძიებელს და გამფლანგველები დააპატიმრეს.

წინასწარი გამოძიების დროს აშკარა გახდა, რომ კოპალიანს შეუსანსლავს 949 მანეთი, ბოკერიას მითვისებია 250 მანეთი, ხარაიძეს გაუფლანგავს 550 მანეთი, დანელოვს—324 მან., სულხანიშვილს 579 მანეთი და ქამიერაშვილს—101 მანეთი.

საქმის გამოძიება უკვე დამთავრდა. გამფლანგველების გასამართლება მოხდება საჯაროთ 23 სექტემბერს.

საქმეს გაარჩევს თბილისის სამაზრო სასამართლოს სესია ადგილობრივ

თ.

შემთხვევები

გვამის პოვნა

26 აგვისტოს, მტკვრის პირას იპოვეს დამხრჩვალი დედაკაცის გვამი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია.

დაჯახება

ტრამვაის ვაგონი, რომელსაც მართავდა ვატმანი კონსტანტინე გრძელაძე, პლეხანოვის პროსპექტზე დაეჯახა ავტომობილს. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა.

ბოროტმოქმედება რკინის გზის საფოსტო კანტორაში

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა რკინის გზის საფოსტო კანტორის ფოსტალიონი ტარიელ ტარიელაშვილი და კანტორის მოხელე ზაქარია გრიგორიევი, რომლებიც სისტემატიურად ხსნიდენ საფოსტო ამანათებს და იპარავდენ სხვადასხვა ნივთებს. ქურდები გამოტყდენ დანაშაულში.

ჯიბგირების დაპატიმრება

მილიციამ დააპატიმრა გ. გასპაროვი, ი. ერგულოვი და ს. სტეფანიანცი, რომლებსაც ბრალდებათ ჯიბგირობა.

ქურდობა

გაქურდეს ფოტო-მაღაზია (საბჭოთა ქ. № 15). წაიღეს 400 მანეთის ფოტო-აპარატები. —გაქურდეს იოსებ პეტრიაშვილის ბინა (პლეხანოვის პროსპ. № 172), მოპარულია 200 მანეთის ტანსაცმელი.—გუშინწინ, ღამით ვიღაც ბოროტმოქმედებმა ვაკეში მცხოვრებ სალომე კერეუს მოჰპარეს ოთხფეხი საქონელი. შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გაემგზავრა სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები მაძებარი ძაღლებით, რომელთა წყალობით გატაცებული საქონელი აღმოაჩინეს და ჩააბარეს პატრონს. მიღებულია ზომები ქურდების დასაპატიმრებლად.—გაქურდეს ექ. ტერ-ნერსესოვის ბინა (ლერმონტოვის ქ. № 14), წაიღეს 400 მანეთის ნივთები.—არ. ათონიანცის ბინიდან (რიყის ქ. № 30) წაიღეს 170 მანეთის საოჯახო ავეჯეულობა.—მუშათა ცენტრალურ კლუბის სადალაქოდან ვიღაც უცნობმა პირმა მოიპარა 400 მანეთის ხელსაწყოები.

—:—

ვისია ნივთები?

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ იპოვა ნაქურდალი ოქროს საათი, ოქროს სამაჯური და სხვადასხვა ნივთები. პატრონი უნდა გამოცხადდეს სისხლის სამართლის მილიციაში, ოთახი № 7), შ. კოპალიანთან.

საშემოდგომო თესვის კამპანია

ბორჩალოს მაზრაში

ბორჩალოს მაზრაში შემოდგომის თესვის კამპანიის ჩამტარებელი სამაზრო და რაიონული კომისიები უკვე შეუდგნენ მუშაობას. გადაწყვეტილია საკრედიტო ამხანაგობების საშუალებით მთელს მაზრაში დამზადებული იქნეს [illegible] ფუთი სათესლე მასალა.

მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატმა წინადადება მისცა მაზრის აგრონომიულ ორგანიზაციებს დაუბრკოლებლათ და დაუყოვნებლივ ჩაატარონ სათესლე მასალის მოწამვლა და გაწმენდა.

მაზრის მთიან ნაწილებში აგრო-ორგანიზაციები უკვე შეუდგნენ სათესლე მასალის მოწამვლას.

მაზრის ზოგიერთ რაიონში წელს შემოდგომაზე დათესილი იქნება ხარისხოვანი თესლი და ამავე დროს იწარმოებს მიწების მინერალური სასუქებით საცდელი განოყიერება.

გარდა ამისა, აგრონომიულ ორგანიზაციას და ადგილობრივ სახალხო მამულებს წინადადება მიეცათ ცალკე გლეხურ მეურნეობაში მოაწყონ საჩვენებელი ნაკვეთები. ამავე ორგანიზაციებს დაევალათ გლეხებს შორის ჩაატარონ საუბრები აგრონომიულ საკითხებზე და გლეხებს გაუწიონ ყოველგვარი დახმარება.

აღძრულია შუამდგომლობა „სოფლის კავშირის“ წინაშე ბორჩალოს მაზრისათვის 8 ტრაქტორის შეძენის შესახებ. ახლო ხანში სახალხო მამულ „კულლარასთან“ მოეწყობა სასოფლო სამეურნეო მანქანების შემკეთებელი სახელოსნო.

სახელმწ. უნივერსიტეტში

როგორ მიმდინარეობს გამოცდები

სახ. უნივერსიტეტში მისაღები გამოცდები დაიწყო 15 აგვისტოს და გაგრძელდება 1 სექტემბრამდე.

ამჟამად გამოცდები გაცხოველებით მიმდინარეობს. დაგვიანებას იშვიათად აქვს ადგილი. ამიტომ მოსალოდნელია გამოცდების დამთავრება აღნიშნულ დროისათვის. მიუხედავათ იმისა, რომ ძალიან ბევრი იჭრება, გამოცდას მაინც არც ერთი სტუდენტი არ დაკლებია.

მივლინებიდან დაბრუნება

ამ დღეებში გერმანიიდან დაბრუნდა სამეცნიერო მივლინებაში მყოფი აგრონომიული ფაკულტეტის ასისტენტი **ხომეზურაშვილი.** ახლო მომავალში გერმანიიდან მოელიან აგრეთვე ფსიქოლოგიური კათედრის ასისტენტს **გ. ბაქრაძეს.**

ფიზკულტურა და სპორტი

პინგ-პონგი

2 სექტემბრიდან საქართველოს პროფსაბჭოს ფიზკულტურის ბიურო ჩაატარებს საკავშირთაშორისო შეჯიბრებას პინგ-პონგში (ტენისი მაგიდაზე).

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს თბილისის ყველა მუშათა კლუბების პინგ-პონგის მოთამაშენი.

ბიუროს დადგენილებით თითო მუშათა კლუბიდან შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებს: ორ-ორი საუკეთესო მოთამაშე და ერთი ქალი ან კაცი, რომელიც ჰასაკით 30 წელზე მეტის უნდა იყვეს.

შეჯიბრება ჩატარდება საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კლუბში.

შეჯიბრების ჩასატარებლად ფიზკულტურის ბიურომ გამოჰყო საგანგებო კომისია ამხ. ჩაჩავას თავმჯდომარეობით.

ფეხბურთი

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსთან არსებულ ფიზკულტურის ბიურომ შეიმუშავა ფეხბურთელთა გუნდების შემოდგომის პირველობის გათამაშების გეგმა.

ამ გეგმის მიხედვით საქართველოს პროფკავშირების ფეხბურთელთა გუნდების შემოდგომის პირველობა გათამაშდება ცალკე კავშირების ხაზით.

შეჯიბრებაში მონაწილეობას მიიღებენ პროფკავშირების ყველა გუნდები.

შეჯიბრებას უხელმძღვანელებს ფიზკულტურის ბიუროსთან დაარსებული ფეხბურთის საგანგებო კომისია.

შეჯიბრება გასტანს 2—3 თვე.

რადიო-გადაცემა

სამშაბათი, 28 აგვისტო

დღეს, 28 აგვისტოს, თბილისის 4 კილოვატიან რადიო-სადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

[illegible]—ქართულ ენაზე.
გლეხის რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე.
მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე—ქართულ ენაზე.
შემოდგომის ნათესები—რუსულ ენაზე.
შინაგანი სეკრეციის ჯირკვლები—რუსულ ენაზე.
ტექნიკური კონსულტაცია.
მოხსენება მტრედების ფოსტაზე—სომხურ ენაზე.
გაზეთი „პროლეტარი“—სომხურ ენაზე.
გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.
კონცერტი ან ტრანსლიაცია.
ამიერ-კავკასიის დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.
მოხსენებებს შუა—მუსიკალური ნომრები.

მეცნიერება და ტექნიკა

ქალაქის ცხოვრების გავლენა თვალის ფერზე

ამერიკელმა მკვლევარმა დ—რმა უილიამსმა ამ რამდენიმე ხნის წინად ჩაატარა ფართე გამოკვლევა ქალაქის ცხოვრების მოვლენის შესახებ თვალებზე. მკვლევარმა აღმოაჩინა, რომ ქალაქის მოსახლეობას უფრო შავ თვალები აქვს, ვიდრე სოფლის მოსახლეობას. დ—რი უილიამსი ამ მოვლენას ხსნის ხელოვნური განათების და განსაკუთრებით ელექტრონის სინათლის ზეგავლენით: შავი თვალები უფრო ადვილად იტანებენ დიდ სინათლეს.

მოწყობილობა ფოსტის გადმოსაცემათ აეროპლანიდან

ლენინგრადელმა მუშა კოტელნიკოვმა გამოიგონა სპეციალური აპარატი ფოსტის გადმოსაცემად აეროპლანიდან. აპარატი შესდგება სახურავიან ყუთიდან, რომელზედაც მიმაგრებულია პატარა აპარატი, რომელიც ავტომატიურად იშლება ყუთის გადმოგდების დროს. ამ გამოგონებას დიდი მნიშვნელობა აქვს ავიოფოსტის განვითარებისათვის, რადგან შესაძლებლად გახდის კორესპონდენციების გადმოგდებას იმ ადგილებში, სადაც აეროდრომები არ მოიპოება.

უდიდესი—ავტობუსი

ერთმა გერმანულმა საავტომობილო ფირმამ დაამზადა უდიდესი სამგზავრო ავტობუსი, რომელსაც ექვსი ბორბალი აქვს. როგორც სურათიდან ჩანს, ავტობუსის უკანა ნაწილი ორსართულიანია. მეორე სართული 24 კაცს იტევს.



ზრუნვა თვალებზე

ინგლისში დაარსდა საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს „თვალების ყურადღებით მოვლის“ პროპაგანდას. საზოგადოების წევრები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ცივილიზაცია თვალებს დიდ მოთხოვნილებებს უყენებს, ამავე დროს კი თვალების ჰიგიენის საკითხში მოსახლეობაში სრული უცოდინარობაა გაბატონებული. გაზეთები, წიგნები, ოთახების განათება,—ყველაფერი ეს არა დამაკმაყოფილებელია თვალის ჯანმრთელობის თვალსაზრისით. ამის შედეგია თვალების მასიური დაავადება. საზოგადოება უშვებს წიგნებსა და გაზეთს, რომლის შრიფტი სავსებით აკმაყოფილებს თვალის ჰიგიენას.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

ცირკულიარულად.

ყველა სამაზრო ჯანგანყოფილებებს, ასლი ავტონომიურ რესპუბლიკების ჯანსახკომებს

ამასთანავე ერთად გიგზავნით ცნობათ და სახელმძღვანელოთ იუსტიციის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების მიერ დამტკიცებულ „სისხლის სამართლის კოდექსის 199 მუხლის შეფარდების შესახებ“ ინსტრუქციას.

სამკურნალო განყგამგე **გოცირიძე.**
საადმინ. საორგ. განყ. გამგე **ფრანგულიანი.**
ქვე-განყოფილების გამგე **ბროძელი.**

ინსტრუქცია

იუსტიციის და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატებისა „სისხლის სამართლის კოდექსის 199 მუხლის შეფარდების შესახებ“

1) სისხლის სამართლის კოდექსის 199 მუხლის ძალით ექიმობა ხელობის სახით იმ პირთა მიერ, ვისაც არა აქვს საექიმო განათლების მიღების სათანადო მოწმობა, აგრეთვე სამედიცინო დარგის მუშაკის ისეთი საექიმო მუშაობა, რომლის უფლებაც მას არ აქვს, გამოიწვევს იძულებით მუშაობას ექვს თვემდე, ან ჯარიმას ხუთას მანეთამდე.

2) სისხლის სამ. კოდექსის 199 მუხლის პირველი ნაწილი გულისხმობს ისეთ პირებს, რომელთაც არ მიუღიათ სრული მედიკური განათლება და მიუხედავად ამისა მაინც ეწევიან ხელობის სახით ხალხის მკურნალობას.

3) სისხლის სამართლ. 199 მუხლის მეორე ნაწილს მხედველობაში ჰყავს სამედიცინო დარგის მომუშავენი, რომლებსაც თუმცა მიღებული აქვთ ერთგვარი მედიკური განათლება, მაგრამ ეწევიან ისეთ საექიმო პრაქტიკას, რომლის უფლებაც მათ არ აქვთ მინიჭებული მოქმედი კანონმდებლობით.

4) სრ. საქ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1927 წ. მაისის 20 თარიღის და № 50-ის დადგენილებაში „სამედიცინო დარგის მომუშავეთა პროფესიონალურ მუშაობისა და უფლება-მოვალეობათა შესახებ“ კანონთა და განკ. კრ. 1927 წ. № 5, მუხ. 79 დაწვრილებით არის განმარტებული სამედიცინო დარგის თითეული მუშაკის უფლება-მოვალეობა.

5) ამ დადგენილების ძალით სამედიცინო და საფარმაცევტო მუშაობის უფლებით სარგებლობენ თავის სპეციალობის ფარგლებში ისინი, ვისაც აქვს წოდება: ა) ექიმის, ბ) კბილის ექიმის, გ) ექიმის თანაშემწის, დ) ბებია ქალის, ე) ფარმაცევტის და ვ) სამედიცინო დისა.

ჩამოთვლილ პირთა შორის, იმ პირს, ვისაც ექიმის წოდება აქვს, ეძლევა ყველა უფლება საექიმო პრაქტიკისათვის მედიცინის ყველა დარგში და აგრეთვე უფლება იმსახუროს საექიმო და საადმინისტრაციო საექიმო თანამდებობაზე. სამედიცინო დარგის დანარჩენ მომუშავეთ კი დაკისრებული აქვთ მხოლოდ განსაზღვრული მოვალეობის შესრულება.

6) საექიმო წოდების და საექიმო მუშაობის უფლება აქვს: ა) იმ ექიმს, რომელმაც დაამთავრა უნივერსიტეტი საზღვარგარეთ. მიიღო იქ მედიცინის დოქტორის წოდების დიპლომი და ჩააბარა სათანადო გამოცდები ს. ს. რ. კ-ის ერთ-ერთ უნივერსიტეტში ან უმაღლეს საექიმო სკოლაში, უკეთუ იგი გამონაკლისის სახით არ იყო განთავისუფლებული ასეთ გამოცდებისაგან ჯანსახკომისარიატის და განათლების სახალხო კომისარიატის დადგენილებით

7) ექიმს უფლება აქვს გააკეთოს ყოველგვარი ოპერაცია და იხმაროს ჰიპნოზი (სათანადო სახელმწიფო სამკურნალო და სამეცნიერო დაწესებულებაში, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევაში ბინაზედაც) ნარკოზი, ანესთეზია, ვაქცინა, შრატი და სხვა სამედიცინო საშუალება, რის ხმარებაც ნებადართულია სათანადო წესის მიხედვით.

8) სამედიცინო დარგის დანარჩენ (გარდა ექიმისა) მომუშავეების უფლება-მოვალეობა დაწვრილებით განსაზღვრულია ცაკის და სახკომსაბჭოს ზემოდასახელებულის დადგენილების № 50/20—35 მუხლებში და ამიტომ მათ მიერ თავის მოვალეობის დარღვევათ ჩაითვლება და გამოიწვევს სისხლის სამართლის კოდექსის 199 მუხლის შეფარდებას, სახელდობრ, შემდეგი შემთხვევები, როდესაც: ა) კბილის ექიმი აწარმოებს ქირურგიულ დახმარებას თავის სპეციალობის გარეშე, ან გამოსწერს რეცეპტს, აფთიაქიდან წამლის მისაღებათ კბილის მკურნალობის საჭიროებისათვის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატის მიერ დაწესებულ სპეციალურ სიის გარეშე, ბ) ექიმის თანაშემწე გამოსწერს ისეთ ძლიერად მომქმედ წამლებს, რის უფლებაც მას არ აქვს თანახმად არსებული სიისა, ან გამოსწერს მაქსიმალურ დოზის მეტს, აწარმოებს რთულ ოპერაციებს და საერთოდ ეწევა ისეთ საექიმო დახმარებას, რის უფლებაც მას დებულების ძალით არა აქვს, გ) ბებია-ქალი, რომელსაც დებულების ძალით უფლება აქვს თავის ბინაზე ორსულს მისცეს მხოლოდ რჩევა-დარიგება, ღებულობს თავის ბინაზე ორსულს სამშობიაროთ, ან ხელოვნურად მუცელს უშლის; დ) ფარმაცევტი მედიკამენტების დამზადების გარდა ეწევა წამლების რეცეპტებით გამოწერას და თვით აწარმოებს საექიმო მუშაობას; ე) სამედიცინო და ამზადებს რთულ და ძლიერად მომქმედ წამლებს კანონის განსაზღვრული შემთხვევისა ან ექიმის ხელმძღვანელობის გარეშე, ან და ხმარობს გამაფრთხილებელ და სამკურნალო შრატებს და ვაქცინებს დაწესებული სიის გარეშე.

9) უკეთუ ზემოაღნიშნულ (მუხლები 2, 3 და 8) ქმედობას შედეგათ მოჰყვა ავადმყოფის მძიმე დაავადება, ან მისი სიკვდილი, შეფარდებული უნდა იქნეს სისხლის სამ. კოდ. 148 და 156 მუხლები.

10) ის პირი, რომელიც საექიმო დარგის წოდების მითვისების მიზნით ყალბ საბუთებს გააკეთებს, პასუხისგებაში მიეცემა სისხლ. სამ. კოდ. 71 მუხლის ძალით.

11) ამ ინსტრუქციის გამოცემის შემდეგ გაუქმებულად ითვლება იუსტიციის სახალხო კომისარიატის და ჯანსახკომისარიატის მიერ 1925 წ. ნოემბრის 3-ს გამოცემული ცირკულიარი „კანონი მკურნალობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“.

იუსტიციის სახალხო კომისარი და რესპუბლიკ. პროკ. **ვარძიელი.**

ჯანმრთელობის სახალხო კომისარი
გრ. კუჭაიძე.

1928 წლ. ივლისის 2
ქ. თბილისი

შრომის ბირჟაში

დღეს, 28 აგვისტოს თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნად იწვევს შემდეგ უმუშევრებს.

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ევგენი გუიევსკი; ვერგუშ მნაცაკანიანი; სათენიკ მურადიანი; მარიამ ველიჩკო; სათენიკ ერიცოსიანი; ნინო ქურაშვილი; კლავდია ვოლოჟანინა; ალექსანდრა ბარხუდაროვა; ზინაიდა სმირნოვა; ეკატერინე პარტნოვა; თამარ გინენკოვა; ევგენია პავლოვიჩი; ელენე სავრასოვა; ნადეჟდა პეტრაკოვა; მარიამ დანიევსკაია; ნატალია ხანანიანცი; პავლე ნოდია; ვარსენიკ ეგიაზაროვა; მარიამ მარტიროსოვა; შუშანა ანტონიანი; ივლიტა კაციტაძე; მარიამ სუკიასოვა; ანნა ზუმბიაშვილი; ქსენია ილიჩენკო; ტატიანა კარპოვა; პოლოს სავარიანი; ელენე გრიჩკო; ევგენია ვლადიშევა; ალექსანდრე მინაევი; მატრონა ბიბილაშვილი; თამარ ალავერდოვა; მარიამ გვრიტიშვილი; გიორგი საინოვი; ივანე მაზმანიშვილი; ნიკოლოზ ზოლოლაშვილი; ალექსანდრე ბუიანოვი; იოსებ ოსეფიანი; ევგენი ეალიანი; სირანუშ არზუმანიან და ანია კრიალაშვილი. **გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან:** ანნა ტერგულიანი; სოფიო ჩარკვიანი; მარგარიტა ჩიქვილაძე; ალექსანდრე მელუა; კალანტაროვი; იაკობ ფარსადანოვი; გრიგოლ ბერიძე; ალექსი ახვლედიანი; რაისა ანისჩიუკი; შალვა მინდელი; ივანე დადიანი; ვლადიმერ მჭედლიშვილი, ლუბა კაპანაძე; ანნა გვერდიდევა; ელენე მასურაძე; ნატალია ბაზილევიჩი; ელენე ომიჩკოვა; ოლღა ბოროდინა; გიორგი ენუქიძე; ნინო დევდარიანი; დავით ანანიაშვილი; ლონგინოზ მოგელაძე; პოლოს ხეცურიანი; დავით კევლიაშვილი; რუბენ აბრამოვი; ნინო ტეროგანეზოვა და ანდღულაძე. **შავ მუშათა მესამე სექციიდან:** სვიმონ მელქონიან; გარეგინ მალხაზიანი; ხაჩატურ ასატუროვი; მარგარიტა ჯაში, მიხეილ აბაშიძე; მარიამ ჩიჩელაშვილი; ვალენტინა ბუელი; ალექსი მარკოზოვი და ნატალია გაჩეჩილაძე. **საგარანტიო მუშაკთა სექციიდან:** ალექსანდრა დოცენკო; გრიგოლ ესებუა, გერასიმე კარაპეტიანი; მოსე ბონდარევსკი; აზბარცუმ ადამიანცი; გრიგოლ საყვარელიძე; ვლადიმერ გოგოლაძე; ნესტორ ჯიჯელავა; აგნესა გავრილოვსკაია; არსენ დოლუხანოვი და [illegible] გერმუდოვა. **მშენებელ მუშაკთა მეხუთე სექციიდან:** სტეფანე პუდოვკინა; ნიკოლოზ ხატიაშვილი; ბენიამინ ბაღდასაროვი; არშაკ მირზოევი; აკოფ არუთინოვი; ოგანეს ჰაგიჯანოვი; ვასილ კოროტკინი.

პარტიული კალენდარი

საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას საღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილება წინადადებას აძლევს ქვემოთ ჩამოთვლილ ამხანაგებს (რომლებმაც მიმდინარე წელში დაამთავრეს [illegible] უნივერსიტეტი) [illegible] დღის განმავლობაში გამოცხადდენ საქართველოს კომპარტიის (ბ) ცკას საღრიცხვო-განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. კვირკველიასთან.

სოც. ეკონომიური ფაკულტეტიდან: კობახიძე სევერიან იაკინთეს ძე, კობახიძე ვლადიმერ დიმიტრის ძე, ქართველიშვილი შალვა მიხეილის ძე, შაფაქიძე დიმიტრი შერმადინის ძე, ჩიტაიშვილი პლატონ პავლეს ძე (ეკონომისტი), ბახტაძე ვარლამ სავლეს ძე, კბილაძე კალისტრატ კირილეს ძე, კაკაბაძე გრიგოლ ალექსანდრეს ძე, თევდორაძე ივანე მიხეილის ძე, ხანთაძე დავით გიორგის ძე, სხირტლაძე გიორგი რომანის ძე, უგრელიძე ალექსანდრე ლეონტის ძე, ქუთათელაძე სერგო ივანეს ძე, სარალიძე გიორგი ივანეს ძე, რობაქიძე სევერიან ბარნაბის ძე, გურგენიძე სტეფანე ივანეს ძე, სიხარულიძე გრიგოლ იასონის ძე, ჩაია სევერიან ივანეს ძე, ცაგარეიშვილი ვლადიმერ, გვაზავა დავით ყარამანის ძე, გოგეშვილი მოსე, გოგეშვილი სოფიო, კვაშილავა გიორგი, ლორთქიფანიძე შევქეტ, ფანცხავა ილია დომიდეს ძე, გეგნავა სამსონ, ლეჟავა დავით, სერაფიონის ძე და ყველა ის ამხანაგები—კომპარტიის და ა.ლ.კ.კ. წევრები, რომლებმაც მიმდინარე წელში დაამთავრეს სოციალ-ეკონომიური და პოლიტ. ფაკულტეტი.

—:—

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო-კოლექტივი ამით აცხადებს, რომ დღეს, 28 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე მოწვეულია გაერთიანებული კომუჯრედის საერთო კრება. გასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხები.

დასწრება სავალდებულოა დაუგვიანებლივ.

ღრმად დამწუხრებული დედა ვერა, ძმა მიხეილი ცოლით, დები: ანიკო, ანასტასი და თამარა, სიძე სიმონ მესხი შვილებით: ლილი და ნაზით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ კვირას, 26 აგვისტოს, ნაშუადღევის 4 საათზე ქალ. ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი უდროოთ ტრაგიკულად გარდაცვალებულის

გრიგოლ (სოზონა) ვლადიმერის-ძე მესხის

ხსოვნის აღსანიშნავად. 3877

ხუთშაბათს, 30 აგვისტოს დღის 12 საათზე ქ. ქუთაისში ბაგრატის ტაძრის ნანგრევებზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი დამსახურებულ პედაგოგის

მიტროფანე ფილიპეს ძე ფხაკაძის

გარდაცვალებიდან ექვსი თვის თავის აღსანიშნავად, რასაც აუწყებს საზოგადოებას განსვენებულის ოჯახი.

ღრმად დამწუხრებული ძმებ: ვალოდია, პეტრე და ირაკლი შანიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათთვის უძვირფასეს დის

მარიამ (მაშო) ბესარიონის ასულის შანიძის

გარდაცვალებას ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ. სამოქალაქო პანაშვიდი გადახდილ იქნება სამშაბათს, 28 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოს პროზექტურაში. 3875

ღრმად დამწუხრებული მშობლები: დიმიტრი, აგრაფინა; ძმები: იორამ, ლიუდიკ, ევტროფი; დები: ქსენია და კლეოპატრა წივწივაძეები, ბაბუა ბესარიონი და ბებია სუსანა კარანაძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ძვირფას, გონებიდან წაუშლელ მასწავლებელ

აგლაიდა დიმიტრის ასულ წივწივაძეს

ხსოვნის აღსანიშნავად გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ა. წ. 2 სექტემბერს სოფელ სამიქაოში. 3837

უსაზღვროდ დამწუხრებულნი: მეუღლე სოფიო ისახანოვისა, ქვისლი ვასილ ჩიხაშვილი ცოლშვილით და სიდედრი ნატალია გოგიტაშვილი შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

ივანე არტემის-ძე ისახანოვი

დაკრძალვა 28 აგვისტოს, დღის 3 საათზე. გამოსვენება საკუთარ ბინიდან—თამარის ქუჩა, № 34. 3863

თავზარდაცემული დედა ელენე დიმიტრის ასული გუდიაშვილისა შვილებით, შვილიშვილებით და სიძეებით, ბიძა დავითი შვილებით და რძალი ნადია გუდიაშვილები აუწყებენ ნაცნობთ, ნათესავებს და მეგობრებს დაუვიწყარი

იოსებ ივანეს-ძე გუდიაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. ფასანაურში, 25 აგვისტოს. 3867

დუშეთის საკომხმარებლო საზოგადოების გამგეობა და თანამშრომელნი მწუხარებით იუწყებიან ამავე საზოგადოების ფასანაურის განყოფილების გამგის

იოსებ გუდიაშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება ფასანაურში (დეპ.)

გაუბედურებული: მეუღლე თამარი, შვილი გოგი ულრმეს მადლობას უძღვნიან დაწესებულებებს, ნაცნობებს, მეგობრებს და სხვ., რომელნიც პირადი დასწრებით, დეპეშებით თუ წერილობით გაიზიარეს მათ მწუხარება ძვირფასი

ექიმ მინა მალაქიას-ძე მარუაშვილის

უდროოთ დაკარგვის გამო. 3862

ოზურგეთის სამალარიო სადგურის თანამშრომლები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ 22 აგვისტოს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქ. ტროპიკულ სნეულებათა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, სამალარიო სადგურების უშუალო ხელმძღვანელი საყვარელი ექიმი

მინა მალაქიას-ძე მარუაშვილი

ნ. 152

სახელმწიფო კინო

განთიადი — ამერიკული კინო-რომანი **ამერიკელი ქალის თავგადასავალი** 3 და 4 სერია
საზაფხულო ეთერი — საზღვარ-გარეთის უკანასკნელი სურათი **ჭირვეული ცოლი** რუფ კლიფორდის მონაწილეობით
საზაფხულო დარბაზი — სეზონის საუკეთესო კომედია **ორი მეგობარი, მოდელი და მეგობარი ქალი**
საზაფხულო პალასი — საუკეთესო სურათი **ატლანტიდა** ჟან ანჟელოს და სტასი ნაპერკოვსკაიას მონაწ.
პროლეტარი ავლაბარი — მხატვრული სურათი **ტყის ზღაპარი** დადგმა ი. ტარიჩისა

ახლო ხანში. მალე საზღვარ-გარეთის მხატვრული ფილმი „ნეპტუნი“ ნ 23

მუშათა ახალი კლუბი
დღეს, 28 აგვისტოს,
სიმფონიური კონცერტი
ცნობილ დირიჟორის **ვალერი ბერდიაევის** ხელმძღვანელობით
პროგრამაში—ჩაიკოვსკი, ვაგნერი, რიმსკი—კორსაკოვი
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის.
ბაღში—კინო.
შემდეგი კონცერტი ხვალ, 29 აგვისტოს, მედსანშრომის კლუბში. ნ. 1522

კინო-
ეთერი
დღეს და ყოველდღე
საზღვარ გარეთის
უკანასკნელი
ახალი სურათი
ჭირვეული ცოლი
რუფ
კლიფორდის
მონაწილეობით
ნ. 1528

გაზეთ „კომუნისტ“-ზე
ხელისმოწერა და განცხადებები მიიღება:
1) ქ. ონში და მის რაიონში საჯელგამის განყოფილებაში ამხ. ს. ბერიშვილთან;
2) ქ. ჭრებალოში და მის რაიონში—საკრედიტო ამხანაგობის ბუხჰალტერ ამხ. კოტე ცხვედიანთან.
3) ბაღდადის და მის რაიონში—ადგილობრივ პროფკავშირთა წიგნის მაღაზიაში რწმუნებულ ამხ. ალექსანდრე აგულაძესთან;
4) ლეჩხუმის და მის მაზრაში—რწმუნებულ ამხ. მირიან პაიჭაძესთან.
გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა.
2—1

ჭიათურის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი შ. ს. ლაბაძე

ამით აცხადებს, რომ ის 30 აგვისტოს 1928 წ. დღის 12 საათზე ჭიათურის სამრეწველო რაიონში ღვანის ღელეზე გაყიდის **საჯარო ვაჭრობით** მრეწველების ანდრია და გიორგი ლევანის-ძე ქავთარაძეების შავი ქვის სარეცხ ქარხანას თავის მოწყობილობით დაფასებული 4000 მან. დასაკმაყოფილებლათ კონსტანტინე რატიანის, ლეონტი ბოჭორიშვილის და პამენ ლაბაძის ვალისა, თანახმად აღმასრულებელი ფურცლისა შორ. მაზრის სახალხო სასამართლოს 19 ივლისის 1928 წ. № 1227 ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ქარხნის საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს 10 პროც. საწინდარი. 3880

ზესტაფონის უბნის სახალხო სასამარ. აღმასრულებ. ლ. ჭაჭიაშვილი

აცხადებს, რომ ის 31 აგვისტოს დილის 9 საათზე ქ. ზესტაფონში დილიკოურის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ოქროპირ (იგივე კოლია) გეწაძის მოძრავ ქონებას: მაგიდას, ნოხს, სკამებს, ტანისამოსის, ჭურჭლეულობის შკაფს შეფასებულს 225 მან. დასაკმაყოფილებლად ნატალია გოცაძის ვალისა, თანახმად ქ. ზესტაფონის სანოტარო კანტორის ა. წ. 13 მარტის № 68 აღსრულებითი წარწერისა. ნ. 1527

ექიმი
ს. ანდრეევისა
დაბრუნდა
ძვლის და ჯირყვლების ტუბერკულიოზის მკურნალობა ღებულობს ავადმ. 5 7 ს. სად. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის დაღმართი) 29, ვერის ხიდთან. ელსმენი —11—78. 25—1

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. და სალ. 6—8 საათ.
ამის ქუჩა 72 (ყოფილი დიდი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი
ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს“) პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—2

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

ექიმი
ხ. დ. პეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—სად. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

ექიმი
ბ. მ. ფხალაძე
გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
ილებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.
25—1

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 5 სა-დე
სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დაყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ
უფასოდ
სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები.

ექიმი
გიორგი ნიკოლოზის-ძე
ონანოვი
სიფილისი, ვენერიულ და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი ნევრასტენიის მკურნალობა. ავადმყოფების მიღება დილის 8—10 ს—დე და საღამოს 4—5 ნახ. ს—დე. ქალების საღამოს—7-დან 8 საათამდე. კლარა ცეტკინის ქუჩა (ყოფ. ელისაბედის) № 3. 25—2

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილსს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღი 12 საათამდე და სალ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი
შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

დაჰკარგე საანგარიშო წიგნაკი № 540 მელანია კლიმიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3866

დაჰკარგვე: სამხედრო ფურცელი ფორმა № 4 მიხეილ მიხეილიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3870

დაჰკარგე: წიგნაკი მიღებული გორის განათლების მუშაკთა კავშირიდან № 26619 შალვა ნაცვალაძის სახელზე, ჩ. გ. 3872

დაჰკარგე: კავშირის წიგნაკი № 463 იაგორ დიმიტრისძე იკაევის სახელზე, ჩ. გ. 3868

დაჰკარგე: პირადობის მოწმობა, აბგარ ხრისტაფორისძე აკოპოვის სახელზე, ჩ. გ. 3865

დაჰკარგე: მეტრიკული ამონაწერი დავით ომიაძეს სახელზე, ჩ. გ. 3874

დაჰკარგე: სამხედრო წიგნაკი და პირადობის მოწმობა ნესტორ ბერიას სახელზე, ჩ. გ 3873

დაჰკარგე: სამხედრო აღრიცხვის ბარათი მათე ჯონიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3874

დაჰკარგე: ლომბარდის ქვითარი № 90500 პეტრე მდივანის სახელზე, ჩ. გ. 3879

დაჰკარგე: საწევრო წიგნაკი № 3974 კოსტა პიტახიას სახელზე, ჩ. გ. 3875

დაჰკარგე: დამზღვევი სალაროს წიგნაკი № № 3473 ივანე ნ ძე ქუნიას სახელზე, ჩ. გ. ნ. 1531

დაჰკარგე: პირადობის მოწმობა მარო ჯაჯანაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3869

დაჰკარგე: ლომბარდის ქვითარები. № № 51135, 53168 და 66315, ჩ. გ. 3868

დაჰკარგე: სალექციო წიგნაკი № 1292 გაცემული ტ. ს. უ—ს. მიერ სამკურნალო ფაკულტეტის 1-ლი კურსის სტუდენტის კონსტანტინე ბესარიონისძე დარჯანიას სახელზე, ჩ. გ. 387

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, ცამის ქუჩა № 68.

მთავლიტი № 904.